# ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

№5 (71) სექტემბერი, 2019 წელი ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნომრის ავტორები

ზვიად კვარაცხელია & ნიკოლა მაძიროვი

1970
2019

**პოეზია**
ეკა ქევანიშვილი
ლელა სამნიაშვილი
გიორგი შონია
ირინა ტაბაღუა
ელიზბარ ელიზბარაშვილი

**პროზა**
მინდია არაბული
ცირა ყურაშვილი

**კრიტიკა**
ლელა კოდალაშვილი – კოკა არჩვაძეზე

**ბიოგრაფია**
ნელი ბლაი

**ახალი თარგმანები**
მიხაელ გუტენბრუნერი
ინგებორგ ბახმანი
სუნ ქსუე




ეროვნული ბიბლიოთეკა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

ყველაფერი ჩვენს წარმოებაში

სავიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალოცები;
დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლაერები;
ბუკლეტები; კატალოგები; მენიუები; კალენდრები;
პოსტერები ბლანკები; კონვერტები;
ბლოკნოტები; CD/DVD შეფუთვა
ნებისმიერი სირთულის ყუთები;
ასევე ყუთებზე ბეჭდვა;
ყველა სირთულის კვეთები;
ეტიკეტები და სხვა თვითწებადი
პროდუქტები; ბილეთები;
აფიშები, ბანერები, ვიტრინების
და ავტომობილების გაფორმება;
საათების ბრენდირება;
ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგაზე,
ნატურალურ ტილოზე;
პლასტიკური ბარათებზე ბეჭდვა;
მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭდვა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

ციფრული,
ოფსეტური
ბეჭდვა

ქუთათელაძის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.com

საუნჯე
PUBLISHING HOUSE გამომცემლობა

ჟურნალი გამოიცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით

მწერალთა სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნომრის ავტორები**

*ზვიად კვარაცხელია*

ელისო მეტრეველი – სტაიერი ტექსტების მდინარეში – 3
ზვიად კვარაცხელია – ერთი მნიკვი სიმართლე – 10
**ამონარიდები** – 14

*ნიკოლა მაძიროვი*

**ბიოგრაფია** – 16
ნიკოლა მაძიროვი: მჯერა სიჩუმის, მხოლოდ როგორც სიტყვის დასაწყისის და არა სიტყვის არყოფნის (ინტერვიუ) (თარგმნა ზაზა კოშკაძემ) – 17
ნიკოლა მაძიროვი – ლექსები – 22

**პოეზია**

ეკა ქევანიშვილი – 27
ლელა სამნიაშვილი – 34
გიორგი შონია – 37
ირინა ტაბალუა – 44
ელიზბარ ელიზბარაშვილი – 50

**პროზა**

მინდია არაბული – კოლო – 53
ცირა ყურაშვილი – ბოთლით წყალი, სალესი ქვა, სავარცხელი – 59

**კრიტიკა**

ლელა კოდალაშვილი – ქმა, ანუ მორჩენილი საკუთარი თავი – 61

**ბიოგრაფია**

ამბროსი ბრიშიკაშვილი – ნელი ბლაი. საუკეთესო ამერიკელი რეპორტიორი – 64

**ახალი თარგმანები**

მიხაელ გუტენბრუნერი – ლეოპარდი (გერმანულიდან თარგმნა მაია გოგოლაძემ) – 68
ინგებორგ ბახმანი – სიმღერები გაქცევის ჟამს (გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა) – 71
სუნ ძსუე – ლექსები (თარგმნეს ნუცა ქათამაძემ და ბექა ბარქაიამ) – 77


4
5
6


პროექტის ავტორი:
ვაჟა წოწკოლაური

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური



ნომერზე მუშაობდნენ:
ელისო მეტრეველი
ზვიად კვარაცხელია
ზაზა კოშკაძე
ეკა ქევანიშვილი
ლელა სამნიაშვილი
გიორგი შონია
ირინა ტაბალუა
ელიზბარ ელიზბარაშვილი
მინდია არაბული
ცირა ყურაშვილი
ლელა კოდალაშვილი
ამბროსი ბრიშიკაშვილი
მაია გოგოლაძე
ლულუ დადიანი
ნუცა ქათამაძე
ბექა ბარქაია

გამომცემლობა – „საუნჯე"
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
ელ–ფოსტა: akhalisaunje@gmail.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.newsaunje.ge

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1 ნომრის ავტორები

## ზვიად კვარაცხელია – სტაიერი ტექსტების მდინარეში

*„დაკარგული, დაწყევლილი, გაბრაზებული, შეშფოთებული, გაჭედილი და კიდევ რა ვიცი, რამდენნაირი თაობაა წიგნში და ცხოვრებაში, ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო ადრე იყო და ვის დასცალდა მეტხანს. ჩვენისთანა მაინც არც ერთი არ არის. ჩვენ დანაღმულები ვართ, შიგნიდან გვაქვს წამზომი ჩართული და კაცმა არ იცის, როდის აეფეთქდებით, როდის ამოვაღებინებთ სისხლს...“ – „ფორმა N100“.*



„ფორმა N100“ ზვიად კვარაცხელიას რომანია, დანაღმულებისა და წამზომჩართულების თავგადასავალი, სადაც დროდადრო მართლა ფეთქდებიან და სისხლსაც აღებინებენ. „ფორმა N100“ – როგორც ჩვენი ავადმყოფობის ისტორია და ასევე ჯანმრთელობის ცნობაც, თქვა ზვიად კვარაცხელიამ ერთ ინტერვიუში „საბას“ მიღების შემდეგ. და როგორც ნამდვილ ფორმა 100-ში, აქაც არაფერია დამალული. კითხულობ მთელ ამ „ავადმყოფობის ისტორიას“ და ყოველი გვერდის შემდეგ იმ დროში ბრუნდები, სადაც ყველაზე ცუდად იყავი და რომლის დავიწყებასაც ასე ძალიან ცდილობ. ზოგჯერ სახელის დარქმევაც კი გიჭირს ასეთი სასოწარკვეთილი თავგანწირვისა თუ წამლეკავი სისასტიკისთვის. ყოველ ჯერზე გინდა, თავქუდმოგლეჯილი გაიქცე. სუნთქვა გავიწყდება და საკუთარ თავს ეკითხები, ეს ასე იყო? კი, ასე იყო! და აგრძელებ. რაც უნდა „გაქცევა“ გინდოდეს, „ფორმა N100“-ის კითხვას ასე იოლად ვერ შეწყვეტ – ამას ვერც ფორმის, ვერც ენის და ვერც შინაარსის გამო ვერ იზამ. როგორც მოჯადოებული, ისე მიჰყვები სიტყვებს და ამბებს – ვითომ ნაცნობს, და მაინც სულ სხვა თავგადასავალს.

„ფორმა N100“ „საბას“ გამარჯვებული 2014 წელს გახდა, წლის საუკეთესო რომანის ნომინაციაში. ზვიად კვარაცხელიას გამოცემული აქვს წიგნები: „მარჯვე ნა“, „ქარაგმა“, „ჰაე“, „ილია სამეგრელოში“, „ყიფლიბანდი“... თანამშრომლობს სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემასთან, სადაც ბეჭდავს ნოველებს, მინიატიურებსა თუ მხატვრულ-დოკუმენტურ ტექსტებს. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, თურქულ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე, და შესულია რამდენიმე გამომცემლობის ანთოლოგიებში. სხვადასხვა დროს იყო საზოგადოებრივი და ლიტერატურული ჟურნალების არტრედაქტორი და რედაქტორის მოადგილე. 2013 წლიდან ის ინტერნეტგამოცემა mastsavlebeli.ge-ს ბლოგერიცაა.

ზვიად კვარაცხელია წლებია, ორ გამომცემლობაში მუშაობს. ისე მოხდა, რომ მისი საქმე დღეს მხოლოდ ტექსტებია – ყველა მიმართულებით და ყველა მნიშვნელობით – თავისი, სხვისი, ძველი, ახალი, ქართული, უცხოური. შეიძლება ითქვას, რომ ის ერთდროულადაა სცენაზეც და კულისებშიც; „პარტიზანივით“ – მწერლებისა და გამომცემლების „ფრონტზე“. თუმცა თვითონ არ მიიჩნევს, რომ აქ რომელიმე

**მხარე არსებობს, რადგან თანამოაზრეობის გარეშე „წიგნის მაგია" ვერასდროს შედგება. წლებია, უყურებს, როგორ იცვლება წიგნის სამყარო; რა მოაქვს დროს საქართველოშიც და სხვაგანაც; როგორ შეიძლება, ყველა სიახლე, თუნდაც ელწიგნები და ინტერნეტი ბეჭდური წიგნის „სამსახურში ჩააყენო"; ხედავს, ყველაფრის მიუხედავად, როგორ იბრძვის და იმარჯვებს მწერალიც, გამომცემელიც და წიგნიც! ჯერჯერობით!**

**„თანამოაზრეები და წამქეზებლები".** პარტიზანიჟით არა, მგონი, უფრო იმ სტაიერივით ვარ, რომელმაც შორი მანძილების დაძლევისას გზადაგზა მოთმინება, ნებისყოფა, შრომისუნარიანობა, სტრესისა და ცაიტნოტის ყოველწუთიერ ჩვევად მიღების უნარი გამოიმუშავა. აქ კი ყველაფერი გეხმარება, თუკი დამხმარედ აღიქვამ და არა ხელის შემშლელად. მწერლები და გამომცემლები მხოლოდ უცხო თვალისთვის შეიძლება იყვნენ სხვადასხვა ნაპირზე, სინამდვილეში ისინი (და არა მხოლოდ – სხვა პროფესიის ადამიანებიც მათთან ერთად) თანამოაზრეები არიან, ერთმანეთის წამქეზებლები და ამ მაგიური პროცესის – წიგნის შექმნის – განუმეორებელი აქტორები.



ძმასთან ერთად

**„აღმოჩენების ჩამთრევი ნაკადი".** ათი წელია, რაც „ინტელექტსა" და „არტანუჯში" ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში, სხვებთანაც მითქვამს, ოდნავადაც არ გამნელებია რაღაცის (ვიღაცის) პოვნის, შექმნილის გამოსაქვეყნებლად მომზადების და ამ გრძნობის უამრავი ადამიანისთვის გაზიარების სურვილი. იცხოვრო, რომ მოჰყვეო, – გვითხრა გამოცდილმა და თავისი საქმის მცოდნე კაცმა, მაგრამ ის განცდაც მაგარი ყოფილა: იცხოვრო, რომ მოჰყვეს (მოჰყვნენ); ყოველდღიურად უამრავ თანამედროვე მწერალთან, მთარგმნელთან, ლიტერატორთან, კრიტიკოსთან, მეცნიერთან, რედაქტორთან, ილუსტრატორთან და ჟურნალისტთან ურთიერთობა უნიკალურ გამოცდილებასაც გაძლევს და სხვა გამოსავალს არ გიტოვებს – რომ შეცურე და ჩამთრევმა ნაკადმა ხელ-ფეხში ოსტატობა მოგცა, გინდა ახალი შესაძლებლობები და მასთან ერთად ახალი წიგნები/ავტორები აღმოაჩინო.

**„აზარტი, ხელშეწყობა და კონკურენცია".** არა მგონია სუბიექტური ვიყო, უკვე ბევრჯერ და ბევრგან დადასტურებულა, რომ საგამომცემლო საქმე, მიუხედავად მის წინააღმდეგ მუდმივად მიმართული ხელის შემშლელი ფაქტორებისა, წარმატებული და დაწინაურებული სფეროა ჩვენს ქვეყანაში. ზოგიერთი ნიჰილისტის თავგამოდებულ ქადაგებასა და პრესიდან/სოციალური ქსელიდან აგორებულ აგრესიულ ნიაღვარს დიდ რამედ თუ არ ჩავაგდებთ, უფრო უკეთ დავინახავდით, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურა სწორედაც მოწოდების სიმაღლეზეა და ის კლიშეც – „ილია და გალაკტიონიც მწერლები არიან და ესენიც" – თავზე გადაეფშვნებათ ლიტერატურის ფსევდოგულშემატკივრებს; რაც შეეხება ტენდენციებს – ელექტრონული წიგნი ჯერჯერობით ახლოსაც ვერ მივა ბეჭდურის მოთხოვნასა და პოპულარობასთან საქართველოში, ამიტომ საფრთხე კი არა, პირიქით, ხელშემწყობი პლატფორმაა წიგნის უფრო მეტად წარმოჩენისთვის. სფეროში არსებული კონკურენცია და ერთგული, მომთხოვნი, დადარაჯებული მკითხველის თვალი კი ამ პროცესის ყველა მონაწილეს აიძულებს, იზრუნოს ხარისხზე, წიგნის გამოცემის, გავრცელების, პოპულარიზაციის ეფექტიანობასა და მასშტაბზე. ეს უწყვეტი, დაუსრულებელი პროცესია, ან გბეზრდება და ეთიშები ან აზარტში შედიხარ და უკან დასახევს არ იტოვებ.

**ზვიად კვარაცხელია 1986 წელს დაიბადა ზუგდიდში. საბჭოთა კავშირის ბოლო წლები და დამოუკიდებელი საქართველოსთვის მრავალწლიანი ომებისა და კატაკლიზმების დასაწყისი. მის მოთხრობებში, ნოველებში, რომანსა თუ ბლოგებში ყველაზე მეტი სწორედ 90-იანი წლებია – ადამიანები, კადრები, მოვლენები, ამბები. როგორც თვითონ წერს, ეს არის ყველაფრისთვის თვალის გასწორების მცდელობა. ამ გადასახედიდან, ალბათ, თვალის ახელის მცდელობაც, თუკი მწერლობას, ტექსტებს ამ „საქმესაც" დავავალებთ. ომის, სამოქალაქო დაპირისპირების ერთ-ერთ ეპიცენტრად და ათასობით დევნილის თავშესაფრად ქცეული პროვინციული ქალაქი და „ბავშვის თვალით" დანახული ამბები – ცხოვრება, სიკვდილი და გადარჩენა ომში.**

**„ომის ნატურალიზმი და ომში ნაპოვნი პერსონაჟები".**



ისე მოხდა, რომ „ბავშვობის მემუარებში" (როგორც ერთ ინტერვიუში შევარქვი 90-იანებზე დაწერილ ტექსტებს ცოტა ხატოვნად) არაერთი ამბავი და პერსონაჟი შევიტანე იმ წლებიდან, როცა ბევრი რამ გადაწყდა და გამოიკვეთა ჩვენი ქვეყნისთვის. ნოველების კრებულს „ყიფლიბანდი" ვუწოდე და ვეცადე თოთო თავისუფლების პირობებში აღძრული ყველა განწყობისთვის/შეხედულებისთვის გამესწორებინა თვალი. ზუგდიდი, როგორც ბოლო ოცდაათი წლის პოლიტიკური და სოციალური მოვლენების ერთ-ერთი ეპიცენტრი, ხშირად გვხვდება ქართველ მწერლებთან, მაგრამ „ყიფლიბანდსა" და შემდგომ რომან „ფორმა N100"-ში უფრო გამოკვეთილია ბავშვის თვალით აღქმული გარემო, რომელსაც ერთდროულად დაატყდა ომი, გადატრიალება, დევნილთა ტალღა, სოციალური სიდუხჭირე, ნიჰილიზმისა და უიმედობის ჭარბი დოზა, სადღაც ამსჯელოდ ჩამოსული კრიმინალები დედაქალაქიდან. ის, რასაც ბევრი ჩვენგანი დღეს კინოში ან ფეისბუქის ნიუსფიდზეც კი თვალს არიდებს, ჩვენ მთელი ნატურალიზმით დავინახეთ, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ შავ-თეთრი, როგორც ახლა ცდილობენ წარმოაჩინონ. საოცარი რამ მოხდა: პატარა ქალაქმა, ისევე როგორც მთელმა ქვეყანამ, უკიდურეს გაჭირვებაში გამძლეობის განსაკუთრებული უნარი გამოავლინა. გამცემების, მოღალატეების, წელიწადნახევრის წინ დიდი ერთიანობით არჩეული პრეზიდენტისა და წელიწადნახევრის შემდეგ პარლამენტის დამამხობელთა გვერდით, ადამიანური სიმტკიცის, თავდადების, პრინციპების ერთგულებისა და ერთმანეთის თანადგომის იქამდე არნახული შემთხვევებიც ვნახეთ.

**„წარსულის უსწავლელი გაკვეთილები".** ამ თავსგადამხდარმა ამბებმა გადარჩენაში კი დაგვაოსტატა, მაგრამ განვითარების უნარებიც უხვად წაიღო ჩვენგან. ამიტომაა, იქაურობას რომ ვერ გამოვალწიეთ თავი. ცხადია, ეს მარტო ჩვენი ბრალი არ არის, უფრო სწორად, ჯერ რუსეთის იმპერიული მანქანის მიზეზითაა, ყოველდღიურად რომ საფრთხეშია ჩვენი სახელმწიფო. „პატარა ქვეყნის შვილობა" – ჩვენისთანა გეოპოლიტიკურ ველზე მოხვედრილ ქვეყანას ვგულისხმობ – რისკი და თავგადასავალია, მუდმივად დაჭიმულ მდგომარეობაში ყოფნა. ამ ფენომენის ასე, დადებით და უარყოფით ფაქტორებად ჩაშლა არ მიმაჩნია სწორად, რადგან წინასწარ ვერც ვერაფერს იტყვი და ვერც განსაზღვრავ – საჭირო რეცეპტებს რომ თავი გავანებოთ, წარსულის ერთი გაკვეთილიც ვერ ვისწავლეთ ვერც ზეპირად და ვერც კარგი კითხვით.

**„იდეალისტის და ღირსების საქმე".** ბევრს დაუჩივლია, რომ ქართული ენისა და ქართული დამწერლობის მცოდნეთა არც თუ ისე მრავალრიცხოვანი წრისთვის წერა იდეალისტის საქმეაო. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ აქ რაციონალური გათვლები და თავზე ნაცრის დაყრის აპრობირებული ტენდენცია ჩვენი მოკავშირე ვერ იქნება, მით უფრო ზოგიერთი უბადრუკის ხმამაღალი განცხადება, რომ მისი ლოკალურ ზონაში ჩარჩენის მიზეზი ეს „შეზღუდული შესაძლებლობებია". საერთოდ, ყველა თავმოყვარე ქვეყანა თავისი ტრადიციების ერთგულია და ეს ჩვენი, თანამედროვე ქართველი ავტორების და გამომცემლების ღირსების საქმეა, რომ ვწერდეთ და გამოვცემდეთ იმ ენაზე/იმ ანბანით, რომელზეც ჩვენზე ათი თავით უკეთესი წინაპრები წერდნენ და გამოსცემდნენ; საყოველთაო აღიარება ადვილად არ ხდება, დიდი ხნის მზადება და სხვადასხვა ინსტიტუციის მიზანმიმართული შრომა უნდა, თუნდაც ერთი მწერალი რომ სრულყოფილად გაიცნოს დასავლურმა სამყარომ, ამიტომ არაფრისმომცემი მიზეზებით მანიპულირებას ისევ თავდაუზოგავი შრომა სჯობს.

**ზვიად კვარაცხელიას „ილია სამეგრელოში" 2009 წელს დაიბეჭდა. დიდი ძალა და მონდომება იყო საჭირო 120 წლის წინანდელი მოგზაურობის „გასაცოცხლებლად". ხანგრძლივი და დიდი სამუშაო, – დოკუმენტური მასალების მოძიება და დამუშავება, ოსტატობა და მწერლის ფანტაზია, – რაც დოკუმენტურ-მხატვრული ტექსტის შექმნას დასჭირდა. როცა დღეს წერისთვის საჭირო გარემოებებსა და წერის დაუძლეველ სურვილზე ეკითხები, მაგალითად სწორედ თავისი „ილია სამეგრელოში" მოაქვს – წიგნი, რომელზე მუშაობაც დიდი ხნის წინათ ცნობისმოყვარე ბავშვის შეკითხვებით დაიწყო და დასრულდა საქართველოში კიდევ ერთი ომის დროს, 2008 წლის ზაფხულში, როცა ყველა ძველ და ახალ შეკითხვას გასცა პასუხი.**

**„აბსოლუტური სიჩუმე და სხვა ინსტრუმენტები".** არცერთი ნაწარმოების დაწერის ამბავი ერთმანეთს არ ჰგავს, მაგრამ როგორც კითხვას, წერასაც თითზე ჩამოსათვლელი ინსტრუმენტები სჭირდება – დრო, ნებისყოფა, შრომისუნარიანობა და მეტ-ნაკლები ნიჭი. ამასთან ერთად კომპიუტერი, საწერ-კალამი,



შვილთან ერთად

ქაღალდი, ზოგისთვის – თამბაქო, ჩემთვის – აბსოლუტური სიჩუმე (ამიტომაც გვიან ღამით ან დილაადრიან ვწერ ხოლმე). ეჭვი მაქვს, ავტორები ამ შეკითხვაზე თავისი გამოცდილების დასამოწმებლად უფრო მხატვრულ ტექსტებს არჩევენ, მე ჩემს დოკუმენტურ პროზას მოვიშველიებ.

**„სწორი პასუხები და ტრაგიკულ დღეებში მოსული სიცხადე“.** აღდგენილი სიმართლე. ილია ჭავჭავაძის სამეგრელოში სტუმრობის ამბები ბავშვობიდან მაინტერესებდა. ხშირად შემინიშნავს ჩემი მშობლიური ქალაქის – ზუგდიდის ცენტრში, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და თეატრის ფასადზე გაკრული განიერი წარწერა: „სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე“. ეს წარწერები ძირითადად საიუბილეო დღეებში ან წინასაარჩევნოდ ჩნდებოდა, მაშინ კი, დამეთანხმებით ალბათ, არავის სცალია იმისთვის, რომ დააკმაყოფილოს ცნობისმოყვარე ბავშვი – პასუხი გასცეს მის გაუთავებელ შეკითხვებს... წლები რომ გავიდა, თითქმის ყველაფერი წავიკითხე, რაც ილიას მარტვილსა და ზუგდიდში მოგზაურობას ეხებოდა და 2008 წლის ზაფხულში, ივლის-აგვისტოს ცხელ და ტრაგიკულ დღეებში გავეცი პასუხი დაგროვილ შეკითხვებს, უფრო სწორად, ჩემთვის აღვიდგინე, თუ რა მიზეზით შეიძლება სწვეოდა სამეგრელოს „მშობელი ქვეყნის მოზარე“, ვისაც დიდად არ იზიდავდა მოგზაურობა.

**„სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე“.** პირველი, რაც გვახსენდება და ფაქტებითაც დადასტურებულია, არის ნიკო დადიან-მინგრელსკის ძვირფასი შემოწირულობის – დადიანების უნიკალური ბიბლიოთეკის – ჩამოტანა თბილისში, რის საფუძველზეც შემდგომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა შეიქმნა; არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი: იმპერიის გამარუსებელი პოლიტიკა განსაკუთრებული სიმწვავით იმ კუთხეებს მიადგა, ვისაც საკუთარი ენა ჰქონდა. შეუქმნეს ანბანი, დაუდგინეს მასწავლებლები და შეეცადნენ მთელი მოსახლეობის დარწმუნება, რომ ისინი საქართველოს განუყოფელი ნაწილი კი არა, ცალკე ქვეყნები იყვნენ. მაშინ დიდი გონიერება გამოიჩინა სამეგრელოს შეგნებულმა საზოგადოებამ – სასულიერო მოღვაწეებმა, მწერლებმა, მასწავლებლებმა. მათ ქადაგებებით, მწვავე კრიტიკული წერილებითა და აქტიური საგანმანათლებლო საქმიანობით დაუმტკიცეს ხალხს, რომ ეს მოჩვენებითი წყალობა ჯერ ერთი კუთხის, შემდეგ კი მთელი ქვეყნის იმპერიის რიგით ოლქად გადაქცევით დამთავრდებოდა. ამ ყველაფრის უტყუარი დადასტურება იყო ილია ჭავჭავაძის სტუმრობა და მისი ფრაზა: „სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე“.

**ზვიად კვარაცხელიას „ყიფლიბანდში“ დაბეჭდილია ერთი ნოველა – „მემაწვნე გოგია“. თუ ოდესმე ვინმე მკითხავდა, რას შეიტანდი სკოლის პროგრამაშიო, ვუპასუხებდი – „მემაწვნე გოგიასაც“. გოგიას არჩევანს, – ბორგვით და ტკივილით მიღებულ გადაწყვეტილებას ომის, კონფორმიზმისა თუ ფსევდოპატრიოტიზმის წინააღმდეგ, – ალბათ ყველაზე დიდი ფასი აქვს, ჰქონდა და ექნება. იქნებ ერთი გზა ესეც ყოფილიყო წარსულის გაკვეთილების დასასწავლად და ისტორიის სხვანაირად დასანახავად. მისთვის, როგორც მწერლისთვის, ნამდვილი ისტორია ბევრ მხატვრულ ტექსტში იკითხება და ფიქრობს, რომ პრობლემა დაუწერელი ტექსტები კი არა, დაწერილის არწაკითხვა და ვერგაგებაა; და კიდევ წლების განმავლობაში მკითხველამდე ვერმისული თუ არმისული კარგი ავტორები და კარგი ტექსტები.**

**„ტკბილი ცხოვრება და კონფორმიზმით გამთბარი ძვლები“.** ყველაფერი მარტივი ქცევებიდან და ჩვევებიდან იწყება. ოთარ ჭილაძემ თქვა თავის ჩანაწერებში, – ვინც გარეწარს ხელს ართმევს, თვითონაც გარეწარია, გარეწრობა გადამდებიაო. ძალიან ბევრი მოვითმინეთ და ვითმენთ ახლაც მაღალი ტრიბუნიდან: ღალატს, დაცინვას, ხალხის აბუჩად აგდებას, არაპროფესიონალიზმის აღზევებას, კრიმინალების საპატიოდ დასახვას და პატივით დამარხვას; ეს პერმანენტულად გრ-

ძლდება და ამასობაში ყველაზე ადვილი გაკვეთილებიც კი გავაცდინეთ, ისეთი, მარტო დანახვით და მოსმენით რომ შეიძლებოდა სასარგებლო დასკვნის გამოტანა. რა გინდა რომ ქნა – კონფორმიზმი ბარიკადებზე დგომით შეციებულ ძვლებს ათბობს და ტკბილ ცხოვრებას გაძალებს, სანამ არ მიხვდები, რომ ამ შემგუებლობით თავი შეგზიზღდა. გამოსავალი ისაა, რომ ხმის ამოღება და ერთმანეთის დაცვა არ უნდა დაგვეზაროს არცერთ საჭირო შემთხვევაში, თორემ ყოველი პასიური მომენტით ის ისარგებლებს, ვინც ამ საქმეში თავი არაერთხელ გამოიჩინა.

**„ჯოჯოხეთის მემატიანეები და მოუწყინრად საკითხავები“.** ჯერ რაც დაწერილა, იმის წაკითხვაც არ გვაწყენდა. ჰო, იტყვიან ხოლმე, – ისტორია თავიდანაა დასაწერიო, და ვინმე რომ გამოჩნდება, ან თუ იქამდე ვინმემ რამე გააკეთა, ვითომც არაფერი. ისტორია ჩვენთან იწერებოდა ყველაზე ჯოჯოხეთურ პერიოდშიც კი, ცხელ კვალზე. ყველა დროს ჰყავს თავისი მემატიანე, უბრალოდ მათ უნდა ვიცნობდეთ – ჯერ მარტო მეოცე საუკუნე მიხეილ ჯავახიშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, გრიგოლ რობაქიძემ, ოთარ ჩხეიძემ, ოთარ ჭილაძემ, გურამ გეგეშიძემ და ირაკლი სამსონაძემ რომ აღწერეს თავიანთ რომანებში, რომელი ისტორიკოსის ნაშრომი გვეგულება უფრო სანდო, მოუწყინრად საკითხავი და



ოთარ ჭილაძესთან ერთად

შთამბეჭდავი. თქმა ადვილია, შესრულებას კი ნიჭი, გამბედაობა და თავის გადადება უნდა. მერე ვიღაც გამოვა, ხელებს გაშლის და რაც იქამდე იდეოლოგიური ნაგავი გამოუხვეტელად შეიტკბო, მერე იმას მთელ თავის სიუხვისად ქართულ მწერლობას მიაფრქვევს. კლიშეებით და სტერეოტიპებით ლაპარაკი ისტორიასა და ლიტერატურაზე უკვე სასაცილოც აღარაა.

**„წიგნების ბედისწერა და დაზარალებული მკითხველი“.** კომპლექსური და მრავალშრიანია ეს „მისვლა-არმისვლის“ საკითხი, ზოგჯერ ძალიან მარტივი რომ გეჩვენება მისი მიზეზების ძიება და ზოგჯერ იმდენად რთულდება, ჩაყოლაც არ ღირს. თუ იმ ანტიკური პრინციპიდან გამოვალთ, რომ ყველა წიგნს თავისი ბედისწერა აქვს, შეგვიძლია არაერთ გამორჩეულ ავტორსა და ნაწარმოებზე დავიიმედოთ თავი, მაგრამ თუ მხოლოდ დამუნათების გუნებაზე ვართ, შეგვიძლია ყველას და ყველაფერს დავაბრალოთ, რომ, ვთქვათ, ლეო ქიაჩელი და შოთა ჩანტლაძე ისე პოპულარულები არ არიან, როგორც იმსახურებენ. არც ალექსანდრე საჯაია, ბასილ მელიქიშვილი, ნოდარ წულეისკირი, რენე კალანდია, მამუკა წიკლაური და ლევან ბოლქვაძეა შესაფერისად წაკითხული და გააზრებული და ყველაზე მეტად მკითხველი დაზარალდა ამით. ცხადია, ბოლო ხანებში იყო მათი ნაწარმოებების გამოცემისა და პოპულარიზაციის ცდები, მაგრამ ეს ერთჯერად, ფრაგმენტულ ფაქტებად რჩება, თუ გამომცემელიც, ლიტერატურული პრესაც და მკითხველიც ხელახლა და ხშირად არ მიუბრუნდა და სამწერლო ცხოვრების სრულფასოვან ნაწილად არ აქცია სხვადასხვა მიზეზით უყურადღებოდ დარჩენილი ავტორები.

**ზვიად კვარაცხელიას გამომცემლობებში საქმიანობას რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი უკავშირდება – „ჩანაწერები“, „ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი“, „უცნობი გრიგოლ რობაქიძე“, „იონა მეუნარგიას ხუთტომეული“, „ფეხბურთელების ავტობიოგრაფიები“ და სხვა. ზოგი მათგანი დასრულდა, ზოგი დღესაც გრძელდება. მისთვის ეს საქმე „ჩიხის“, „კედლების“ და ჩაკეტილი წრეების წინააღმდეგ სვლაა, ასევე ახალი ფერების და სიტყვების პოვნის შესაძლებლობა. ის ხშირად ამბობს, რომ აუცილებელია ევროპის გამოცდილების გაზიარება, სახელმწიფოს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია მწერლის და ლიტერატურული პროცესის მხარდასაჭერად. ლიტერატურის განვითარება ნიშნავს კულტურის და შესაბამისად,**

**ქვეყნის განვითარებას. ახლა ერთდროულად რამდენიმე ტექსტზე მუშაობს – ახალი რომანი, დოკუმენტური პროზა, ბლოგები, და კიდევ არის „მისამთავრებელი“ ამბები ფაილებსა და ბლოკნოტებში.**

**„მეკარის გამოცდილება, რისკი და ახალი სახელები“.** „ინტელექტსა" და „არტანუჯში" განხორციელებული პროექტები – ზოგი ჩავლილი, ზოგიც მოქმედი – ეფექტურად მოგერიებული დარტყმებივით ან გაშვებული გოლებივით მახსენდება (რა ვქნა, „წინა ცხოვრებაში“ (სკოლის წლებში) მეკარე ვიყავი და ეს ასოციაციები ხშირად მიტრიალებს ხოლმე). მთლიანობაში ყველაფერი გამოცდილებას გძენს, მაგრამ იმასაც ხვდები, სად ივარგე და გამოიცანი იდეის სიცოცხლისუნარიანობა, სად აჩქარდი და გაგეპარა მომენტი. „ჩანაწერები", „ერთი მედევრის ყველა ქართული თარგმანი", „უცნობი გრიგოლ რობაქიძე", თანამედროვე ქართველი და უცხოელი ავტორები, კლასიკური ლიტერატურის ახალი თარგმანები და გამომცემელთა დიდი ნაწილისგან ერთმნიშვნელოვნად დაწუნებული პოეზია – რისკი და ახალი სახელები დინამიკას და სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებს ამ პროცესს. ვიღაცებს ურჩევნიათ, ერთსა და იმავე წრეზე იტრიალოს ლიტერატურამ – ასე ადვილია, მაგრამ ეს ჩიხში მომწყვდევასავითაა. კედლები რატომ უნდა ამოიშენო, როცა შეგიძლია უამრავი ახალი ფერი, ბგერა, ახლებურად ნათქვამი სიტყვა მოისმინო. ეს მარტო კერძო სექტორს კი არა, სახელმწიფო ინსტიტუტებსაც უნდა აინტერესებდეთ და ათჯერ მაინც უნდა გაიზარდოს წიგნის ხელშეწყობის პროგრამა, აქაც და უცხოეთშიც ჩვენი მწერლობა რომ ანგარიშგასაწევი გახდეს.

**„მხარდაჭერის პროგრამები და მოკლედ გრძელვადიან პროექტებზე“.** ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ სკანდინავიური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას, რომლის საფუძველზე რამდენიმე მიმართულების ამოქმედება ახლავე შეიძლება, თუკი, რა თქმა უნდა, ამის ნება იქნება ხელისუფლებისგან: *1) მწერლების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა*, რომელიც დააფინანსებს ქართველი ავტორების ცხოვრებასა და შრომას, შეუქმნის ფინანსურ თუ ყოფით პირობებს იმისთვის, რომ წერონ – ტექსტზე ფიქრსა და მუშაობას დაუთმონ ძირითადი დრო. საქართველოში თითქმის ყველა ავტორი თავს არამწერლური სამსახურით ირჩენს, ამიტომ ყოველდღიურად იკარგება ის პოტენციალი (და ეს ბოლო წლებში განსაკუთრებით გამოჩნდა), რომელიც ლიტერატურის/კულტურის განვითარებას უნდა მოხმარებოდა. ცხადია, არსებობს ავტორების შერჩევის კრიტერიუმები და პროგრამის მომზადების დროს, საკონკურსო დოკუმენტში აუცილებელია ამ დეტალების გაწერა და შემდგომ გათვალისწინება; *2) წიგნის მხარდაჭერის პროგრამა*, რომლის მსგავსიც, ვთქვათ, ნორვეგიაშია: სახელმწიფო ყოველწლიურად შეისყიდის იმ წელს გამოცემული ყველა თანამედროვე ავტორის წიგნის 700 ეგზემპლარს საბიბლიოთეკო ქსელისთვის. ეს ემედება რამდენიმე მხარეს აძლიერებს: მწერალს, რომელმაც იცის, რომ მისი ყოველი ახალი წიგნი გარანტირებულად შვიდასი ეგზემპლარი გაიყიდება, გამომცემელს, ბიბლიოთეკებს და მკითხველს, რომელსაც, ბუნებრივია, ყველა წიგნის შეძენის საშუალება არა აქვს; *3) გრძელვადიანი კამპანია „თანამედროვე ლიტერატურა სკოლაში“*, რომელიც უწყვეტად, მიზანმიმართულად, სხვადასხვა ღონისძიების სახით (თანამედროვე ავტორების ტექსტების სასკოლო პროგრამაში შეტანა, შეხვედრები მწერლებთან, სადისკუსიო კლუბებისა და ელექტრონული პლატფორმების შექმნა) განხორციელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ის ერთდროულად რამდენიმე მიმართულებითაა საჭირო და აქტუალური: ა) წიგნის კითხვის პოპულარიზაციისათვის; ბ) მასწავლებლების ახალი, პროგრესული ნაკადის გამოჩენისთვის, რომელიც ლიტერატურას ცოცხალ ორგანიზმად აღიქვამს და არა გაქვავებულ, სტატიკურ მასალად; გ) ახალგაზრდებში სკოლის ასაკიდანვე გაჩენილი ინტერესისათვის თანამედროვე ლიტერატურის მიმართ, რაც ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, იმ სტიგმასაც მოგვაშორებს, რაც უკვე ვახსენე.

**„მუდმივი სამუშაო და გაუცხოების შეუძლებლობა“.** ისე აეწყო, რომ ბევრ რამეზე ვმუშაობ ერთდროულად: ახალ რომანზე, დოკუმენტურ პროზაზე, ყოველთვიურად ბლოგებს ვწერ ინტერნეტგაზეთ „მასწავლებლისთვის“ (ეს უკვე რამდენიმე წელია გრძელდება და მადლობელი ვარ, წერასთან გაუცხოების საშუალებას რომ არ მაძლევს), მისამთავრებელი ნოველებიც უხვად მაქვს ბლოკნოტებსა და ფაილებში. 2010 წელს ასეთი გულუბრყვილო რაღაც ჩამიწერია: „რამდენს ინატრებდიო, რომ მკითხონ, სისხლსავსედ ცხოვრების ხუთ წელს ვიკმარებდი ალბათ, ოღონდ თუ ამაში ძილი და დასვენების საათები არ ჩაითვლება. რომ შემეძლოს, ძილს ამოვშლიდი ჩემი ცხოვრებიდან". ახლა ისე ხდება, რომ ყველაზე მეტად დილის ძილს ვერ ველევი, ბავშვებს ოთახიდან დავიფრენ და ჯერაც თბილი, შერჩენილი სიზმრის ფრაგმენტებს მივუბრუნდები ხოლმე.

**P.S. „ჩემი პირველი მასწავლებელი“ ზვიად კვარაცხელიას ერთ-ერთი ბლოგია. ეტიუდი ომით შეცვლილი პატარა ქალაქის ცხოვრებასა და 1994 წლის სექტემბერში მომხდარ ერთ ამბავზე, რომელიც, როგორც თვითონ წერს, იმ დროის წარუშლელ ილუსტრაციად ჩარჩა და ხშირად ახსენდება, რადგან „ეტყობა ბავშვის გონებაზე – ტაბულა რაზაზე – აიკრიფა და მერე ვერაფერმა წაშალა“.**

**რამდენიმე ნაწყვეტი „ჩემი პირველი მასწავლებლიდან“.**

„მე და ჩემი ძმა ის იშვიათი ბავშვები ვიყავით, ვინც პირველ სექტემბერს – პირველი კლასის პირველ სექტემბერს – უკვე იცნობდა თავის მასწავლებელს. მერი ბულია ჩვენი კარის მეზობელი იყო და მან იმ 90-იანებში, უფრო კონკრეტულად კი 1994 წლიდან, ჩვენთვის არა მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება ითავა, არამედ სახლიდან სკოლამდე და სკოლიდან სახლამდე მშვიდობიანად მიყვანაც. აოხრებულ, დარბეულ ქალაქს ყოველდღიურად, დილაობით, სკოლისკენ მიმავალი მოსწავლეები აცოცხლებდნენ, რადგან მათ მშობლებს და მასწავლებლებს ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ ომი, ბინძური პოლიტიკა და განუკითხაობა ცხოვრების წესად არ უნდა ქცეულიყო...

ჯიხურს რომ გავცდით და ის-ის იყო თეატრისკენ უნდა გაგვეხვია, რომელილაც მოსახვევიდან ხრიალის, დგანდგარის, გრუხუნის, ხავილის, ყეფის ხმა მოგვაწყდა ერთიანად. შემობრუნება ძლივს მოვასწარით და ტანკიც გამოჩნდა. შორიდანაც ჩანდა: შიგ მეზღვაურის მაისურგადაცმული ტიპი იჯდა, რომელიც სწრაფად და ნერვიულად მოაგორებდა ტანკს. თავი პირდაპირ ჩვენკენ დაეღერებინა, სიჩქარეს არ უკლებდა და ადგილზე გაქვავებულები, ფეხმოკვეთილები ველოდით, როდის ამოიჭრებოდა ტროტუარზე.

მაგრამ უცებ, თითქოს საჭე გაუსხლტაო, ოდნავ მხარი უქცია და წონასწორობადაკარგული პალმას შეასკდა. პალმა ჯერ დაიზნიქა, შემდეგ წამოიმართა, ისევ დაიზნიქა და გადატყდა. ტანკისტმა ერთი გაოცებულად მიმოიხედა, შეიგინა, რამდენიმე წამით შეგვატოვა მზერა, ტანკი მოატრიალა და გაგვეცალა...

– წამოდით, რას უყურებთ?! – მერი მასწავლებლის ხმამ გამოგვარკვია. შიშნაჭამები, დაზაფრულები ვიდექით და ბოლომდე არ გვჯეროდა, რომ ის, რაც წუთნახევარში მოხდა, ფილმი ან ფილმიდან ჩარჩენილი სიზმრის ეპიზოდი არ იყო. „წამოდით, ფეხი გამოადგით!“ – ხმამაღლა გვეძახდა მერი ბულია და თავისკენ გვექაჩებოდა, თითქოს ეშინოდა, რამდენიმე წამის წინ მომხდარ ამბავს არ მოვენუსხეთ და სწავლაზე კი არა, მშვიდი პალმების აყირავებაზე გვეფიქრა, იმ საქციელებზე, რომელიც დედაენაში არ წერია, მაგრამ აი იასავით სწავლობენ ისინი, ვისაც ომი და სისხლი სწყურია...“



ვახტანგ ჯავახაძესთან ერთად
დეა სოსელიას ფოტო

# ერთი მწიკვი სიმართლე

*ეს ყველა ისე სწრაფად მოჰხდა, ისე სწრაფად,*
*რომ კაცი ძლივს მოასწრებდა თვალს....*
***ალექსანდრე ყაზბეგი***

## 1.

### ლუბა

შავლეგი, კაცო?! დედამისის გაზრდილი ვარ, ძუძუ არ უწოვებია, თორემ სანამ თავისი პატარები შეესვეოდნენ, გულში ეყავდი ჩახუტებული. მერე მე დავტრიალებდი იმის პაწაწინა გოგო-ბიჭს.

ეტყობა ასეა მოწყობილი – რაც თვალს ახარებს, დიდი ხანი ვერ რჩება, ყოველი წამი დათვლილი აქვს ზევიდან. როცა დრო მოაწევს, დაუძახებენ და... ხან ტრაგიკული შემთხვევა ჰქვია ამას, ხან – ჩაქცევა და ინფარქტი.

ანევრიზმა, არა? – რა და რა სახელებს არ გამოიგონებენ დალოცვილები, შიში რომ შეაწმინდონ, გული დაიმშვიდონ, მეზობელ-ნათესავებში ილაპარაკონ თამამად: განგებას ვერ წაუხვალ, რაც შევძელით, ეგ იყო, ცდა ჩვენ არ დაგვიკლია და წამალი, უფალთან მართლები ვართო. ეგება ასეც იყოს, მაგრამ მკვდარზე საბრალო მე მაინც ის ქირისუფალი მგონია, თავის მართლებას რომ მოჰყვება.

სამოცდაათისა იქნებოდა, ნამდვილად. ბოლო წლებმა მოტეხა, თორემ სულ ჯანზე იყო, ჩამოწოლილს ვერ ნახავდი. სოფლის ავ-კარგზე ყური ჰქონდა მიგდებული და სხვისიც სტკიოდა, სხვისიც უხაროდა. მახსოვს, მომდურავები ჰყავდა, მაგრამ ნამდვილი კაცები მტერსაც ხელად იჩენენ და არც უშინდებიან.

### ჯავარა

სულ ტყუილად გგონიათ, რომ ვინმეს წინაშე უკადრისი და ცოდვიანი ჩამედინოს რაიმე. მერე რა – იარაღი ვის არ სჭერია ხელში, ოდითგან იარაღში იჯდა ნახევარი ქვეყანა. მიწისა და მამაპაპეული საგანძურის დასაცავად ვარდები და დაფნის რტოები აღარ კმაროდა – არც უწინ, არც ახლა. გულიანი გაბრძოლება, თავდაცვა და შემოტევა იყო ჩვენი გამოსავალი. ამ ბოლო დროს დაიწყეს მშვიდობის ქადაგება, მთელი სამყარო ფეხზე დადგა, ესაო და, სისხლისღვრა უნდა ავიცილოთ თავიდან, ისაო და, ერთმანეთის სიცოცხლეს უნდა გავუფრთხილდეთო. ნეტა მაცოდინა, როდიდან დავჭკვიანდით?! რაც გვიცხოვრია, ომით გვიცხოვრია, იმ ტაძრებსაც ომით ვიცავდით, თორემ, მე შენ გეტყვი, რომელი ერთი შერჩებოდა აქამდე. თავი კი მოგვაქვს, მაგრამ ერთი ისტორიაშიც ჩაიხედეთ, რა მსხვერპლის ფასად შემოგვინახავს თუნდაც ერთი იმათგანი...

გაქწამდი, ჩემო ბატონო, ჭორებს მიყრიან, არამზადებისა და ხელიდან წასულების დასასჯელად დაგეშა ბიჭებიო. ყოველთვის ვამბობდი (ჯანდაბას ჩემი თავი!), მხოლოდ სამშობლოს მოწოდებაზე გამოვალ-თქვა გარეთ, სხვა დროს ხმას არ ამოვიღებ, თითქოს არც ვყოფილვარ-მეთქი. საკეთებლის მეტი რა მქონდა – წინ ისეთი წიგნები მედო, დაწყებული და მისამთავრებელი, ზოგიერთი (გადაჭარბების გარეშე) მთელ ევროპაში სახელს გამითქვამდა. ეჭვი არ შეგეპაროთ, მენატრებოდა კიდეც ჩაჯდომა და მხოლოდ ჩემს ფიქრებში ხეტიალი. ცოდვის კითხვა იყო, ქარიშხლიანი და შინაარსიანი ცხოვრება დაუწერელი დამრჩენოდა. ბევრს შევესწარი, ბევრიც სხვებისგან ვისწავლე ამხანობაში, წესით, კარგი ამბები უნდა გამომსვლოდა. ვინ გაცალა...

არა, ჩემკენ ნუ გამოიშვერეთ თითი, ბედოვლათებო! ვინც გამოიშვირა, აღარ დადგომია ხეირი. ასეთი დაუწერელი კანონი არსებობს ცხოვრებაში: უწყინარი კაცი არ უნდა გამოიწვიო, თორემ რაც სალახანასთან გაგივა, წესიერი არ შეგარჩენს და სანანებლად გაგიხდის საქმეს. აჰ, აჰ, როგორ ვიზოგავდი თავს, მეგობრებსაც ვუფრთხილდებოდი, წამდაუწუმ რომ მაქეზებდნენ, ახლა შენი ჯერია, გამოწვევა უნდა მიიღო, სულერთია – დედიკოს ბიჭის იქნება თუ უკანასკნელი ხულიგნისო. პასუხს ყველა იმსახურებს. მერე ქამაყებათ კიდეც, ყურადღების ღირსად რომ ჩათვლი და დააფასებ. თავსაც შეგაკლავენ ულაპარაკოდ...

მაგრამ თქვენ ნუ გგონიათ, ამ ცხოვრებით მეცხოვროს ოდესმე, ან ვინმე გამეწიროს, ვინმე არ დამეზოგოს. დამიზნებული ამიცდენია შეგნებულად და ამის მოწმეებიც მყავს. დემაგოგიას მოეშვით, ძალიან გთხოვთ! სულ შემთხვევით მოხდა. აქეთა ნაპირზე ჩვენ ვიყავით, სანგრებში ისხდნენ ბიჭები, სამი დღე ლუკმაპური არ ეჭამათ. სამშობლოს გასაჭირი, თორემ ამხელა გზაზე რა რჯიდა ინტელიგენციისა და წაღები საზოგადოების შვილებს, დე ძესიტში გაზრდილები აკობებში რომ ეყარნენ დღედაღამ; იქით გაურკვეველი ხალხი იდგა, ვინაც დრომებითა და ბელა-

დის სურათებით იბრძვის ყოველთვის, უფრო სწორად, ჯერ შაოსან დედებს მიუშვებს წინ, შეეცოდებათო, და ამათ ამოფარებული, მხდალივით მოაყოლებს ტყვიას. უნამუსობის ბატალიონი! ღირსნი იყვნენ, დაუფიქრებლად მიგვეშვა ჯერი, დედანწულიანად გაიჟლიტებოდნენ ჭკუამცდარები, მაგრამ აქაც დავინდე ჩემი მოყვასი და სნაიპერს ვუთხარი: ერთი გადახედე იქაურობას, ვინც საეჭვო ნახო, ტყვია არ დაგენანოს-თქო. იმანაც, სულელმა, ყველაზე ახოვანი ვინც იყო, ის გამოიჭირა და შუბლში დაახედა პირდაპირ. არადა, როგორც შემდეგ მითხრეს, სლუჩაინი ტიპი ყოფილა, ხელოვანი კაცი. ბიჭები იხოცებიანო და გამოქანდა უაზროდ, უიარაღოდ. თვითონაც არ იცოდა, სად ამოყო თავი. ვერც გაიგო, ისე გათავდა...

## ზიკო

რაც თავი მახსოვს, სულ სკოლის დირექტორი იყო, მაგრამ არასდროს გვისაუბრია სკოლის შესახებ. ჯერ ერთი, თვითონაც ერიდებოდა სამსახურის ამბების ოჯახში შემოტანას, შვილიშვილებისთვის მოყოლას და მეორეც: მე, რაც სხვისგან მესმოდა, ისიც მყოფნიდა სოფლის სკოლის დირექტორზე, რომელიც დილაუთენია გადის (ბებიაჩემი ჭიშკრამდე მისდევდა წამლებით ხელში, დალევა არ დაგავიწყდესო) და შინ გვიან ბრუნდება. ხისტი, პრინციპულია და, ხმებს თუ დაეუჯერებთ, მექალთანეც.

ეს უკანასკნელი არასდროს ულიარებია, უფრო პირიქით — თავს არიდებდა და რასაც შევსწრებივარ, ხუმრობითაც არ უნდოდა თავისი თავგადასავლების გახსენება. სამაგიეროდ, ერთხელ, შუქი რომ არ მოვიდა (არც გაგვკვირვებია) და ყველანი ლამფას შემოვუსხედით...

სახლს ვაშენებდი, მეგონა, ყველაფერი მოვიმარაგეო. მასალები მოვზიდე, სხვებიც მეხმარებოდნენ, მარტო რას გავხდებოდი, გზადაგზა მემატებოდა საზრუნავი და მოსატან-ნასალები, მაგრამ როგორღაც ავუდიოდი, საშველიც გამოჩნდებოდა ხოლმე, ხელსაც ვიღაც წამაშველებდაო. საქმესაც შეეტყო — წინ მიიწევდაო. ერთხელ, ვდგავარ ამოყვანილ კედლებთან, გაეცქერი ოთხივე კუთხეს და ფიქრში მაქვს: დღე-დღეზე იატაკი უნდა დავაგო, ოთახებსაც მოვხაზავ და ცოლ-შვილს შევმოვიყვან-თქო. ის დროა, ერთიანად რომ გაუჭირდა ყველას. მასწავლებლებს რა უნდა გვქონოდა — რაც გვქონდა, აღარ გვიჩერდებოდა ხელში. ამ დროს კი ისე იმედიანად, გულიანად ვარ, ფონს გავედი, აჩერილი კარკასი სახლს დაუმთავრებია და... თურმე რაც ფიცარი მაქვს, ოდნავადაც ვერ განვდება იატაკს! სულ ოდნავ! საიდან გინდა მოიტანო, ვის გინდა თხოვო. ვისთანაც მიმესვლებოდა, შეწუხებული მყავს ყველა: ზოგმა ისე გამიმართა ხელი, ზოგმა მადროვა და მერე გავუსტუმრე, რაც ჯამაგირი მქონდა, ისედაც ამ სახლს ვახმარდი. თავს ზემოთ ძალა არ არისო, რომ იტყვიან, იმ დღეში ჩავვარდი. მოკვდი თუ გინდა! ან სად გინდა იშოვო, ან რა უნდა ქნა, მეტი რომ იშოვო და ამ ხელმოჭერილი ყოფიდან გააღწიო. რას იზამ, უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებ. რაზეც ოცნებობდი და დღე-დღეზე ასრულებული გეგონა, ისე დაგშორებია, ისე ერთიანად წამოუკრეფია საგნები, უკვე იმ ფიცრებსაც ვერ ამჩნევ, მოხდენილად რომ ეწყო და მხოლოდ იმისთვის გყოფნიდა, იატაკის დაგება რომ დაგეწყო. დაგეწყო და მეტი არაფერი. უკვე ვერაფერს ვამჩნევდიო, ყველაფერი ჩამშნარდა და ყველაფრის ხალისი დამეკარგაო, — ჰყვებოდა ბაბუაჩემი, — ხელები ავიფარე სახეზე და ულონობისაგან ავტირდიო. ამას შევაფარე თავი, სასოწარკვეთისაგან ამან მიხსნაო.

## მერაბი

თუკი ინებებ, გამოგვყევიო. არა, ტყუილს ვამბობ, ჩემს არჩევანზე არ ყოფილა ეგა. ახლავე ადექი და გამოგვყევიო, უფრო ეგ იყო, მაგან რაც მითხრა. რა უნდა მექნა, ფეხზემდგომელამ ავისხ-ჩავიცვი ყველაფერი და სანამ კართან დაყუდებულ ვილისამდე ვუწევდი, კინაღამ ჩემი დამემართა: სად და ვისთან მივყავართ ამ თარს დღეს დაბადებულებს და ქვეყნის ამომგდებებს-მეთქი. შიში კი შემიჯდა კანში, მაგრამ სირცხვილის უფრო მეშინოდა-გონია. ჩემი ხნის კაცს, ორმოცს ვინც გადასცილდება, ნაჭამი აქვს ყველა შიში და მძღნერი, ამიტომ სახლში რომ მოადგებიან, თავის თავზე აღარ ნაღვლობს, შვილებზე უფრო ეფიქრება, იმათი ბედი და მომავალი უფრო უჭერს ყელში. თავი ისე დავიჭირე, ჩემებისკენ არც კი გამიხედავს, თითქოს არ არსებობს, სულიც არ უდგიათო. არადა, სულ იმის ფიქრში ვიყავი, ვინმემ მათი ყოფნა არ დაიხვიოს ხელზე და რაც ვიცი და რაც არ ვიცი, რაც მინდა და რაც შემიძლია, ყველაფერი მაკისრებინოს ამ მუხთალ დროებაში-თქო. არ იკისრებ და გამოჩნდება მკისრებელი, შენ კი სირცხვილს სირცხვილად გაჭმევდნენ და არც შენს შვილებს დაადგებოდათ კარგი დღე. ვისთანაც ჩავჯექი და სადაც მივდიოდით, ჩაჯდომიდან ორ წუთში ვიცოდი მე, არც ერთი გამკვირვებია და არც მეორე. აბა, ბიჭო, ცენტრიდან რომ მოდიან დაგეშილები და დავალება ხელში უჭირავთ, შენ გკითხავენ ახლა, ვისთან რანაირი გონორით და პახოდკით მიეიდნენ. გზის მაჩვენებლად ვჭირდებოდი მე მაგათ, ჩემზეც კი სმენოდათ ერთი-ორი ყურმოკრული სიტყვა, მაგრამ ჩემი რჩევა არც მანამდე და არც მერე არ დაჭირვებია იმ კამან-

დას... მრჩევლები თეითონ იყვნენ, ახალმოყვანილ მეთაურს გეწი-გეწ, მიყოლებით ანიშენინებდნენ გამგებლებს, გუბერნატორებს, მილიციის უფროსებს, პროკურორებს, ორი თავი უნდა გქონოდა, მაგათ ნებას წინ გადადგომოდი.

## 2.

### ზიკო

– შენოდენა ვიქნებოდიო, – დინჯად ჰყვებოდა, აუჩქარებლად, თითქოს ჰაუზებს შორის წლებს ტოვებდა, – როცა ყველაზე სუსხიანი ტკივილი ვიგრძენი პირველად. ტკივილი კვდომის განცდაზე არანაკლებია, ზოგჯერ ერთი მშვიდი სიკვდილიც განატრებინოს იქნება. გამჩენს ეხვეწები, გამათავე, რას მაწვალებ, მომასვენე ამ საცოდაობისგანო.

სოფელში, არ ვიცი რაღაზე და რანაირად, სამხედრო მანქანით რუსი სალდათები იყვნენ მოსული. ვერ გეტყვი, იყვნენ თუ უბრალოდ ჩვენს სოფელზე გადიოდა მოქრილი გზა და აქედან არჩიეს წასვლა. მე მხოლოდ ის მახსოვს, შინდისფერი ბედაური რომ მება საბალახოზე, ამ ჯარისკაცების დანახვაზე თოკი აეხსენი და მანქანას გამოვენთე.

გაჭენება უნდა, თორე ყველა ცხენი ისედაც თოხარიკია. ჰაერს ტალღებად მივშხეფავდი, ლაგამიდან ხელი მისხლტებოდა, გაოფლილ ცხენზე სრიალებდა უნაგირი, რუსები მანქანის უკანა კოფოდან მისტვენდნენ და მახელებდნენ. შესახვევთან ცხენი მოსრიალდა უცები შემობრუნებისგან, სადავე ვერ შევიმაგრე და უნაგირს მოვწყდი.

გაფრენაზე მეტად დახეთქება მახსოვს. მუხლით დავემხე გალორლილ მიწაზე. სისხლმა ტანსაცმლიდან გამოატანა, ტკივილმა წამართვა გონება. გამოფხიზლებულს თავი მკვდარი მეგონა. თვალში კარგახანს ვერ გამოვიხედე. ყურში ჯერაც ჩამესმოდა აუტანელი წუილი. დაგლეჯილი სახე მეფხანებოდა, უმორჩილოდ მითამაშებდა ნატკენი მუხლის კუნთიო.

### ჯავარა

ვიღაცები მეტყვიან, შებრალება არ იციო... მომიგონეს ყველაფერი! ყმაწვილობიდან, ციხიდან, ქუჩიდან ამ თხზვითა და ჭორხაბარებით ვცხოვრობ. დაეტიონ თავიანთ ქერქში, ოღონდ მე წერა მაცალონ, ვიღაცებივით ტყუილ მემუარებს კი არა, ნაღდ წიგნს დავწერ. ერთს და ნაღდს, სადაც დანვრილებით ვიტყვი, რაც გადამხდა, შეულამაზებლად; კარგს კარგად მოვყვები, ავს – როგორც სინამდვილეში იყო. თუ ცოდვა მქონდა, ჩემმა ხალხმა განსაჯოს, იმ ცოდვებსაც არ მოვერიდები – უცოდველი არავინაა, გენაცვალე, და ერთხელაც ყველას მოუწევს თავისი წილი გოგირდის შექამანდი, ცოტაც – კუპრი და წუმწუმა.

ოღონდ კი ის ერთი, ისა... იმას კი არ ვნანობ და არც ოდესმე დამავიწყდება, პირიქით, ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, ცოცხალი როგორ გადამირჩა ღრჯო მოხუცი, როგორც ამბობდნენ, სოფლის სკოლის დირექტორი-მისი სახე ახლაც თვალწინ მიდგას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ლუბა

შენ პატარა იქნებოდი მაშინ – ნაშუადღევი იყო. მანქანა არ ჟაჟანებდა და ფეხით გამოვუყევი. ვიფიქრე ცუდ დღეს გაჩენილმა, ერთი-ორი გროში რომ მაქვს გადანახული, რა შავ ქვად მინდა, ისეთი სუნი ტრიალებს, ოხრად დაგვირჩენენ-მეთქი ყველაფერს, დილაუთენია ავდექი და ქალაქისკენ დავეშურე. ჩემს ბედად, ბაზარშიც არ იყო ხალვათობა – რაგინდარა საქონელი არგამად, შეღავათში იყიდებოდა. რასაც გავწვდი, მოეხვეტე და ტომარაში გამოვახვიე. თავიდან კი მემძიმა, ხელები დამაწყდა, დამელალა, მაგრამ არ შევიმჩნიე ათას გაჭირვებაგამოვლილმა. მერე კიდევ ისაა, სხვამ არ უნდა შეგნიშნოს მოტეხილი და დაუძლურებული რომ ხარ, თორემ გაიხარებს უეჭველად, სახეზე თუ არ შეეტყო, გულში ჩაეღიმება, იტყვის, ამასაც მოსწევია მიქელ-გაბრიელიო.

როგორც იქნა, მოვაღწიე მოსახვევამდე. სიცივისგან დაკბენილი გაჩერებას არც ვაპირებდი, მაგრამ რაღაც მანქანამ გამიჩერა, ვიღაცამ გადმოყო თავი და, – დედი, სკოლის დირექტორი ხომ აქ ცხოვრობსო, – მკითხა. ზრდილობიანი ჩანდა. იმან კი დამაეჭვა, სამხედრო ფორმა რომ ეცვათ, თუმცა ბევრი არ მიფიქრია, მაშინვე ვუთხარი სადაც ცხოვრობდა პატივცემული დირექტორი. იმ გზაზე მივდივართ და ზარემ წაგიყოლებთო, – დამიძახეს და რომ ჩავჯექი, სიგარეტისა და კაცების სუნით გამთბარ მანქანაში, უარესად მომეკვეთა ფეხი დაღლილობისგან.

მერე ჩამომსვეს, თვითონ უკან შებრუნდნენ და დირექტორის ჭიშკართან ატეხეს სიგნალი. ცნობისმოყვარეობამ მძლია რატომღაც – არ ვარ ისე სეირსა და ტაშ-ფანდურს მიყურადებული – გამოღებული ჭიშკარი მივატოვე, ტომარაც მივჩურთე სადღაც, ხეს ავეფარე და ახლო რომ მივიწიე... სამნი იდგნენ, ენეოდნენ და ჩაბნელებული მანქანიდან გადმოსულები სულ სხვანაირები ჩანდნენ. უფრო საშიშები. ბნელში და სიცივეში გაზრდილებს ჰგავდნენ. ამის ახსნას ნუ მომთხოვ ახლა: როგორც გაიგე, ისეთია, უშუქო, უჭრაქო, უნათელო...

სიგნალზე რომ არავინ გამოიხედა, ისევ

აპიპინდა მანქანა, ამათაც ხმა შეაშველეს, ხან ერთმა დაიძახა, მეორემაც არ დააკლო ხმა. როდის-როდის გამოჩნდა მასპინძელი, მძიმე ნაბიჯით მოუყვებოდა ეზოს, უკან არც მიუხედავს, თითქოს გაგდებულმა თუ გაბრაზებულმა მოიხურა კარიო.

## 3.

### მერაბი

შესახვევთან ოდნავ შეანელა და შეუხვია მკვეთრად. შესახვევიდან ჭიშკრამდე ორასოთხმოცი ნაბიჯია. სულ ზეპირად ვიცი ყველა ნაბიჯი, იმდენჯერ ვყოფილვარ. აქაურ ხრეშს და კენჭებს სახელებით ვცნობ, მაგრამ ჯობია ხალხს არ ვიცნობდე, ისეთ დღეში და ისეთ საქმეში ვარ ახლა. კიდე კაი, ღმერთს მადლობა, შესახვევთან აყვანილმა, ძაძაგახუნებულმა და ტვირთისგან მისავათებულმა ქალმა არ მკიდა თვალი. ის მომენტია, თავი რომ უნდა მოიკლა კაცმა, მაგრამ ვერც ამას შვრები, თავის მართლებაც და თავმოყვარეობაც ერთი მიწისგანაა მოზელილი – სიცოცხლე რომ გიყვარს და არ გეთმობა, ე მაგისგან.

– ა, ეგ არის და თუ არ გჭირდებით... ან მე რაში გჭირდებით... – უკანა სკამზე, ფანჯარასთან მივიყუჟე. სირცხვილი დორბლად მდიოდა, ფაფანაჭამი ბავშვივით, სიბრაზისა და უმწეობისგან მაცახცახებდა.

ჯავარას ჩემკენ არც გამოუხედავს, ვილისიდან ჩავიდა და ჭიშკარს მიადგა.

### ლუბა

სტუმრებმაც მიიწიეს ჭიშკრისკენ, სალამი თქვეს.

ერთი, ეტყობა, უფროსი იყო მაგათი, ხმამაღლა ლაპარაკობდა, რიხიანად: შენა ხარ დირექტორიო? – შავლეგმა თავი დაუკრა.

– გეცოდინება, ძიაკაცო, გუშინ გადმოვლახეთ მდინარე, ბევრი ბიჭი დაგვეკარგა შეტაკებაში, დაჭრილებიც გვყავს. ქალაქიდან გვეუბნებიან, ყველა შტაბი სავსეაო...

– ჰო...

– არ შეგაწუხებდით, მაგრამ, აი, კაცურად, ღამის გასათევი ადგილი არა გვაქვს და თქვენკენ მოგვასწავლეს, სკოლის დირექტორიაო...

– დიახ, სკოლის დირექტორი ვარ.

– აგაშენა ღმერთმა! დირექტორი რომ ხარ, გასაღებიც გექნება უეჭველად, ჩვენც ამისთვისა ვართ მოსულები. გაგვიხარდებოდა, თუ შეირბენდი და გამოგვიტანდი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ჯავარა

საღამო იყო, სახლში რომ მივადექით და შორიდანვე შეეტყო ნაბიჯებზე – ნერვიულობდა. სულმთლად გაფართოებული თვალები გაურბოდა სადღაც. კაცურად ვთხოვე: ამხელა გზა გამოიარეს ბიჭებმა, ზოგი დაჭრილია, ბევრიც – დახოცილი, ძლივს ვაკავებ დანარჩენებს, მარადიორობა რომ არ დაიწყონ სოფელში. ღამის გასათევი არა გვაქვს და სანამ ეს უძინარი და მოშიებული მასა დარევია აქაურობას, გააღე ეგ შენი სკოლის კარები, ცოტა ხანს დავრჩებით და მალე ჩაგაბარებთ-მეთქი. წინდაწინ ვიცოდი, უარს მოხევდა. არ შემიძლია, სასწავლო პროცესს ვერ ჩავშლიო – თავი რომ გადაიქნია, ეგრევე ქამრისკენ წავიღე ხელი.

### ლუბა

შავლეგი მახსოვს გაფითრებული: მკვდრისფერი ედო სახეზე, ხელის მარჯვენა მტევანი უკანკალებდა და ვიფიქრე, დამთავრდა ყველაფერი, დამთავრდა სიცოცხლე-მეთქი, მაგრამ მანქანიდან ვიღაც გამოვარდა, მეოთხე, ღმუილით, ხვეწნით, – არ ესროლო, არ მოკლა, მაგის გაზრდილი ვარო, მუხლებში ჩაუვარდა უფროსს. იმას ბებუთი ეჭირა ხელში შემართული, იგინებოდა და შავლეგისკენ იწევდა, ამის დედაც და რჯულიც, ამის სკოლაც და ოჯახიც, როგორ მაკადრა, უარი როგორ გამიბედაო...

იმ დღეს ნახევრად ჩამოიქცა ბაბუაშენი, ახლა კიდე – ანევრიზმაო!

...ვაი, რას მოვესწარი! ეს რა გავიგონე, კაცო... რა ოხერ დღეზე გამაჩინე, დედა მარიამ, ამდენ გაშავებულ, გაქვავებულ ვაჟკაცს რისთვის მაყურებინე!..

*

*მინაწერი: ვინც ჩემს ნაწერებს ასე თუ ისე იცნობს, რამდენიმე ფრაგმენტი თუ მოტივი ეხსომება ამ მოთხრობიდან. ხელისცეცებით რომ შედიხარ ეპოქის ჯურღმულში დეკორაციის გამოსატანად და გზადაგზა ნანახი იმდენად გიზიდავს და გატყვევებს, სული გიგუბდება, სხვებსაც გააგებინო – ეს მაცდური გრძნობა მერეოდა მაშინ და აუმღვრევლად ვერ დაველოდე იმ დროის დადგომას, როცა მშვიდად, დაწმენდილად დავწერდი. ამ განწყობამ გადაიარა და მგონია, რომ ერთ მდინარეში იმდენჯერ შეიძლება შესვლა, რამდენჯერაც ის მდინარე მიგიშვებს ბადის გასაშლელად. დანარჩენი იღბლის, გულწრფელობის და, როგორც ცხონებული რენე კალანდია იტყოდა, – „ტეხნარობის" საქმეა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ზვიადისთვის:**

1. ყოველდღიური შრომა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.
2. არასოდეს არ თქვა, რომ სრულყოფილად ფლობ შენს ხელობას.
3. ნაკლები იფიქრე მიწიერ დიდებასა და კეთილდღეობაზე. მოსასვლელი მოვა.
4. არასოდეს წახვიდე დათმობაზე საკუთარი მრწამსის, შეხედულების, პოზიციის და, რაც მთავარია, სინდისის საწინააღმდეგოდ.
5. ეცადე, ნაკლებად ხვდებოდე თვალში ხალხს, სჯობს, შენი ხმა ესმოდეთ, ვიდრე გხედავდნენ.

*ოთარ ჭილაძე*

***

„ფორმა №100" ზვიად კვარაცხელიას პირველი რომანია, რაც, თავისთავად, მისასალმებელი ფაქტია, მით უმეტეს, რომ ნამდვილად საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტი შეემატა უახლეს ქართულ მწერლობას.

ეს, შეიძლება ითქვას, სასტიკი რომანია, რამდენადაც ცხოვრებისეული უაღრესად მკაცრი სიმართლე ლიტერატურულ სინამდვილედაა ქცეული, თანაც ისე, რომ პირდაპირ დამთხვევას, ანუ იგივეობას, მართლაც რომ, წკიპზეა გადარჩენილი. დაძლეულია რეალობის, ყოფითი სინამდვილის ინერცია და უკვე პოეზიის (ვგულისხმობ მწერლურ ხელოვნებას) წყალობით, შექმნილია შემზარავი სურათი ბიოლოგიურ არსებობად გარდაქმნილი ცხოვრებისა. წარმოდგენილია სიმარტოვე, როგორც გაუვალი წყვდიადი, რომელშიც ჩაკარგული ადამიანები ძუნწი, პაროლის მსგავსი ფრაზებით უკავშირდებიან ერთმანეთს და ამიტომ ძნელი დასაჯერებელია, რომ მათ ერთმანეთისა ესმოდეთ. კაცობრიობის ინტელექტუალური საგანძურიდან მოხმობილი ციტატები მოულოდნელად კიდევ უფრო ამძაფრებენ საერთო გაუგებრობას, საერთო სიმარტოვის განცდას. თითქოს ადამიანური ცხოვრებისკენ მიმავალი ყველა გზა ჩახერგილია, ყველა ჭუჭრუტანა ამოქოლილი, ოღონდ, ფინალში უკანონოდ ჩასახული ბავშვის ხსენება – ყველა მამაკაცისთვის ან სიხარული, ან ელდა – საკმარისი აღმოჩნდება იმისთვის, რომ ბავშვი უკვე მოვლენილად და ჩვენზე უკეთეს, ანუ ადამიანურ ადამიანად წარმოვიდგინოთ.

როგორ უნდა გვჯეროდეს დღევანდელ დღეს არამარტო მწერლობის, არამედ მკითხველისაც, ასეთი რომანი რომ დაწერო!..

*თამაზ ჭილაძე*

## „ფორმა N100"-ის ფორმა

ისე მოხდა, რომ ქართული რომანის ტრადიცია სულ ახლახან, წინა საუკუნეში შეიქმნა და განვითარების შესაძლებლობაც ნაკლები ჰქონდა. ასეთი ლიმიტირებული წინაპირობის ფონზეც, საქართველოში დაიწერა მნიშვნელოვანი რომანები, მაგრამ ცოტა. მნიშვნელოვანი რომანები ახლაც იწერება და ახლაც, ცხადია, ცოტა.

პოეტებისგან განსხვავებით, დღევანდელ ქართულ ლიტერატურულ სივრცეში თითზე ჩამოსათვლელია რომანისტები (როგორც ჩანს, მითი ქართველთა პოეტურობის შესახებ არც ისე უსაფუძვლოა) და პრემია „საბაზეც", შესაბამისად, ამ სამ-ოთხ ავტორს უნევს „მორიგეობა". გამარჯვებულიც თითქოს იოლი გამოსაცნობია ხოლმე.

მაგრამ გასული წლის შემაჯამებელი „საბა", ამ მხრივაც, ნამდვილად გამონაკლისი იყო. ჯილდო ახალბედა მწერალს ერგო, რომელსაც კონკურენტებად „საბას" ალებაში უკვე საკმაოდ განაფული პროზაიკოსები ჰყავდა.

ზვიად კვარაცხელიას „ფორმა N100" ჟიურის რჩეული გახდა. ეს კლასიკური რომანი არაა, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი კარგად ფლობს რომანის სტრუქტურას, სიუჟეტს და სტილებით ოპერირების ხელოვნებას. დეტექტიურ დასაწყისს ცხოვრებისეული დრამა ენაცვლება, გრძელდება პირადი ჩანაწერებით, ლიტერატურული ალუზიებით თუ ბუკოლიკური აღწერებით. მაგრამ ყოველი ნაწილი, მიუხედავად სტილთა სხვადასხვაობისა, არ მოდის წინააღმდეგობაში მთავარ ხაზთან. მთავარი ხაზი კი დროა და დროში „გაწერილი" ადამიანები.

ალბათ ამიტომაც არის ასე გამოკვეთილი ზოგ პასაჟში ე. წ. REAL-TIME, ანუ რეალური ქრონოლოგია, ყოველგვარი შემოკლების გარეშე. ერთ-ერთი პერსონაჟი, რომელიც კითხვის დაუოკებელ სურვილს აუტანია, ადგება და საოჯახო ბიბლიოთეკას ჩახედავს. ბიბლიოთეკა კი საკმაოდ მდიდარი აღმოჩნდება. და ავტორს ლამის მთლიანად მოაქვს მოთხრობები თუ რომანების თავები, რასაც პერსონაჟი კითხულობს. ამიტომ რომანში შეხვდებით ლეო ქიაჩელის „ალმასგირ კიბულანიდან" მსუყე ნაწყვეტებს, რიუნოსკე აკუტაგავას „როგორ სწამდა ბისეის" ლამის სრულად დაციტირებულს, ბეკეტის „გოდოს მოლოდინის" მოზრდილ ფრაგმენტს და ა. შ.

რატომ იყენებს მწერალი ამ, ერთი შეხედვით, მოუხერხებელ ფანდს?

საერთოდ, რეალტაიმის ტექნიკა გამოიყენება თანადასწრების ეფექტის შექმნისთვის (ამას კინემატოგრაფშიც მიმართავენ), მაგრამ აქ სხვა რამ მგონია. ზვიად კვარაცხელია, როგორც ყველა პატიოსანი მწერალი, არ ენდობა მკითხველს და მას საკუთარ რომანთან ერთად კლასიკურ ლიტერატურაში მოგზაურობის საცდურსაც სთავაზობს. როგორც ჩანს, დღევანდელი მკითხველი კლასიკასთან სწორედ ასე, გაშუალებული მიწოდების ფორმით უნდა მიიტყუო, და ეს ხშირად ამართლებს.

და რაკი სიტყვა კლასიკაზე ჩამოვარდა, ალუზიებზეც ვიტყვი. ჩვენ ვიცით ქართველი რომანისტები, რომლებიც მაგიური რეალიზმის ხაზს მიჰყვებიან, ან ე. წ. ცნობიერების ნაკადის რომანის ტრადიციებს ავრცობენ და ა. შ. ზვიად კვარაცხელიას რომანი უფრო პოლ ოსტერის თხრობის ტრადიციას მიჰყვება, რომელიც არსებით-

ად, ავტოფიქციურობაზეა დაფუძნებული და ფორმის მხრივ კი, დეტექტივის და დრამის სინთეზია.

ავტოფიქციურობა „ფორმა N100“-ში ბევრი სხვადასხვა რაკურსით ვლინდება, მათ შორის, დღიურული ჩანართებითაც, სადაც პირადი შთაბეჭდილებების, ცოტა არ იყოს, კონტექსტიდან დაშორებული ნუსხაა მოცემული. მაგრამ ავტოფიქციურობა ყველაზე უკეთ იკვეთება იქ, სადაც მინიშნებაა იმ ლიტერატურულ ხერხზე, რომელსაც ჰქვია „რომანი რომანში“. ამ ხერხს მოთამაშე მწერლები ხშირად იყენებენ: კურტ ვონეგუტი „დროის რღვევაში“ ხშირად ახსენებს თავის რომანს „დროის რღვევა“, რომელიც თითქოს მისი ადრეული რომანია და ის, რასაც ახლა მკითხველი კითხულობს, სინამდვილეში, „დროის რღვევა 2“-ია.

მაგრამ „ფორმა N100“-ში ხსენებული რომანი რომანში მხოლოდ ფიქტიურად ჩანს, უფრო სწორად, მასზე მიგვანიშნებს, მაგრამ თავად ჩანართს, როგორც დამოუკიდებელ ტექსტს, ავტორი არ გვიჩვენებს. განსხვავებით, მაგალითად, პოლ ოსტერის „მისნის ღამისგან“, სადაც მწერალი გიგანტური სქოლიოების სახით მეორე რომანსაც შემოაცურებს თავის რომანში. ოსტერი, საერთოდ, ასეთი ხერხების ოსტატია და ეს, განსაკუთრებით, მის უკანასკნელ რომანში („უჩინარი“) გამოჩნდა. სწორედ ამიტომ, როდესაც მსგავსი თამაშები ჩნდება, მახსენდება ეს მწერალი.

მაგრამ სიტყვა გაგვექცა: „ფორმა N100“-ში პერსონაჟი წერს „ფორმა N100“-ს, რომლის ფილმად ქცევა ერთ, ცოტა არ იყოს, სახალისო სახელწოდების მქონე კინოკომპანიას განუზრახავს. მე მგონია, რომ თავად ეს რომანიც მშვენიერი გასაფილმებელი მასალაა, მით უფრო, რომ რამდენიმეგან ამის სურვილიც გაკრთა და მეტიც: ზოგი პასაჟი ისეა აწყობილი, თითქოს ავტორი კომპიუტერის მონიტორს კი არა, კინოკამერის ობიექტივს უყურებს, სადაც მისი მომავალი ფილმის პერსონაჟები ირეკლებიან.

კარგი იქნებოდა, რატომაც არა. თანაც, ქართული ფილმების ბოლოდროინდელ წარმატებას თუ გავითვალისწინებთ, ურიგო არ იქნებოდა ამაზე ფიქრი. ქართულ კინემატოგრაფსაც წაადგებოდა და ქართულ რომანსაც.

*პაატა შამუგია*

ამ წიგნის – „ჰაეს“ – ავტორი მაძიებელი კაცია, ერთი მისი პერსონაჟივით, რომელიც კითხულობს:

„რატომ მახრჩობს და მასახიჩრებს სურვილი, გავიგო რა ხდებოდა დასაწყისის წინ, რა მოხდება დასასრულის მერე?!“

ამ წიგნის ავტორი ქვეყნისთვის გულშემატკივარი კაცია, რომელიც თავისი სხვა პერსონაჟის პირით ამბობს:

„ძნელია, არა, ფუნჯის და ტილოს გარეშე შედევრის შექმნა, უდაკავშიროდ წიგნის დაწერა?! უფრო ძნელია უყურო აწმყოს და არ აქეითინდე“.

ამ წიგნის ავტორი ორიგინალურად მოაზროვნეა, ღრმად მოაზროვნეც, – აი თუ არა:

„ძნელია გიყვარდეს სიტყვა „ხსოვნა“, რომელიც ყოველგვარ ტოლერანტობასაა მოკლებული და სააქაოში დარჩენილთ ბევრად უკეთეს მდგომარეობაში სახავს, ვიდრე იმქვეყნად გაბიჯებულ ადამიანიშვილებს“.

(ვიცი, ამ ციტატის ფაქიზი ირონია არ დაგრჩებოდათ შეუმჩნეველი).

ამ წიგნის ავტორს შესწევს ძალა ორი სიტყვით გამოხატული ერთი დეტალით თავით ბოლომდე დაგვიხატოს სახასიათო პორტრეტი კაცისა:

„როცა გულის ერთი მხარე ღვთისკენ გეწევა, მეორე გეუბნება – არ მოიშალო ბოროტის დოინჯი“.

ამ წიგნის ავტორი სატირიკოსის ტალანტითაც გახლავთ დაჯილდოებული; ამაში დასარწმუნებლად იხ. ცოდვის განმარტება 151-ე გვერდზე და ცოდვილის მიერ ცოდვათა სიის ამოკითხვის ეპიზოდი (იქვე).

ამ წიგნის ავტორს ამბავთმთხზველობის ნიჭის გარდა სიტყვათმთხზველობის ნიჭიც გამოჰყოლია და გაცვეთილი გამოთქმების გამოყენებას ურჩევნია ახალი (ოღონდ მაინც გასაგები!) სიტყვების გამოსაგონებლად გაისარჯოს, – ამითაც გვამახსოვრებს თავს:

„მრავალთათვის ნაუბარს თათა ბებო ახლა მე მიხელახლებს“;

„უტეხობა ებადრათ სახეზე“;

„ახლა თავიდან დატრიალდება სიუჟეტი, გაგისაკუთრდება მოყმის ხვედრი“...

ამ ავტორის წიგნის წაკითხვა ღირს.

*ლევან ბრეგაძე*

როგორ გინდა კვალში ჩაუდგე ილიას ამდენი ხნის შემდეგ და მკითხველს არამარტო მშრალ მატიანედ შესთავაზო „აჩრდილის“ შემოქმედის ზუგდიდური თავგადასავალი, არამედ დოკუმენტურ მოთხრობად აქციო და იმ შეგრძნებათა ანარეკლი გადასდო, რაც ილიას დაუფლებოდა.

ოღონდ მანამდე შენ თვითონვე უნდა განიცადო, მის მხლებლადაც იგრძნო თავი და მისი სულის ნაჟურიც გადმოგედოს, თორემ შინაგანი ექსპრესიაც განზე დაგრჩება და თხრობის დინამიზმიც.

ასეთ დროს კი გაბედულებას მოსაზრებამ არ უნდა შეუსუსტოს შუქი, ჰამლეტისა არ იყოს, თუნდ სხვა მიზნით ნათქვამი.

ახალგაზრდა კაცის გაბედულებას.

და კიდევ მიზანსწრაფვასა და ემოციურობას, კიდევ – განსწავლულობასა და სპეციფიკურ ნიჭსაც, რადგანაც დოკუმენტური პროზა თავისებურ ტალანტს გულისხმობს, მეცნიერული ძიებისა და მხატვრული წარმოსახვების თანაზომიერებასა და ჰარმონიულ შერწყმას ერთ პიროვნებაში, რათა განზრახვა და ხორცშესხმა უნუგეშოდ არ დასცილდეს ერთმანეთს.

ზვიად კვარაცხელიას სწორედ ეს ჰარმონიული შერწყმა ეტყობა, ეს თავისებური ნიჭიც მომადლებია ბელეტრისტობის უნართან ერთად და ამიტომაცაა თანაზომიერი მისი თხრობა იმ ყაიდის თხზულებაში, რომელსაც სხვას ვერაფერს დაარქმევ, თუ არა დოკუმენტურ მოთხრობას – „ილია სამეგრელოში“.

*როსტომ ჩხეიძე*

# ნიკოლა მაძიროვი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# NIKOLA MADZIROV

პოეტი, მთარგმნელი და ესეისტი. დაიბადა 1973 წელს, ჩრდილოეთ მაკედონიის ქალაქ სტრუგაში, ბალკანური ომების შედეგად იძულებით გადაადგილებულთა ოჯახში. მისი ლექსები ორმოცზე მეტ ენაზეა თარგმნილი. წიგნისთვის „გადაადგილებული ქვა" (2007), მიღებული აქვს ჰერბერტ ბურდას სახელობის აღმოსავლეთ ევროპული პოეზიის ჯილდო და ყველაზე პრესტიჟული მაკედონიური პოეტური პრემია „Miladinov Brothers" „სტრუგას პოეტური საღამოების" ფარგლებში. ასევე მიღებული აქვს სხვა ჯილდოებიც: „Studentski Zbor" საუკეთესო დებიუტისთვის და „Xu Zhimo Silver Leaf" ევროპული პოეზიისთვის, „ქინგს კოლეჯში", კემბრიჯში.

ამერიკელ ჯაზ-კომპოზიტორს ოლივერ ლეიკს, რომელიც ბიორკთან და ლუ რიდთან თანამშრომლობდა, შექმნილი აქვს მუსიკა მაძიროვის ლექსებზე. მისი პოეტური კრებულების შესახებ რეცენზიები იბეჭდებოდა ისეთ გამოცემებში, როგორიცაა „Der Spiegel", „World Literature Today" და „El Pais"... მისი წიგნის – „სხვა საუკუნის ნარჩენების" ინგლისური თარგმანი კაროლინ ფორშეს წინასიტყვაობით ამერიკაში „BOA"-მ გამოსცა, ხოლო ბრიტანეთში „Bloodaxe Books"-მა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკოლა მაძიროვი: მჯერა სიჩუმის, მხოლოდ როგორც სიტყვის დასაწყისის და არა სიტყვის არყოფნის

*(ინტერვიუ)*

**ზაზა კოშკაძე: საიდან ილებთ თქვენი ლექსების ძირითად კონცეფციებს და რა გიბიძგებთ, რეაგირებდეთ პოეზიის მეშვეობით? ასევე საინტერესოა, თქვენი პოეტური რეფლექსია უფრო არსებული სამყაროს აღწერაა თუ იმ ყველაფრის რეკონსტრუქცია, რასაც გარშემო ხედავთ?**

**ნიკოლა მაძიროვი:** რეალობის ღია ფანჯარა საშუალებას გაძლევს, ხელით შეეხო საკუთარ შიშებსა და ოცნებებს, იგრძნო სამყაროს დინამიკა, მაშინაც კი, როცა შენი საკუთრების უხილავი ფესვების გჯერა. ჩემი გვარი „მიგრანტს" ნიშნავს, ეს მხოლოდ მას შემდეგ აღმოვაჩინე, რაც ინტენსიურად დავიწყე მოგზაურობა. ამ ინფორმაციამ შიში ჩამინერგა, ამიტომ გადავწყვიტე, საგნებისთვის დაკვირვებით შემერჩია სახელები, ფრთხილად შევხებოდი, ხელახლა აღმომეჩინა... ყოველთვის ვინტერესდები ხოლმე, ვისი სახელობისაა ქუჩა, რომელზეც ვცხოვრობ, ვიკვლევ – ისტორიის წიგნებიდან აქვთ აღებული ეს სახელი თუ ქალაქის პერსონალურ ამბებს განეკუთვნება. ერთ-ერთ თავის უკანასკნელ ინტერვიუში მაჰმუდ დერვიში ამბობს, რომ თანამედროვე ეპოქაში მსოფლიოს, ყველა ბრძოლა ტოპონიმების შეცვლის მიზნით მოხდა. ის სვამს კითხვას: „რომელი სივრცე უფრო ძლიერი გეჩვენებათ, ენა თუ გეოგრაფია?" ჩემი დროებითი სახლები გრძელდება ენებში, რომლებიც არ მესმის და მოგონებებში, რომლებსაც მე არასდროს მივუბრუნდები. მე ფოტოებს ვუღებ ოთახებს, სადაც ვცხოვრობ ნაცვლად მონუმენტებისა, სასტუმროების გარშემო. ყოველი ნაოჭი საწოლის ზეწარზე სტერილურ სასტუმროს ოთახში, ან სკამისგან ფეხის ჩაღრმავებული კვალი სქელ ხალიჩაზე – ეს ყველაფერი ვიღაცის აქ ყოფნაზე მიუთითებს, რომელიც შეიძლება კიდევ დაბრუნდეს. ოთახში განთავსებული საგნების სტრუქტურა იმ სახლების სისხლის მიმოქცევას წარმოადგენს, რომლებშიც მე ვცხოვრობ და შემდეგ ვტოვებ. როცა სადღაც მივდივარ, ყოველთვის მეჩვენება, რომ ეს დაბრუნებაა. საერთოდ, მშენებლები ცხოვრობენ ხოლმე დროებით კაბინებში იმ შენობების გარშემო, რომლებიც სამუდამოდ რჩებიან იმ ადგილებზე. მეც სწორედ ასე ვცხოვრობ იმ საგნების გარშემო, რაზეც ვწერ, ვცდილობ, სიტყვებისა და მოძრაობებისგან სახლი ავაგო. ზაგაევსკი ამბობს, რომ ლექსის წერა საჰაერო ბურთის მართვას ჰგავს, სადაც საჭეზე მეტად ქარს უნდა მიენდო. მე ლექსს აღვიქვამ იმ სხეულად, რომელიც ყოველი ახალი წაკითხვისას ხელახლა დისლოცირდება. ასევე თავად სიტყვა "Poem"-საც ძალიან მოწყვლადი და უმანკო ჟღერადობა აქვს, თუმცა მას შეუძლია ქაოსის გამოწვევა ყველაზე კონტროლირებად საზოგადოებებშიც კი. დიქტატორებს ეშინიათ სიტყვის მეორე და მესამე მნიშვნელობების, რადგან ისინი ახდენენ მისი პირველი მნიშვნელობის კონსტრუირებას.

**ზ. კ.: რამდენად დიდია თქვენს მიერ გამოვლილი ომისა და პოლიტიკური პროცესების გავლენა თქვენს პოეზიაზე?**

**ნ. მ.:** მე ბალკანეთის ომის დროს დევნილთა შთამომავალი ვარ, რომლებიც ასი წლის წინ სარდაფში იმალებოდნენ, რათა გადარჩენილიყვნენ. მათი მშობლიური ენა სიჩუმე იყო. მე 18 წლის ვიყავი, როცა ახალი ომები დაიწყო იუგოსლავიაში. ჩემს სუფთა ღამის პიჟამას პოლიტიკოსებმა სამხედრო ფორმა გადააფარეს, ჩემსავე საწოლზე. ერთი პოლიტიკური სისტემა მეორემ შეცვალა. ეს ორივე ცვლილება ერთდროულად მოვიდა, რომლითაც ბავშვების შუშის კედლებიც დაიმსხვრა და ჩემი სიმტკიცის სქელი ფარდაც. სამწუხაროდ, სკოლის საკითხავ სიაში შესული ავტორები ან სახელმწიფოს მტრად გამოაცხადეს ან კლასიკოსად აღიარეს, რაც მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა: მათ აღარავინ კითხულობდა. მომიწია, თავად გადამეჭრა ჭიპლარი და ევროპული ლიტერატურის უფრო ფართო კონტექსტში ვინტეგრირებულიყავი. მას შემდეგ მთელი ჩემი ცხოვრება თავისით იქცა გაქცევად – თუმცა არა რაღაცისგან გაქცევად, არამედ რაღაცისკენ გაქცევად. მე დროის მიერ ჩვენს კანზე დატოვებულ იარებს უფრო ვენდობი, ვიდრე ორნამენტებს სამხედრო ფორმაზე. როცა ჯარისკაცი კვდება, ვიღაც მის ფორმას ისაკუთრებს, ხოლო მის საოჯახო ფოტოებსა და წერილებს ჯიბიდან იღებს და ყრის. მე მხოლოდ ჩემი წინაპრების ისტორიას ვიმეორებ, რომლებიც იძულებულნი იყვნენ სახლები მიეტოვებინათ, თუმცა გასაღები ყოველითვის თან მიჰქონდათ – გასაღები, რომელიც მხოლოდ მოგონებათა ჭიშკარს აღებს. მე გასაღებები თან არ მიმაქვს, როცა



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ვმოგზაურობ. ენა გახდა ჩემი სიმტკიცის ერთადერთი ზღურბლი. ხშირად მახსენდება ჩარლზ სიმიკის სიტყვები, რომელმაც თქვა, რომ ის დევნილობას არ უქცევია პოეტად, თუმცა ამან ის აქცია იმგვარ პოეტად, როგორიც იყო. ბალკანეთი სავსეა ათასგვარი ოფიციალური ჭეშმარიტებით და ამავე ინტენსივობის პიროვნული ტკივილებით, ყოველი ახალი მოხაზული საზღვრის გაყოლებაზე. ოფიციალური ომები მხოლოდ გმირების გამოსავლენად არსებობს. არაოფიციალურ ომებში მხოლოდ მსხვერპლები არსებობენ. ამ ყალბი მშვიდობის პერიოდებში თავს თვით – დევნილად ვგრძნობ. ცივმა ომმა მხოლოდ ის მასწავლა, რომ სითბო უნდა მეძებნა ორ სიჩუმეს შორის. მე არ მჯერა, რომ პოეზიას სამყაროს შეცვლა შეუძლია. უფრო ვიტყოდი, რომ პოეტურობის ბუნებას ცვლის თავად სამყარო, ზოგჯერ აუპატიურებს კიდეც. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რამდენიმე ანთოლოგია დაიბეჭდა დევნილებზე. ისე მოხდა, რომ თავის ყველგანმყოფობის სახელით, პოეტს შეუძლია საკუთარ რბილ სავარძელში მჯდარმა წეროს უსახლკარო ადამიანებით სავსე კარვებზე, დაღლილ თვალებსა და იმედგაცრუებაზე. პოეტის სიფხიზლე მის სადმე ყოფნას არ ნიშნავს. როგორც დარვიშმა აღნიშნა, გამარჯვება და მარცხი არ შეიძლება განისაზღვროს სამხედრო ტერმინებით, ისევე, როგორც სიტყვის უნივერსალურობა არ შეიძლება გაიზომოს მისი ბეჭდური ვერსიის რაოდენობით ან youtub-ის ვიზიტორების რაოდენობით. მან არსებითი კითხვა წამოჭრა, რას წარმოადგენს პოეზია, ძალაუფლების სიმბოლოა თუ მის ინსტრუმენტს? როცა პოეზია ხდება არაპირდაპირი აგრესიის ინსტრუმენტი, მაშინ სრულიად სხვები ზრუნავენ მის განვრცობადობაზე. ჩვენი სასკოლო წიგნები სავსე იყო რევოლუციური სტრიქონებით, რომლებიც ჩვენი უსასრულო ლიდერების კედელზე გამოკიდებულ პორტრეტებთან ერთად გაუჩინარდნენ. პოეზია, როგორც სიმბოლო, მოგზაურობს ნელა და ჩუმად, თუმცა საკმაოდ შორს მიეხეტება, როგორც უადრესატო წერილი.

**ზ. კ: რაში მდგომარეობს პოეზიის როლი საზოგადოებრივი განვითარების ამ ეტაპზე?**

**ნ. მ.:** პოეზია ყოველთვის შორს იყო საზოგადოდ მიღებული პოპულარობის სტატისტიკისგან. ისტორიულად ის უფრო ექსტრავაგანტული სტატუსი იყო, რომელიც მეფის კარზე პრივილეგიებს გულისხმობდა, თუმცა ის ასევე წარმოადგენდა პანკ-პასუხს სოციალურ სტერილურობაზე და ეროვნული ჰიმნების ამორფულ შემადგენელზე. პოეზია ნაკითხვა არ არის, პოეზია დიალოგია. შეალამაზებ მას თუ არა, პოეზიას ყოველთვის პატარა მკითხველთა წრე ეყოლება. ამით სარკეებს ჰგვანან: მოჩუქურთმებული ჩარჩოთი თუ მის გარეშე, ისინი მაინც თანაბრად ლიმიტირებულნი არიან ანარეკლებში. პოეზია ახლოსაა სიჩუმესთან ორივე შემთხვევაში, როცა ბარში კითხულობ ყავის აპარატების ფონზე და როცა მოსაცდელ დარბაზში კითხულობ დაგვიანებული მატარებლების გვერდით. იმის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რომ ლექსები უკვე შეიძლება შაქრის ჩხირების შეფუთვაზე დაპრინტული აღმოაჩინო, რომელიც ყავასთან ერთად მოაქვთ. ეს შეიძლება მივიღოთ, როგორც სიფხიზლის გამრავლება. ისევე, როგორც ყველაფერი, რაც მძლავრი ინდუსტრიისგან იღებს სათავეს, პოეზიაც პროდუქტად მოიაზრება, რაც არც ისე შორსაა ხელოვნების წარმოშობის ჰაიდეგერისეული ერთ-ერთი ვერსიისგან. და მაინც ესთეტიკაა ის, რაც პოეზიას დაატარებს დროის სიღრმეებში. ყოველ ლექსს წლები აპრიალებს, როგორც ზღვისპირა ქვას. არ ვიცი, რა უფრო „იკონურია" დღეს: პოეტური წიგნი, რომელიც სუპერმარკეტში სალაროსთან დევს, საპარსისა და სალეჭი რეზინის წინ, თუ ვინმე ლოკალურ გმირზე დაწერილი პოეტური წიგნი, რომელიც ჭუჭყიანი მუზეუმის ვიტრინაში მოჩანს. ჩემი ბავშვობა გარემოცული იყო იდეოლოგიური სისტემით, სადაც პოეზია უნდა დაგვეზეპირებინა. ეს უფრო დავალება იყო, ვიდრე მეხსიერება. ყალბი სოციალიზმის ლიდერებს სურდათ, რომ პოეზია რუტინამდე დაეყვანათ, და ღმერთს და რუტინას დიდი ძალა აქვთ, რადგან შეუმჩნევლები არიან. მადლობა ღმერთს, მხოლოდ ის ლექსები გვახსოვს, რომელსაც სიჩუმეში ვკითხულობდით, მაშინ.

**ზ. კ.: როგორ აღწერდით პოეზიას მხოლოდ ერთი სიტყვის გამოყენება რომ შეგეძლოთ?**

**ნ. მ.:** სიჩუმე.

**ზ. კ.: რა არის სიჩუმე და რა არის მისი ძალა?**

**ნ. კ.:** მე მჯერა სიჩუმის, მხოლოდ, როგორც სიტყვის დასაწყისის და არა სიტყვის არყოფნის. როცა ჩრდილს ვხედავ, დაკარგულ სინათლეზე კი არ ვფიქრობ, არამედ საგნის ჭეშმარიტ ფორმაზე. მე ვიმედოვნებ, რომ სიჩუმე უფორმო სიტყვების ჭეშმარიტი სინათლეა. ნება მომეცი, მილოშის სტრიქონებიდან მოვიყვანო ციტატა, მისი ლექსიდან „მიძღვნა": რა არის პოეზია, რომელმაც ვერ იხსნა ვერც ხალხი, ვერც ინდივიდი?.. ღმერთია მოწმე, მე შენ მაგიურად ვერ შეგესიტყვები. მე შენ უჩუმრად გესაუბრები, როგორც ვაშლი ან როგორც ხე.

**ზ. კ.: თქვენი აზრით, რატომ გახდა საუბარი უფრო მეტად ავტომატური პროცესი, იმის ნაცვლად, რომ უფრო ღრმა და აზრიან აქტად ქცეულიყო?**

**ნ. მ.:** მე არ მაქვს ილუზია, რომ რაიმე ახალს ვამბობ, რადგან ყველაფერი მოცემულია, მიუხედავად იმისა, დოკუმენტირებულია თუ არა, როგორც მინერალები აღმოუჩენელ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაღაროში. მე უფრო მეტად დამალული თოჯინების მჯერა, ვიდრე ომის საიდუმლოების. ზოგჯერ, იმისათვის რომ დანერო, აუცილებელია დარჩე მარტოობაში, რომელსაც სიკვდილზე დიდი შიში და მოგონებები არ მოაქვს. სიზმრის გახსენების ყველაზე მტკიცე გზა გაღვიძებისას ფანჯარაში არგახედვაა. მჯერა, რომ თხრობის მოტივი იქამდე იარსებებს, სანამ არსებობს წასვლისა და დაბრუნების იდუმალება. უმეტესად ბევრად დაცულად ვგრძნობ თავს, როცა სიზმრებში ვსაუბრობ და რეალობაში სიჩუმეს ვინარჩუნებ. სიტყვების მონყვლადობასა და მათ სიცოცხლისუნარიანობას სავალდებულო სასწავლო წიგნებს მიღმა მივხვდი. როზევიჩი თავის ლექსში „უცნობი წერილი" ჰყვება, როგორ მალავდა და სამუდამოდ შლიდა იესო იმ წერილებს, რომელსაც თითით წერდა მიწაზე, როცა მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე უახლოვდებოდნენ. თვით მანაც კი, ვინც არასდროს არაფერს წერდა, იცოდა სიტყვების სუგესტიური ძალის შესახებ. მე უფრო ენის არასრულყოფილების მჯერა, ვიდრე მისი გამძლეობის ან რევოლუციონერულობის.

**ზ. კ.: საინტერესოა, ყურადღებას თუ აქცევთ ტექსტის ფლერადობას და თვლით თუ არა, რომ ფლერადობის სპეციფიკას შეუძლია შეცვალოს ტექსტის აღქმის პროცესი?**

**ნ. მ.:** მუსიკას თავისი სხეული აქვს, როგორც ტექსტს აქვს თავისი ხმა. კოლტრეინი ამბობდა, რომ მუსიკის ენაში სიტყვების დაძლევა სურდა. ადრე, როგორც საკუთარი აზრების არაკვალიფიციური მოციქული, ვფიქრობდი, რომ სიტყვების გამოყენებით სიჩუმეს დავძლევდი. დიკინსონმა დაწერა: „სიჩუმე უსასრულობაა". ბებია მეუბნებოდა ხოლმე, როცა ვკვდებით, უსასრულობად ვიქცევითო. ამიტომაც ვსვამ ტოლობის ნიშანს ცოცხლადობასა და სიტყვებს შორის, რადგან მე ყოველთვის მჯეროდა, რომ სიჩუმე მხოლოდ სიკვდილთან და საფლავების სიმეტრიასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ვიღაც მხოლოდ საფლავთან ტირის ყველაზე ხმამაღლა. მე ბალკანელ ხალხთა უმრავლესობის მსგავსად ვცხოვრობდი, ერთ სახლში, სადაც სამი თაობა თანაარსებობდა, ასობით მსოფლხედვით. სიტყვები იბრძოდნენ საკუთარი მნიშვნელობის სტატუსისთვის – როცა ვიღაც მოგონებებზე საუბრობდა, მეორე მხრიდან პასუხი ყოველთვის მოლოდინებით სავსე იყო. სიტყვების ხიშტების ამ ყოველდღიურ ომში მხოლოდ მაილს დევისისა და კოლტრეინის ხმამაღლა მოსმენამ მომცა სივრცე ჩუმი ფიქრისთვის.

**ზ. კ.: მეჩვენება, რომ ყველაფერს არტეფაქტებად ალგვიწერთ, ყველაფერი წარსულია და ძველი. ემოციებისა და ვერდავიწყებული შეგრძნებების მუზეუმის მაგვარს ქმნით, გჯერათ, რომ საგნებს შეუძლიათ ინფორმაციის შენახვა, რომელსაც ჩვენ მათ გადავცემთ მათთან ურთიერთობისას?**

**ნ. მ.:** ჩვენ ყველა დროის წრეზე დავეხეტებით, რათა მსოფლიოს უდანაშაულობის მუზეუმი ვიპოვოთ. და ეს ხეტიალი სადღაც დაბრუნებისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯია – შენს ოთახში ან შენს ბავშვობაში. მე ვერ წარმოვიდგენ ჩემს სხეულს აბსოლუტიზმის ვერცერთ კონტექსტში. ბალკანეთის ქვეყნებში, მუდმივი რეალობის ყველაზე დიდი თანმდევი ჩრდილი წარსულში დროებითი მოგზაურობის შიმშილია. ადამიანები ტოვებენ სახლებსა და მოგონებებს ომებისა და თავს მოხვეული შიმშილის გამო, ხოლო ყოველი ნივთი, რაც მათ თან მიაქვთ, ხდება არტეფაქტი ან სიმბოლო, პერსონალური რიტუალიზმის ბუნდოვანი ხმა. ბებიაჩემი თავისი მიტოვებული სახლის გასაღებს იმავე კარადაში ინახავდა, სადაც წამლებს, ფიქრობდა, რომ ამ გასაღებს შეეძლო ის კარი გაეღო, რომელიც უკვე აღარც არსებობდა. ოთახებში ყველას გვაქვს ნივთები, რომლებიც ჩვენი სიკვდილის დადგომას აჭიანურებენ. ბალკანელებისთვის გაქცევა უფრო დროის გაზომვის პროცესია, ვიდრე სივრცული არყოფნის. ამდენი ომების შემდეგ უფრო მეტად ვინამე ხალხის სიჩუმის, ვიდრე მომენტების ომახიანობის. ბავშვობისდროინდელი მითოლოგია ჩემი ყველაზე პირველი თავშესაფარი იყო, სადაც პროგნოზირებად რეალობას ვაფარებდი თავს, მაგრამ ვიცი, რომ ბავშვობაში ძალიან ხშირად გავრბოდი. მოგზაურობა არასაზიანოა იქამდე, სანამ მას სივრცის ოკუპაცია დაერქმევა, გაქცევა ყველაზე უსაფრთხო რამეა, სა-

ნამ მიტოვებად გადაიქცევა. კითხვა მუდამ სანვავი იყო გადაადგილებისთვის, არა მხოლოდ მენტალური და ემოციური, არამედ ისტორიული და უსივრცო გადაადგილებისთვის. მახსოვს, ვოცნებობდი, მალე დამეინყებოდა, რომ კიდევ ერთხელ შემძლებოდა იმ ნიგნების ნაკითხვა, რომლებიც ჩემს დღიურებში შესახლებულიყვნენ, ცხოვრებაზე ფიქრის პროცესში. მაგრამ როცა ასე არ მოხდა, გავაცნობიერე, რომ ერთი და იგივე ნიგნები სრულიად განსხვავებულ ესთეტიკას და პერსონალურ ტექსტურას იძენდნენ, როცა მას განსხვავებულ სივრცეში კითხულობდი, განსხვავებული გარეგანი და შინაგანი ემბიენთით. ვიცი, რომ ამით არაფერს ახალს არ ვამბობ, მაგრამ ფამილარულობა დაცულობის ძლიერ კედელს აშენებს. კითხვა ის გამოცდილებათა გვერდითი სარკეა, რომელიც საგნებს იმაზე ახლოს გაჩვენებს, ვიდრე ისინი სინამდვილეში არიან. რადგან, რომანს კითხულობ თუ ლექსს, ტექსტი ყოველთვის სრულდება, შენი სურვილის მიუხედავად, ხოლო როცა ნერ, ტექსტს ჯერ დასასრული არ აქვს – დასასრული ყოველთვის ძალიან შორს გეჩვენება. შესაძლოა მთელი ეს მოგზაურობები და მიტოვების სითამამე მეხმარება დავფიქრდე ლექსებისა თუ ესეების მიტოვებაზე, რომელთაც მთელი სიფხიზლით ვნერ, მაშინ, როცა ეგოისტურად ვინარჩუნებ უკან დაბრუნების შესაძლებლობას. ბორხესმა დაუდევრად თქვა, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება შეიძლება საკუთარი ნანერების განხილვაში გავფლანგოთ. და აქ საქმე რაოდენობაში არ არის, არამედ მკაცრ მკითხველში, რომელიც საკუთარ სიტყვებს განიხილავს, რომლებიც კონკრეტული სოციალური და ისტორიული მოცემულობების პირობებში მოიშინაურა. თუმცა სიტყვების ველურობა უფრო მნიშვნელოვანი არ არის, ვიდრე ავტორის?

**ზ. კ.: თქვენი ლექსის ბოლოს, რომელსაც „მე მინახავს სიზმრები“ ქვია, თქვენ ნერთ: „მხოლოდ მე არ ვუნახივარ არავის, / მხოლოდ მე არ ვუნახივარ არავის.“ შეგიძლიათ, ეს პასაჟი აგვიხსნათ?**

**ნ. მ.:** უხილაობა ეს ყველა დამკვირვებლის ოცნებაა, რომელიც სამყაროს ნახევრად შეღებულ კართან დგას, ეს იმ ყველა პოეტის ნატვრაა, რომელიც სხვათა მოგონებებში არის დაკარგული, რაც, თავის მხრივ, მომაკვდინებელია.

**ზ. კ.: რომელ ავტორს შთაუგონებიხართ ან მოუხდენია თქვენს პოეზიაზე გავლენა?**

**ნ. მ.:** ბავშვობაში ჩვენ მარტოობა გვჭირდებოდა, თავისუფლების სახე რომ მიგვეღო სარკის წინ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს არსებითი პიროვნული აქტი იყო, მხოლოდ მოგვიანებით მივხვდით, რომ ყველა ჩვენგანი აკეთებდა ამას. სამყარო მაშინ იხსნება ჩვენ მიმართ, როცა საკუთარი საიდუმლოებების გამჟღავნებას ვინყებთ, ფრთხილად, როგორც ქვებით ჩაქოლილი ძაღლის ნაბიჯები. მე მქონდა მოთხოვნილება, რომ ჩემი ეჭვები სიტყვებით გამეზიარებინა და ჩემი თავი ბევრი აღმოსავლეთ ევროპელი (და არამარტო) ავტორის ლექსში აღმომეჩინა. ჩემი კავშირები ჰერბერტთან, შიმბორსკასთან, სტანესკუსთან ან პოპასთან, არქეოლოგიური უფრო იყო – მე აღმოვაჩინე მათი ლექსები, როგორც მტვერით დაფარული დამსხვრეული მოგონებები, თუმცა მე არ მქონდა ცივი მუზეუმის აშენების მოთხოვნილება. მე გადაადგილებათა სამყაროში ვცხოვრობდი, თუმცა ამავე დროს მილოშის სიტყვების სივრცულ და მჭვრეტელურ დინამიკაში, რომელიც ტრანსტრომერის შინაგანი ლანდშაფტის უძრაობაზე გადიოდა. ასეთი ტიპის კავშირებს ვგრძნობ ნინა თაობის პოეტებთან – როგორც ექო, რომლისგანაც სიტყვის რეკონსტრუქციის მოხდენა შეუძლებელია, თუმცა ბასრი ემოცია გამოვა. ხშირად სხვაობას ველარ ვპოულობ მათ ნიგნებში ხაზგასმულ ლექსებსა და იმ ქალაქებს შორის, სადაც დაბრუნება მინდა. მე მჯერა ურთიერთალიარებული გასეირნების გაურკვევლობის ლაბირინთების. მჯერა, რომ ატლასებზე გავლებული თხელი კონტურები, რომლებიც თანაბარი სიმაღლის ნერტილებს აკავშირებს, უფრო ხილვადია პოეტებისთვის, ვიდრე სქელი სასაზღვრო კონტურები. მსგავსად ამისა, მე მჯერა, რომ ყოველი დანერილი ლექსი, რომელსაც ბიბლიოთეკის ბნელ დერეფანში სძინავს, იქცევა სანათად ორ ჭეშმარიტებას შორის გამავალ ბილიკზე.

**ზ. კ.: თუ გახსოვთ პირველი პოეტური სტრიქონი, რომელიც დანერეთ? როდის დანერეთ და რაზე იყო ის?**

**ნ. მ.:** ბავშვობაში ოთახის კედლებზე ვნერდი ხოლმე, ჯერ კიდევ იქამდე, სანამ ასოებს და სიტყვების დეფექტურობას ვისნავლიდი. ჩემს მშობლებს ყოველ ზაფხულს უნევდათ კედლების თეთრად გადაღებვა. აბსურდულად ჟღერს, მაგრამ კედლები იყო ჩემი თავისუფლების პირველი პალიმფსესტი. ლექსების ნერა მაშინ დავინყე, როცა ასოების ცნობა ვისნავლე, ისევე, როგორც პოეზიის გაგება დავინყე მაშინ, როცა სიჩუმე ვისნავლე. ეს იქამდე მოხდა, სანამ იუგოსლავიაში ომი დაინყებოდა. ეს ომი დამეხმარა გამეგო ფურცლებზე ომახიანობის მნიშვნელობა, როცა ყველაფერი ჩემს გარშემო უფრო და უფრო ომახიანი ხდებოდა. ძალიან პათეტიკურად ჟღერს, როცა ისმენ, რომ პოეტმა მელნის ნაცვლად საკუთარი სისხლი გამოიყენა თავისი უკანასკნელი ლექსის დასანერად, მაგრამ იმ სივრცეში, სადაც მე ვცხოვრობ, ზოგიერთმა ადამიანმა სხვისი სისხლი გამოიყენა ახალი ისტორიისა და თავსმოხვეული მითოლოგიის დასანერად.

**ზ. კ.: ნლების განმავლობაში არედაქტირებდით ტექსტებს, რაც ნიშნავს, რომ ძალიან დიდი დრო გაქვთ გატარებული ნანერ სიტყვებთან მუშაობაში. რაიმე სხვაობას თუ ხედავთ, ნან-**

**ერსა და ნათქვამ სიტყვას შორის? რა გზას გადის სიტყვა საკუთარი თავის წერილობითი ვერსიის მისაღწევად?**

**ნ. მ.:** სიტყვის წარმოთქმა ან ამბის ხმამაღლა მოყოლა, ომისა ან სიტყვების აკრძალვის პერიოდში, უმთავრესი საშუალება იყო ენის გადარჩენისთვის და კულტურული და ინტელექტუალური მემკვიდრეობის გადასაცემად, რომელიც, როგორც წესი, არცერთ ანდერძში არ იწერება. ეს აუცილებლობაა, რომელიც ენის დავიწყების შიშისგან არის აღძრული და ეს შიში სიკვდილის შიშზე დიდია. ბალკანეთში ადამიანებს უყვართ გრძელი ისტორიების მოყოლა გარდაცვლილთა საფლავზე, უყვართ დიდი თეთრი მარმარილოს ქვების დადგმა, რომელზეც შეძლებდნენ რაც შეიძლება, გრძელი, საგაზეთო სვეტის მაგვარი ტექსტის ამოტვიფვრას. ამის შემდეგ ყველა სახლში ბრუნდება იმ სიტყვებით სავსე, რომლების მოსმენასაც საკუთარ საფლავზე ისურვებდნენ. აღმოვაჩინე, რომ პოეზია, როგორც იმა, არც ჰაერს ეკუთვნის, არც ფურცელს, არც შავი კალმის მელანს ან პრინტერს. მე დაპირებებისა და ანდერძების განმეორებით მოყოლა მიყვარს და არა მოხსენებითი ანგარიშის ჩაბარება. მინდა ვწერო, ოღონდ არა თვალდახუჭულმა ან ყურებდახშულმა. როგორც ჟან კოქტომ განმარტა: „პოეტი არაფერს იგონებს. ის ისმენს."

**ზ. კ.: რა შეიძლება გავიგოთ ადამიანის ბუნებაზე სიტყვებსა და კომუნიკაციის ენობრივ სტრუქტურაზე დაკვირვებით?**

**ნ. მ.:** საუბარი ჩვენი არყოფნის გადავადების საშუალებაა. ვირტუალურ სამყაროში ჩვენ უკვე არმუდგურნი ვართ და ამიტომ თავს ნაკლებ პასუხისმგებლობას ვაკისრებთ იმ ყველაფერზე, რასაც სახელებს ვარქმევთ ან რასაც ხაზგასმით გამოვყოფთ. კადრს მიღმა, ჩვენ შეგვიძლია მოკუმული ტუჩებით ვიყვიროთ. ინტერნეტმა გააჩინა კონკრეტული ეფექტი, რომელიც თავისი ძალით პოლიტიკური „სფინქსის" ეიფორიას უტოლდება: მაშინაც კი, როცა ბრბოში ხარ ჩაკარგული, ისეთი განცდა გაქვს, რომ პოლიტიკოსი მხოლოდ შენ მოგმართავს. ოკეანესავით უსაზღვრო ინფორმაციისა და ქმედებების გაცნობიერების შემდეგ, ნებისმიერი ავტორი უბრალოდ იმედოვნებს, რომ მისი ტექსტი გახდება პატარა კუნძული, სადაც ვიღაც სულს მოითქვამს, სანამ გააგრძელებდეს თავის „კრუიზს", – ეს ტერმინი, „სერფინგისგან" განსხვავებით, მეტ სივრცეს ტოვებს ლიტერატურის განჭვრეტისა და აღქმისთვის. პოეზია თავისუფლებაა მაშინაც კი, როცა ის არ მოგზაურობს. ბეი დაომ დაწერა, რომ თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა მანძილი მონადირესა და მსხვერპლს შორის. როცა წერ, შენ თავად ხარ, მონადირეც და მსხვერპლიც, პოეზია კი თავად არის თავისუფლების მშვენიერი მანძილი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სახლი

მე ვცხოვრობდი ქალაქის პირას
ლამპიონივით, რომლის ნათურაც
არავის არასდროს გამოუცვლია.
კედლებს იჭერდა ობობის ქსელი
და ჩვენი შერწყმული ხელების ოფლი.
ცუდად ნაგები ქვიტკირის კედლის ღრიჭოებში
მე დავმალე ჩემი ფუმფულა სათამაშო დათუნია,
სიზმრებისგან რომ გადამერჩინა.

დღედაღამ ბარიერს ვაგებდი ზღურბლზე და
იმ ფუტკარივით ვუბრუნდებოდი,
რომელიც მუდამ უბრუნდება მის წინა ყვავილს.
სახლი რომ დავტოვე, მშვიდობა იდგა:

მოკბეჩილ ვაშლს ლპობა ჯერაც არ შეპარვოდა,
ნერილს კი ბეჭდად სახლი ერტყა – ძველისძველი, მიტოვებული.

რაც დავიბადე, მივიწევდი მას მერე ნყნარი ადგილებისკენ
და ჩემს ფეხქვეშ სიცარიელე დაკიდულიყო,
როგორც ის თოვლი, თავადაც რომ ვერ გაუგია,
მიწისაა თუ ცის.

## რა აღარ მოხდა

რა აღარ მოხდა,
რაც დედამიწა ღმერთის თითის
 ირგვლივ ტრიალებს.
მავთულებმა თავი დაიხსნეს
პილონებისგან და ახლა უკვე
ერთ სიყვარულს მეორესთან აკავშირებენ.
ოკეანის წვეთები
დიდი მონდომებით მოედნენ
გამოქვაბულის კედლებს.
ყვავილები მინერალთაგან გამოცალკევდნენ
და საკუთარ სურნელს ჩაუდგნენ კვალში.

ქაღალდის ნაგლეჯები უკანა ჯიბიდან ამოგვიფრინდნენ
და ჩვენი ნათელი ოთახი მოიცვეს ფრენით:
უაზრობები, რომლებიც არასდროს არ მოხდებოდა,
ჩვენ რომ არ გვეწერა მათზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ის ვინც წერს

შენ წერ. იმაზე, რაც უკვე არსებობს.
ისინი ამბობენ, რომ ფანტაზიორობ.
ჩუმად ხარ. როგორც ბრაკონიერთა
წყალქვეშა ბადეები. როგორც ანგელოზი,
რომელმაც იცის, რა შეიძლება რომ ღამით მოხდეს.

და მოგზაურობ. გავიწყდება,
რომ უნდა დაბრუნდე.
შენ წერ და არც კი გინდა გაიხსენო
ქვა, ზღვა, მორწმუნენი,
რომლებსაც სძინავთ ხელებგაშლილებს.

## ჩრდილები გვერდს გვივლიან

შევხვდებით ოდესმე,
როგორც ქაღალდის ნავი და
საზამთრო, რომელსაც მდინარეში აგრილებდნენ.
მსოფლიოს სიბრაზეც
ჩვენთან იქნება. ხელისგულებით
მზეს მოვიჩრდილავთ და
ერთმანეთს სანათებით ხელში მივუახლოვდებით.

ოდესმე ქარი აღარ შეიცვლის
მიმართულებას.
არყის ხე ფოთლებს ფეხსაცმელებში ჩაუძახებს
კარის ზღურბლთან.
მგლები ჩაუდგებიან კვალში
ჩვენს უმწიკვლობას.
პეპლები ლოყებზე
მტვერს დაგვიტოვებენ.

მოხუცი ქალი მოჰყვება ჩვენს ამბებს
ყოველ დილით, მოსაცდელ დარბაზში.
რასაც მე ვამბობ,
ისიც კი უკვე ნათქვამია: ჩვენ ქარს ვუცდით,
როგორც ორი დროშა ქვეყნის საზღვარზე.

ერთ დღეს, გვერდს აგვივლის
ჩვენ ყველა ჩრდილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მიქრის ეს საუკუნე

მიჰქრის ეს საუკუნე. ქარი რომ ვიყო
ხეებს ქერქს შემოვაცლიდი
და გარეუბნის შენობებს – ფასადს.

ოქრო რომ ვიყო, სარდაფში დამმალავდნენ,
დედამიწის ნაფლეთებში, დაშლილ სათამაშოებს შორის,
მამები მიმივიწყებდნენ,
შვილები კი მომიგონებდნენ უკუნისამდე.

ძაღლი რომ ვიყო, ლტოლვილები
ვერ დამაფრთხობდნენ, მთვარე რომ ვიყო,
სიკვდილით დასჯა ვერ შემაშინებდა.

კედლის საათი რომ ვიყო
კედლის ბზარებს დავეფარავდი.

მიჰქრის ეს საუკუნე. ჩვენ მსუბუქ მიწისძვრებს გადავურჩებით
ცისკენ და არა მიწისკენ ყურებით.
ფანჯრებს ვაღებთ და იმ ადგილებს ვანიავებთ,
სადაც ჩვენ არც კი ვყოფილვართ.
ომები აღარ არსებობს,
რადგან ვიღაც მაინც გვტკენს გულს ყოველდღიურად.
მიჰქრის ეს საუკუნე.
სიტყვაზე სწრაფად.
მკვდარი რომ ვიყო, ყველა ირწმუნებდა
ჩემს გაჩუმებას.

## სიჩუმე

სიჩუმე არ არსებობს ამ სამყაროში
ის ბერებმა მოიგონეს
რათა ყოველდღე ესმინათ ცხენებისა
და ფრთებიდან დაცვენილი ბუმბულებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არ ვიცი

შორია ყველა სახლი, რომელზეც ვოცნებობ,
შორია დედაჩემის ხმა,
რომელიც ვახშმისთვის მიხმობს, მე კი პურის ყანებისკენ გავრბივარ.
ჩვენ შორიშორს ვართ, როგორც ის ბურთი, მიზანს რომ სცდება
და ზეცისკენ მიფრინავს, ჩვენ ცოცხლები ვართ,
როგორც თერმომეტრი, რომელიც მხოლოდ მაშინაა ზუსტი,
როცა ვუყურებთ.
შორეული რეალობა ყოველდღე რაღაცას მეკითხება
იმ უცნობი მოგზაურივით, რომელიც ნახევარგზაზე მაღვიძებს
სიტყვებით: „ეს ჩვენი ავტობუსია?"
მე ვამბობ „კი"-ს, თუმცა ვგულისხმობ – „არ ვიცი"-ს,
მე არ ვიცი, სად არის ქალაქი ჩემი წინაპრებისა,
რომლებსაც უნდათ მიატოვონ აღმოჩენილი დაავადებები
და წამლები, რომლებიც შეიცავენ მოთმინებას.
მე ვოცნებობ ჩვენი სურვილების გორაზე მდგარ სახლზე,
რათა იქიდან ვუყურო, როგორ ხატავენ ზღვის ტალღები
ჩვენი დაცემისა და სიყვარულის კარდიოგრამას,
როგორ სნამთ ადამიანებს, რომ არ ჩაიძირებიან
და როგორ დააბიჯებენ, ისე, თითქოს მათ არ დაივიწყებენ.
შორია ყველა ქოხი, სადაც ვემალებოდით მტორმს
და ტკივილს, რომელიც მოჰქონდა სიკვდილს მონადირეთა თვალწინ,
რომლებიც უფრო მარტონი იყვნენ, ვიდრე მშიერნი.
შორეული წამი ყოველდღე მეკითხება:
„ეს ფანჯარაა? ეს ცხოვრება?" და მე ვპასუხობ
„კი"-ს, თუმცა ვგულისხმობ „არ ვიცი"-ს. არ ვიცი,
დაიწყებენ თუ არა ლაპარაკს ჩიტები ისე, რომ „ცა" არ წარმოთქვან.

## მე მინახავს სიზმრები

მე მინახავს სიზმრები, რომლებიც აღარავის ახსოვს
და ხალხი, რომელიც სხვათა საფლავებს დასტირის.
მე მინახავს ჩახუტებები თვითმფრინავში, რომელიც ვარდებოდა
და ქუჩები ღია არტერიებით.
მე მინახავს ვულკანი, რომელსაც უფრო მეტხანს ეძინა,
ვიდრე საგვარეულო ხის ფესვებს
და ბავშვი, რომელიც წვიმას არ უფრთხოდა.
მხოლოდ მე არ ვუნახივარ არავის,
მხოლოდ მე არ ვუნახივარ არავის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენ შემდეგ

ერთ დღესაც ვიღაც ჩვენს ზეწარს დაკეცავს
და გაგზავნის ქიმწმენდაში
უკანასკნელი მარილის მარცვლების მოსაცილებლად,
გახსნის წერილებს და დაახარისხებს თარიღის,
და არა მათი ხშირი კითხვადობის მიხედვით.
ერთ დღესაც ვიღაც ოთახის ავეჯს გადაალაგებს,
როგორც მოჭადრაკე თამაშის წინ,
ძველი ფეხსაცმლის ყუთს გახსნის,
სადაც ვაგროვებთ ღამის პერანგის ღილებს,
ცოცხალ-მკვდარ ელემენტებს და შიმშილს.
ერთ დღესაც ზურგის ტკივილი დაგვიბრუნდება
სასტუმროს ოთახის გასაღების სიმძიმისა
და ადმინისტრატორის ეჭვებისაგან –
ტელევიზორის პულტის გადმოცემისას.
სხვათა სიბრალული აგვედევნება,
ისე, როგორც მთვარე ვიღაც მოხეტიალე ბავშვს მისდევს ხოლმე.

## როცა ვიღაც მიდის, ყველა ნამოქმედარი უკან გიბრუნდება

*მარიან კ-ს*

სადღაც, კუთხეში, ვიღაცის მკლავებში შენ მიხვდები,
რომ ვიღაც სადღაც მიდის. ყოველთვის ასეა.
მე ორ ჭეშმარიტებას შორის ვცხოვრობ,
როგორც ნეონი, რომელიც ცარიელ დარბაზში
ციმციმებს. ჩემი გული უფრო და უფრო
მეტ ხალხს აგროვებს, რადგან ისინი უკვე მოკვდნენ.
ყოველთვის ასეა. ჩვენი სიფხიზლის საათების ერთ მეოთხედს
ციმციმში ვატარებთ. ჩვენ მანამდე ვივიწყებთ ყველაფერს,
სანამ დავკარგავთ –
კალიგრაფიის რვეულს, მაგალითად.
არასდროს არაფერია ახალი. ავტობუსის სავარძლები
მუდამ თბილია.
უკანასკნელი სიტყვები ისე გადმოგვეცა,
როგორც ნახევრად ცარიელი სათლები ზაფხულის კოცონს.
ხვალ ისევ იგივე განმეორდება –
სახეს, ფოტოდან გაქრობამდე,
ჯერ ნაოჭები მოშორდება. როცა ვიღაც მიდის,
ყველა ნამოქმედარი უკან გიბრუნდება.

*თარგმნა ზაზა კოშკაძემ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2 პოეზია

## ეკა ქევანიშვილი

### ყველა სიყვარული ასე დამთავრდება

გეტყვით, როგორც.
როცა ყველა დაიძინებს და ერთმანეთის
მაგნიტებად გადაიქცევით,
მაშინ გაგახსენდებათ, რომ ტუჩებიც არსებობენ.
შაქარმოყრილი მარმელადები.
რომ ერთ დროს ყველაფერი ტუჩებით დაიწყო.
ენების მიდებით. გემოს გასინჯვით.
მერე კი ეს რიტუალი უბრალოდ ერთად წოლამ ჩაანაცვლა.
შუაღამით ზურგის ქონამ, გადამოწმებით – ხომ გიყვარვარ?
რაღაც ჩვეულებრივით დაკმაყოფილებამ.
გარანტიამ.

ყველა სიყვარული ასე დამთავრდება.

როცა ერთ დღეს
თავისუფლად ველარსად ჩამოჯდებით,
როგორც გინდათ და სადაც გინდათ და როცა მოგინდებათ.
როცა არასოდეს დაილევა მტვერი თაროებზე და
საუთოო გორა მეწყერივით წამოვა.
როცა ვიდეოთამაშის ხმა ნერვებს დაგანყვეტთ.
როცა ბევრჯერ გკითხავენ, შინ როდის დაბრუნდები.
როცა „მეტი არ დალიო" ფრაზები მომრავლდება.
როცა გასაქცევად მზადმყოფს ზეთის წინწკლები
მოგეშხეფება ახალ ფეხსაცმელზე და უიმედოდ
დაინყებ რეცხვას ქურქლის სარეცხის ჟელეთი.
როცა ავტობუსის გაჩერებაზე უეცრად
პარანოია გეწყება, გაზი ხომ არ დაგრჩა ჩართული –
ადგილს წყდები და უკან ბრუნდები, რომ შეამოწმო.
როცა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უბრალოდ
მარტო
შენი
თავისთვის
აღარ
გამოგდის
ცხოვრება.

აი, მაშინ დამთავრდება.
მაშინ ინატრებთ, სიყვარულიც ისე ითიშებოდეს,
როგორც ელექტროჩაიდანი.
ყოველი ადუღების მერე ცივდებოდეს და
თავიდან დაწყება შეიძლებოდეს.
ცხრა სიცოცხლე ჰქონდეს სიყვარულს და
ყველა წინა გავიწყდებოდეს.
თორემ,
ყველა სიყვარული ასე დამთავრდება – ჩვეულებრივად.
საწოლში, ძილში სიკვდილივით.

## იდეალური არ გეგონოთ, ყველაფერია

საჭმელი დამიდეა. ჩაქუჩი მომაწოდეა.
შენთვითონ გარეცხეა. სარეცხი ჩამომიხსენია.
გადასახადი გადაიხადეა.
მძიმეს მე წამოვიღებ და,
შენამდეც წამომიღიაა.
ჩაძინებულზე ცხვირების მიდებაა. სუნთქვის შეჩერება.
გულისცემის მოსმენა.
ხელის მხრებზე ჩამოსვენება.
მაგვიანდებებია. საერთოდ ნუ მოხვალ თქმებია.
დღეს არ მიყვარხარ წამოძახებები.
ის უფრო მიყვარდა აღიარებები.
რატომ შემიყვარდი საერთოდ, სინანულები.
სია მომწერე ესემესებია, შენ ვერ იყიდი პასუხებია.
სამდღიანი სიჩუმეა.
მწარე წამლის გემოს ჩხუბებია.
ჩვეულებრივია.
ბუნებრივია.
დაღლილი ღამეებია. გამომშრალი დღეებია.
ხანდახან კაფეებია. ხშირად შვილებია.
თავების გვერდზე გაწევებია.
ყვავილი მიყიდეებია. საჩუქრებად მდინარის ქვებია.
იშვიათად ქვეყნის მოვლებია.
ერთმანეთის თავიდან პოვნებია.
რაც გამოგონილია, იმის რეპეტიციაა.
რაც დამტკიცებულია – იმის გამეორება.
რისიც არ გჯეროდა, იმის აღიარება.
რისიც გჯეროდა – იმის უარყოფა.
ძველი სიყვარულია – როგორც თავდაყირა,
გასახმობად ჩამოკიდებული ყვავილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კონცერტი სკოლის სტადიონზე

რა სევდიანი იყო იმ პატარა ქალაქის მეორე სკოლის
ძალით გაცოცხლებული სტადიონი,
სადაც რაღაც ფესტივალი ჩატარდა.
პრეზიდენტი გამოვიდა, იხუმრა, ხალხმა გაიცინა.
პრეზიდენტი ახლოდან დაინახეს.
ბოლოს კი ინვიმა. წვიმამ ყველაფერი დაშალა.
სავალდებულო სამსახურების შემდეგ დადგმულ ზეიმზე
თავმოყრილებს მაინც რაღაც უხაროდათ.
ალბათ – ბევრი ადამიანი ერთად. ხმაურით შეცვლილი სიჩუმე.
და ეს არცაა გასაკვირი:
ამ ქალაქში ქუჩები ისე დაცარიელდა,
როგორც ატომური აფეთქების მერე მიტოვებულ ქალაქებში.
ფესტივალიც რაღაცნაირი რამდენიმესაათიანი გამოვიდა
გასაყიდად გამოტანილ ღვინის ბოთლებს, თაფლის ქილებს ამოფარებული.
მე მახსოვს ამ ქალაქის დღესასწაულები – არაფერი შეცვლილა,
მაშინაც ასე ვიღაცისთვის რაღაც უნდა გვემტკიცებინა,
და უფრო ლამაზები ვყოფილიყავით,
ვიდრე სინამდვილეში.

## სურათის აღწერა უკუღმა

ღმერთო ჩემო, როგორ იცვლება ცხოვრება.
როგორც ჩემი კომპიუტერის ეკრანი:
ადრე ზედ სტაფილოსფერი გოგრები ეყარა,
ან – ხასხასა მწვანე ბალახი ამოდიოდა,
რომელიმე საყვარელი მსახიობი შემომცქეროდა.
გამარჯობა ეკა – ციმციმებდა ბრჭყვიალა მორბენალი სტრიქონი.
ახლა ყველაფერი მკაცრად გალურჯებულია – ეკრანზე კი, აქა-იქ მიყრილ-მოყრილია
შინაგან საქმეთა მინისტრის პორტრეტები.
ისინი, რომელიღაც ოფიციალური საიტიდან გადმოვიწერე,
ახალი ამბების გასაფორმებლად ასეთი ფოტოები სულ საჭიროა:
მათზე შინაგან საქმეთა მინისტრი
მიკროფონების ფერადი თაიგულის წინ დგას
და წინასწარ მოფიქრებულ წინადადებებს იმეორებს.
შინაგან საქმეთა მინისტრს ყველაფერი თავის ადგილზე აქვს – ორივე თვალი,
მკაცრი ხმა და საჩვენებელი თითი, რომელსაც ხანდახან მაღლა სწევს და
გვეუბნება, მას შევხედოთ და მოვუსმინოთ.
ჩვენ მისი შინაგანი მოსაგვარებელი საქმეები ვართ – არ უნდა შევაწუხოთ.
ზედმეტად ფერადი დროშები არ უნდა ვაფრიალოთ.
ზედმეტად ბევრნი არ უნდა შევიკრიბოთ.
ზედმეტად არ უნდა გავბრაზდეთ – ეს ბუნტია.
სახელმწიფოებრივად უნდა ვიაზროვნოთ = მოვითმინოთ.
რა ადვილია, წამებში გააქრო ყველაფერი კომპიუტერის ეკრანიდან.
და რა რთული, დაივიწყო,
პატარა გოგოს ცალი თვალი როგორ დასთხარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამქრალი სიყვარულის

არსებობს ასეთი სიყვარულიც.
სხვადასხვა მატარებელში სხედხართ და მიდიხართ.
გზები არსად იკვეთება, მაგრამ ფანჯრები.
ფანჯრები ჯაშუშებია – ერთმანეთის სახეებს ირეკლავს.
არსებობს ასეთი დამთავრებული სიყვარულების პარალელური რეალობა –
ერთ დროს ორივეს საყვარელი მაღაზიის გასახდელში ერთდროულად მოხვედრა:
როცა მის ხმას ცნობ, შენი კი – გინყდება.
სიყვარული ჩავლილია, მაგრამ ჩამქრალი ვულკანის კრატერივით
პირღიაა დარჩენილი.
მის ადგილას ახალი ამოფრქვევაც იყო, ახლა მის ძირში ცხოვრობ და ხანდახან
შენს ძველ, გაქვავებულ ტანს დახედავ ხოლმე – როგორ გადარჩა, გაიკვირევ.
ასეთი დაფერფლილი სიყვარულები არსებობს – მუზეუმის ექსპონატები.
ძალიან რომ მოგენწყინება,
ბილეთს იყიდი და ექსკურსიაზე შეხვალ.

## აქციების თვე

მოპირდაპირე კორპუსში – სარეცხის თოკზე
ვიღაცის შარვალი მისდევს ვიღაცის კაბას.
შუაში პოლიციელია –
უკვე მშრალი პირსახოცი.
ნეტა ჩამოხსნან.

...

პლაკატი პარლამენტის წინ
მოითხოვს შს მინისტრის გადადგომას.
მოპირდაპირე კაფეში ნყვილი შორდება.
ერთი აქციაზე მიდის, მეორე პარლამენტში.
ყოველთვის არსებობს არჩევანი.

## ცხედრები ლიბიის სანაპიროსთან

რა ლამაზად ტივტივებდა ნყალზე მათი სამაშველო ჟილეტები – შორიდან.
ფოტოგრაფებმა ყველა კადრი ათიანში გაარტყეს
(მალე წლის საუკეთესო კადრის ავტორს გამოავლენენ):
კაშკაშა ნარინჯისფერი ლურჯ ზედაპირზე –
თითქოს ზღვას ჯადოსნური ყვავილები ამოუვიდა.
მაგრამ როცა მიუახლოვდით,
ისინი გაფუჭებულ, დაბერილ სოსისებს დაემსგავსნენ.
სანაპიროზე ნუხელ კიდევ 20 ლიბიელი გამოირიყა.
ბადრიჯნისფერი სახეებით ნაპირზე ეყარნენ.
ლიბია – დაგუგლა ნახევრმა მსოფლიომ – ყველაფერი გასაგებია.
მკვდრები დავზუმეთ.
და სხვა ახალი ამბების კითხვა გავაგრძელეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მოდი, ვიმეცადინოთ სიკვდილში

შეიძლება უფრო ადვილი იყოს,
თუ მათ სიკვდილზე დღესვე დავწერ,
რადგან უკვე ვიცი, რაც იქნება.

მოდი, ვიმეცადინოთ სიკვდილში.

თუ პირველი დედაჩემი მოკვდება,
მამაჩემი ამ სახლიდან ფეხს არ მოიცვლის.
ორ ოთახში იცხოვრებს, დანარჩენი სახლი ჩაიკეტება,
ყველაფერს მტვერი დაედება, ლეიბები დაობდება.
აბლაბუდები შვებით ამოისუნთქავენ.
მტვრის სუნი დაგუბდება. სუნი სიბერის და ჯიუტი მამაჩემის.
მე – დღეში რამდენჯერმე დავურეკავ.
შემეშინდება, მეზობლებმა არ თქვან – უპატრონოდ მოკვდა.
ის დიდ ქალაქში არასოდეს წამომყვება.
არც მარტოობის შეეშინდება.
და ალბათ, ღრმა სიბერემდე იცოცხლებს.
მე კი, დამხმარე ქალს დავიქირავებ მის მოსავლელად.

თუ მამაჩემი მოკვდა პირველი,
დედაჩემს თან წავიყვან, დიდ ქალაქში.
ჭიშკარს დიდ ბოქლომს დავადებთ.
რომლისაც ზუსტად ისე მეშინია, როგორც სიკვდილის.
მერე, ცნობილი სცენარის მიხედვით,
ზაფხულში ჩავალ ხოლმე ბავშვობის სახლში,
სახლს გავუხსნი ფანჯრებს, როგორც ფილტვებს.
ის ერთს ამოისუნთქავს და დაიჯერებს – არც ისეთი მიტოვებულია,
როგორც მთელი ზამთარი ეგონა.
დედაჩემი დიდხანს ივლის ეზოში, ოთახებში.
წარსულს შეაგროვებს.
მე ვიცი, რაც მოხდება, როცა არც ერთი აღარ მეყოლება.
ამიტომ ამ გამოცდას მარტივად ჩავაბარებ.

## დედა ჩამოვიდა

რა შეიძლება იყოს ამაზე უკეთესი ორსიტყვიანი წინადადება,
დედა ჩამოვიდა.
დედა ჩამოვიდა – ის უკვე 67 წლისაა.
თავისით ჩაჯდა „მარშრუტკაში",
იარა იარა და მოვიდა ჩემთან.
დახვდა დაღლილი, რუტინისგან გამომხმარი შვილი,
დედა ჩამოვიდა
და დამისხა წყალი ფესვებთან.
დედას ჰქონდა შემოდგომის სუნი, სინამდვილის სუნი,
ფოთლების სუნი და დედაჩემმა მოიტანა მამაჩემის ამბები,
იაფად ჩაბარებული ყურძნის ფასები,
დაკონსერვებული ზაფხული,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედამ მოიტანა ჩემი ქალაქი,
ჩემი ბავშვობის ჩვევები და ქცევები და აკრძალვებიც
და მე სახლში დავბრუნდი.
დედა ჩამოვიდა, რა სალექსე თემა ესაა.
ყოველდღე დიდ ქალაქში, ალბათ, ყველასთან ჩამოდის ერთი დედა მაინც.
თავიანთი თავშლებით, სოფლებით, სითბოებით.
ჯობს დავწერო რამე ურბანულ სიგიჟეებზე,
პრეზიდენტის ლირულ არჩევნებზე,
ნაცემ ქალებზე.
მაგრამ მე მაინც დედაზე მეწერება,
რადგან მან გამოიარა ხამასი კილომეტრი,
ხვეული გზები, ცხრაჯერ შეაწუხა მძღოლი,
გააჩერებინა, სული მოიბრუნა, იბოდიშა და მოვიდა.
ყველაფერზე შემიძლია ვწერო,
რაც უფრო პოპულარული საკითხავი იქნება,
და უფრო მეტი ადამიანისთვის საინტერესოც.
მაგრამ არა ასე გაიშვიათებული ამბავი,
როგორც დედის პატარა ქალაქიდან
თავის დიდ ქალაქში ჩამოსვლაა.
დედა ჩამოვიდა.

## შემთხვევითობა

თბილისის თავზე
თვითმფრინავმა
გაასწრო ელვას.
ასე გადარჩა ჩემი სიყვარული.

## კიბო

ხანდახან,
გიჟივით ვისინჯავ ძუძუებს.
ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნიდან თითებს ვარჭობ,
როგორც ცომში ფქვილის კოშტებს – ისე დავეძებ
რამე ხელჩასაჭიდს.
ვათვალიერებ, არაფერი გამეპაროს, არაფერი შემომიძვრეს.
სარკის წინ კისერს ვიგრძელებ,
ავწევ-დავწევ, ვიჩქმეტ, აბა, თუ მეტკინება.
გიჟივით მეშინია,
სადმე სოციალურ ქსელში მეგობრებმა არ გამომაჭენენონ,
არ დაწერონ „ქევანასთვის“
და ვინმემ თავი არ გადააქნიოს, მწუხარებით,
რა სიცოცხლით სავსე ვიყავი.
მეშინია, რადგან ვიცი, გმირობა ჩემი საქმე არ არის,
არც თავგადახოტრილი ჩემი თავის ჩვენება შემიძლია.
ვერაფერს მოვყვები ჩემს კიბოზე. ტყუილია.
ხანდახან, მუცელზე ვიჭერ ხელებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ბოლო დროს გაჩენილ ტკივილებს ვაყურადებ,
ხომ არაფერი ზის გაყურსული, თავისთვის.
უცებ არ ამოყოს თავი ნაბლის ჭიასავით –
გაოცებულმა არ შემომხედოს – რისთვის შევაწუხე, როცა
ჩავკბიჩე.
მერე სისხლის ანალიზზე გავრბივარ ხოლმე,
როგორც უკვდავების წყალზე და ველოდები,
ჩემი რიგი როდის მოვა,
ჩემი სისხლის ახსნა როდის ამოიბეჭდება.
მერე ვმშვიდდები.
რადგან წელს, ერთადერთი, რაც დამემართა,
ესაა – კიდევ ხუთი კილო მოვიმატე.
ამას კი, ნიჭიერების შემთხვევაში,
ფართე, ლამაზი კაბის ქვეშაც დამალავ.

* * *

ახალი ლექსების დაწერის ისევე მეშინია,
როგორც ახალი შვილის გაჩენის –
სადღაც წავიკითხე,
სავარაუდოდ, იდიოტური კედლის კალენდრის
მოხეულ ფურცელზე –
ორმოცის მერე მეტი შანსია, ჯანსაღი ბავშვი ვერ გააჩინო.
დაჯღანული ლექსები რომ გამომივიდეს
და ვინმემ მითხრას,
ის წინები უფრო ლამაზები იყოო.
უფრო პუტკუნები და უფრო გემრიელებიო,
რა ვუპასუხო.
ვენახი ხომ არ არის – სეტყვას დავაბრალო.
ცომი ხომ არ არის, ჩამივარდეს.

მაგრამ რა ჯანდაბა ვქნა, როცა მაინც
ვისხამ, მწიფდება და მცვივა.
ვზელ, ფუვდება და თასიდან გადმოდის.

ჩემი ხის ძირში მაინც მელოდებიან ადამიანები.
ჩემი საცხობის სურნელი ჩემთან მომავალი ისრებია.
და მეც ვაგრძელებ კუტი პურების დარიგებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლელა სამნიაშვილი



### გალაკტიონის ძეგლი ჭავჭავაძეზე

ქვის გალაკტიონს შემოაკლდა ტანზე ქარები.
გადმოჰყურებენ კორპუსები სართულებიდან
ამრეზით. ის დგას გრიგალური თავშეკავებით.
თითქოს ქალაქზე საბოლოოდ აცრუებია
გული. ცემენტის ნამტვრევები მის ქვის ფეხებთან
და მტვერი მის ქვის პალტოზე და ნვერზე მიკრული
ფეხის მტვერია ამ ქალაქის მომხმარებელთა.
ცხადია, ველარც პოეზია გაიკურნება
ამდენი მტვრისგან. ამიტომაც დგას გრიგალური
თავშეკავებით. კორპუსების ყრუ თავებს ითმენს.
აცრუებია გული. ქალაქს ცერად გაჰყურებს
და გონებაში თავის სულთამხუთავებს – რითმებს
ატრიალებს და ემატება ტანზე მტვრის ფენა,
რომ უფრო შორს და უფრო ცალკე მოაინჯოს ფრენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დედაენა

ენა თავისას ამბობს ყველა ენაზე. ენა
მზის ამოსვლაა, წვიმის ხმაა, ქარის ქროლვაა
ადამიანის ამოთქმული. ის – მენავეა
დროის მუქ წყლებში. და სიჩუმე – ამოქოლვაა
ენის. დროებით. მაგრამ როცა დედა ენიდან
გაჰყავხარ უცხო ტრამალებში, როცა გადებენ
ენაზე აბებს დავიწყების, როცა ყელი და
სიმები სახმო, როცა ხორხი, როცა გლანდები
სივდება, რადგან სხვა ენაზე უნდა ამოთქვან
„მე შენ მიყვარხარ", „მენატრები", „დროა", „მშვიდობით" –
იგივე ნავით ვერ გაცურავ ამ სამყაროდან,
ხოლო სხვა ნავებს, თუნდაც ჰქონდეთ სიღრმე კიდობნის,
წყალობის ქარი არ დაბერავს. არც ცა, არც მტრედი
აირეკლება. შიგ ერთ ლექსსაც კი ვერ ჩატევდი.

## ყაყაჩოები თბილისში

ეს გზა ვერაფრით დაიტკეპნა –
თითქოს მიწისქვეშ გიგანტური გველი მოძრაობს
და პროსპექტებს ქვაფენილს აცლის.
ისევ აგებენ, ისევ აცლის.
კიდევ უფრო გაიწელა მანქანების უიმედობა,
სიგნალის დრამა, ნერვების ტროსი.
ავად ვართ გზებით. თითებიდან აგვიღეს სისხლი
და სიფრიფანა ფურცლებადქცეულ
კანის ნაფლეთებს შთაბერეს სული
შუა მაისის ანგელოზებმა.
გზისპირებზე ყაყაჩოებმა
ჩვენ მაგივრად დაიწყეს სუნთქვა.
იქ ჰყვავიან, სადაც ხელი ვერ მისწვდება მათ სიკაშკაშეს.
სადაც ფეხით არავინ დადის.
მხოლოდ ასე შეუძლიათ თავის დაცვა
და ჩვენზე ზრუნვაც.
ყაყაჩოები სამაშველო ბრიგადებია.
თვალს გვტაცებენ და მალამოდ გვედებიან,
როცა გზებზე გამოკიდულნი, საცობებში,
ვცდილობთ, საკუთარ პულსს გავექცეთ
და ოდნავ მაინც წავიწიოთ
სიზმრების შორი კუნძულებისკენ.

## ზღვის სეზონი

შეუძლებელია ზღვის მოსურვილება. სურვილის გაშვება
შეუძლებელია, როცა მზის ჩასვლები თვალებზე მალამოდ
გედება. მაგრამ დღეს შტორმია ზღვაზე და შტორმს ეთამაშება
ძაღლი. და ტალღები და ძაღლი ერთმანეთს ლოკავენ. საღამო –
ქარის და მარილის ნარევი – ივსება დაცლილი პლაჟით.
კენჭებიც და ხალხიც თითქმის გაიხვეტა და მხოლოდ ქვიშაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ძაღლი, რომელიც ზღვას ეთამაშება. და შტორმის გნიასში
თანდათან იზრდება ტალღების სიცივე, სიმაღლე, სიშავე.
და ზღვაზე შტორმია, წითელი ალმები. მზეც უანარეკლოდ
ჩაიდა მორევში. ფერად პირსახოცებს ნაცრისფრად აშრობენ.
წარსულში რაც რჩება, არც ერთით მეტია, არც ერთით ნაკლები.
ზღვა ისევ აწმყოში ამოყრის ძაღლს და კაცს – მკვდარ სათამაშოებს.
ზღვა ერთი ყლუპია. ზღვა ყელში ამოდის და კეტავს სასულეს.
ზღვას სულ არ ანაღვლებს მკვდრები და ცოცხლები. წყალია. სივრცეა.
და ისევ მლაშდება ზაფხულის სეზონი ასე სასურველი.
მლაშდება, გუბდება და სადღაც, ზურგსუკან, უგულოდ ირწევა.

## ბრილიანტების საბადოები

*ეძღვნება ვისოცკის*

„ბრილიანტების საბადოები პლანეტაზე ორმოებს ტოვებს" –
ამბობს სტატია. და დავყურებ სურათზე ორმოს.
შიგ ქალაქიც კი ჩაეტევა. რუსეთი ტორებს
აწყობს ციმბირის ტყეებიდან
სხვა ქვეყნებს. ომობს
შორს – ცეცხლით. აქ კი წერაქვები მიაქვთ პატიმრებს.
მიწისქვეშეთის ნაკადულებს თითებში ცრიან.
აქ ერთმანეთის სიბრალული ვის აატირებს.
ღრმავდება ორმო. ალმასები მოჰყვება მღვრიე
წყლებს. ორმოს იცავს სხვა ქვეყნებზე ტორის დადებით.
თვითონ კი უფრო ღრმად თხრის. ჩადის თითქმის ლავამდე.
ორმო ჩანს უკვე კოსმოსიდან. კიდევ ღრმავდება.
ვიდრე ციებით მსოფლიოს არ დაააავადებს.
გაირტყას ბომბი ამერიკამ, რუსეთმა, ჩრდილო
კორეამ. ბოლოს ყველა პაქტი მაინც ირღვევა.
ოღონდ როგორღაც ეს პლანეტა გადაარჩინოს
ადამიანმა, ვისაც უყვარს მხოლოდ სიმღერა.

## ერთი ფანჯარა

ჩემი ბავშვობის სახლის ფანჯარა
ახლა ყველაფერს ასე აჯამებს –
ჩაკეტილია, ჩარაზულია, როგორც წარსული.
თვალს ქუჩის მხრიდან თუ შევაპარებ
ბაც ვარდისფერზე დაყრილ ნაცრისფერს –
დამტვერილ კედელს – ვადაგასული
თავგადასავლის. არ გასდის ვადა
თავგადასავალს, სარძევე კბილის
ტკივილს, ჭრიალა კარს რომ მიება.
რა ხდება ახლა ამ ფანჯრის მიღმა,
თუ ჰყავთ ბავშვები, თუ ჰყავთ იმ ბავშვებს
ძაღლები თვალის მუქი ლილებით.
და პიტნის გრილი კანფეტის გემო
ილევა, როგორც დღის შუქი, როგორც
თვალების წრიდან გასული გემი.

გამოკეტილა ძველი ფანჯარა,
ღამის ქალაქიც გამოკეტილა
აღარც ხმა ისმის, არც სულიერი
ჭაჭანებს ვინმე – ყრუ ჩარჩოს მიღმა.
ადამიანებს და ლანდებს შორის
მხოლოდ ხორცია. და ისიც დნება.
ხოლო ის, რაც ჩვენ ნამდვილად გვიყვარს,
ტოტემებივით მხარდამხარ მიგვყავს
შორ გზებზეც. სახეს უცვლიან წლები.
მაგრამ სახესთან სულ ვგრძნობთ მათ
სუნთქვას.
ალბათ ბოლომდე ჩვენთან არიან.
ჩვენთან არიან ალბათ ბოლომდე –
გამოხურული ბავშვობებიდან
გამოკეტილი კარ-ფანჯრებიდან
გამოყოლილი სამშობლოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წინასაახალწლო ელეგია

რა უფრო წმინდაა,
პატრიარქის თვალები, რომელშიც საბჭოთა კაგებეს მიწისქვეშა
იზოლატორები ირეკლება,
თუ პოეტის სევდიანი მზერა, რომელშიც ქალაქი დაცურავს,
როგორც მსუქანი თევზი,
რომლის მოუქნელი მოძრაობები და არასანდო სილუეტი აჩენს ლექსებს,
ხოლო ლექსი აჩენს პრობლემებს,
ხოლო პრობლემები ეგზისტენციურ შიშებს,
რაც ალბათ ყველაზე მომგებიანი მიზეზშედეგობრივი კავშირია კაცობრიობის ისტორიაში,
დაახლოებით ისეთი, ექვსი ციფრი რომ გამოიცნო მიყოლებით ლატარეაში,
ანუ ფაქტობრივად ჯეკპოტს ხსნი
და ხსნი საკუთარ თავსაც, იმ ზომამდე,
რომ ყველაფერი დაიტიო,
მსუქანა თევზისხელა ქალაქი, სადაც დიდი ხანია სალათას ძილით სძინავთ მათ,
ვისი თვლემაც კი დანაშაულია,
შენი პერმანენტულად ცარიელი საფულე,
ყოფილი შეყვარებულის სევდიანი მზერა და ა.შ.

და მაინც, ვკითხულობ, სად არის თოვლი შარშანწინდელი
და მეგობრები, რომლებიც აღარ არიან მეგობრები.
ისინი მრავალუცნობიან განტოლებებად იქცნენ,
რომლის ამოხსნასაც დრო სჭირდება,
შენ კი დრო არ გაქვს,
ამიტომაც წერ ამ ლექსს
და იგებ,
აგებ
და უგებ დროს.

## რას ამბობს პოეზია

რას ამბობს პოეზია?
შერჩა კი მას ძალა რაიმე ქმედითისთვის?
რა შეუძლია მოიმოქმედოს პოეზიამ, როცა შიმშილი რიგითი პარლამენტარივით ვერაგია?
რაზე მეტყველებს ჩემი ენა?
რა ენაზე ვმეტყველებ, როცა შენ გამოგთქვამ?
რაზე მეტყველებს ჩემს ენაზე შემოჭდობილი შენი ენა?
რაზე იმეტყველებენ ქალაქის ქუჩები, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით?
რომელ მოგონებებს წაიკითხავენ ადამიანები ჩვენზე?
რაზე მიუთითებს სიკვდილი?
დავიწყებისკენ?!
რაზე მიუთითებს შენი დაბნეული თვალები
და აჩქარებული პულსაცია?
ნუთუ სიყვარულისკენ?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნდა ვუფრთხილდეთ თუ არა გამონვევებს?
თუ კომფორტის ზონებს თავქუდმოგლეჯილები შევეხიზნოთ?
რას ამბობს თითოეული განთიადი,
რომელიც შენი მომავლისკენ არის დამიზნებული?
ხშირად უნდა ვუსმინოთ
დროებით სხვაგანმყოფ საკუთარ თავებს,
რომლებიც აუცილებლად დაბრუნდებიან
უფრო ძლიერები, უფრო მაღლები, უფრო მიმზიდველები...
და ამინდის პროგნოზს,
ვალუტის კურსსაც უნდა ვადევნოთ თვალი
და თითი აუცილებლად მივაბჯინოთ ცხოვრების პულსაციას,
რომ ნესტიანი გვირაბის ბოლოს სინათლე თუ არა,
ქიქა ყავა და უფასო ვაიფაის როუტერები მაინც დაგვხვდეს.

პოეზია კი — არ ვიცი.
მე არ ვიცი, შერჩა კი მას ძალა რაიმე ქმედითისთვის.

## ჩემი გზა

*(ნაწილი მეორე)*

შენ შეგიძლია იყო მშვიდად
და იფიქრო ჯერდაუწერელ ლექსებზე
და მოსალოდნელ ბედნიერებაზე,
როცა ირგვლივ ყველა მოწყვეტით ეცემა ძირს
და ძალა საკუთარი თავივით ეცლებათ ხელიდან.
ყველანი ერთად აფრიალებენ თეთრ დროშებს
და ყველგან შეგუების აუტანელი სუნი დგას..

შენი ორიენტირი კი ფილიგრანულად ზუსტია
და ხელმოცარვების სერია, რომელიც ასე უსინდისოდ მიეწყო ერთმანეთს,
ვერაფერს გაკლებს და ვერც ლიბრად გედება თვალზე.
შენ მტკიცედ დგახარ იქ, სადაც უნდა იდგე.
იქ, სადაც მუდამ ქარიშხალია,
იქ, სადაც ადვილია, ფეხი დაგიცდეს.

შენი ლექსების ლირიკული გმირი კი ისევ დაიგეშება ახალ ლექსებში,
სადაც მორიგ წირვას გამოუყვანს ძალაუფლების ცენტრებს.
მიუხედავად იმისა, რომ მისი მკლავების და წელის დიამეტრით
ამის წარმოდგენა ცოტა რთულია,
ის ყოველთვის მზად იქნება,
ნონკონფორმიზმის ცივი ოთახებიდან
გადამწყვეტი დარტყმის განსახორციელებლად.
ან შეყვარებულის ნაზ კანს შეეხება,
ან მორიგ ეგზისტენციური ხასიათის მოგზაურობას დაიწყებს
საკუთარი თავის გარშემო,
რათა გაზარდოს საკუთარი მნიშვნელობები,
რადგან მკრეხელობაა, იყო ერთმნიშვნელიანი
მრავალმნიშვნელიანი პროფილის მქონე სამყაროს წინაშე.
ამიტომაც ის ყოველთვის მიმზიდველია,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისი მზერა მრავლისმთქმელია და ამავე დროს სევდიანიც,
გოგონები გაგიჟებას არიან მასზე
და ერთი სული აქვთ, გულს როდის გადაუშლიან,
და სიყვარულში როდის გამოუტყდებიან.

ამიტომაც, შენ შეგიძლია, იყო მშვიდად და წერო ახალი ლექსები,
ხოლო საკუთარი მნიშვნელობები შეცდომებივით მოგიმრავლდეს.
სამყარო პერსპექტივებითაა დატენილი
და მიზანში ჰყავხარ ამოღებული.
ვერსად წაუხვალ.
ხედავ, მისი ლულა შენი გამხდარი სხეულისკენაა მომართული.

ამიტომაც იყავი მშვიდად, ძიების პროცესი გრძელდება
და შენც ჯერჯერობით არსებობ მხოლოდ იმაში,
რასაც ვერ პოულობ,
ხოლო რასაც იპოვი, იქნება დროებითი დასაყრდენი,
სანამ მორიგი გამოწვევები არ მომართავენ შენს სხეულს
ახალი გამარჯვებებისკენ.

## ნაწყვეტი პოემიდან

* * *

მე დავიბადე ზუგდიდის ბაზრობასთან ახლოს
და მთელი ბავშვობა ვუყურებდი ადამიანებს,
რომლებსაც სადღაც მიეჩქარებოდათ.
მე კი ვგრძნობდი,
რომ ნასასხლელი არსად მქონდა
და ეს იწვევდა სასონარკვეთის დაბუდებას ჩემს სხეულში
და უფრო მეტად მისგან დაღწევის სურვილს,
რომელსაც ვერ ვახერხებდი
და ეს იქცა ათვლის წერტილად,
და განსაზღვრა ჩემი მომავალი ადგილი სამყაროში.
ამას გვიან მივხვდი, იქამდე კი ტკივილებს ვაგროვებდი,
როგორც ბოთლებს ბავშვობაში, მეგობრებთან ერთად.
ვაგროვებდი იმ დღემდე, სანამ მათ მნიშვნელობას გავიგებდი,
გავაანალიზებდი,
სახელს მოვუძებნიდი
და მათზე წერას დავიწყებდი.

იქამდე კი დიდი დრო უნდა გასულიყო,
ერთი ცხოვრება, რომელიც ბუნდოვნად მახსოვს,
და როცა ვცდილობ, შთაგონების ნესმკავი გამოვდო,
მოგონებები სხლტებიან, მემალებიან,
მინიშნებებს მიტოვებენ და ჩემი ფიქრის მონიტორზე
ოცდამეხუთე კადრად ამოხტებიან,
მე კი მინიშნებებს მივყვები
და ჩემდაუნებურად ვქმნი უხერხულ სიტუაციებს.

მე არ ვახდენ აღნიშნული სიტუაციის საკრალიზებას
და ფაქტების ჰიპერბოლიზებას,
უბრალოდ, საკუთარ ენაზე საუბარს ვსწავლობ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ის, რაც მაიძულებდა მეწერა, ყოველთვის ჩემთან იყო,
უბრალოდ, მაშინ მე არ ვიყავი იქ, სადაც საჭიროება მოითხოვდა,
და ამიტომაც არ ვიცოდი, რას ნიშნავდა პოეზია.
მე ახლაც მიჭირს მისი მნიშვნელობების მოხელთება,
მაგრამ ვიცი, რომ მჭირდება,
როგორც პატარა ერებს – მტრის ხატი,
როგორც ქრისტეს – ჯვარი,
როგორც სამხრეთ ამერიკულ სერიალებს – ჰეფი ენდი,
როგორც გაზაფხულს – თბილი საღამოები,
და ამიტომაც გადავწყვიტე,
რომ ყველაფერი, რაც იქნებოდა,
იქნებოდა მოულოდნელი და ზედმიწევნით დაუგეგმავი,
როგორც პოეზია.

მე კი იქამდე დაუნდობლად უნდა მომენგრია
თვითკმაყოფილების ზღუდეები,
და მომეხერხებინა ხიდის გადება ჩემსა და სამყაროს მოლიპულ კედელს შორის,
და მიმეღო კოლაფსები ყველაზე მკაცრი დრამატურგიით,
და ეს პროცესი ყოფილიყო განმეორებადი,
როგორც სექსი,
და აუცილებელი, როგორც რეკლამა.
რომ არასოდეს ვყოფილიყავი მაღალი,
რადგან არსებობს აქსიომა, რომელიც უკონტრარგუმენტოა:
„მდაბალნი დაწერენ კარგ ლექსებს,
ხოლო მაღალნი კი იუთუბსა და ყვითელ შოუებში გაილაღებენ."
ნეტარ არიან ისინი, ვამბობ და მსუბუქი ღიმილი
გადარბის ჩემს ტუჩებზე.

* * *

შიში კი იზრდებოდა
და შიმშილზე უფრო ვერაგი
და მოუხელთებელი ხდებოდა.
ეს აჩენდა ბზარებს ურთიერთობებში
და ამრავლებდა მეგობრებისგან მოქნეულ დანებს ჩვენს ზურგებში.

რა უნდა უთხრა მათ,
ვისი ჩაქნეული ხელის შრიალი
ცივი ზამთრის ღამის შავმა ხახამ შთანთქა?!
ისე, რომ ვერავინ გაიგონა
და ვერავინ შეაწია სიტყვა, რომელიც შედეგს გამოიღებდა
და გაზაფხულს მოიყვანდა მათ გულებში
და ხეებს კვირტებით დახუნძლავდა!

ვინ ჩასჭიდებს მათ დაქანცულ სხეულებს
და ცხოვრების ლაბირინთში ბრმად მიმავალს,
საშველის გორგალს ჩუმად ჯიბეში ჩაუდებს?!
ვინ აუხსნის მას,
რომ საშველი უბრალოდ არ არსებობს,
თუნდაც ათასობით ჯვარი გამოიცვალო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ათასობით ლურსმანმა დაუნდობლად დაფლითოს
შენი სხეულის თითოეული ნაწილი,
რომ ყველას ისე არ უმართლებს, როგორც იმ ერთს,
რომელსაც ხშირად უხმობენ და ეძახიან,
მაგრამ ამაოდ,
რომელმაც პირველსავე ცდაზე,
პირველსავე ჯერზე,
პირველსავე ჯვარზე
უქრობი დიდება მოიპოვა.

* * *

მე კი ვცდილობ შიშის გააზრებას
და ვწერ ამ შიშნარევ სტრიქონებს.

ასევე ვიაზრებ, ჩემი ლექსების ლირიკული გმირი,
ჩემ გარდა, უამრავი სხვაცაა,
ვისაც ეს გზა გავლილი აქვს, ან მომავალში გაივლის,
და ისიც ვიცი,
რომ სამყარო კანონზომიერია,
და საბოლოოდ, სანამ ძალა გამოგვეცლება,
ყველა კითხვას უპასუხებს,
მდინარესაც მტრის გვამებით გაავსებს,
და გაცრუებულ იმედსაც ხელახლა ჩასახავს,
როგორც ერთ-ერთმა მამამ ჩაიდინა წიგნ-ბესტსელერში,
რომლის უამრავი კინოვერსია არსებობს.
და მომავლის მოსვლასაც დააყენებს საშველს,
რომელსაც მთელი ერი ასე გულმოდგინეთ ელის.

ეს კი გამოიწვევს კოლექტიურ ბედნიერებას,
კოლექტიურ ორგაზმს,
შეზავებულს იმ ყელში ამოსულ იმედგაცრუებებთან,
რომელსაც ის  ახალგაზრდები გრძნობენ,
რომლებიც ბედნიერ ვარსკვლავზე ვერ დაიბადნენ,
რადგან სოციალურ კიბეზე მაღლა მდგომმა მშობლებმა
ეს ადგილები დიდი ხნის წინ დაჯავშნეს.
ახალგაზრდები, რომლებიც  ბრიყვი ძლ მენეჯერების წინ სხედან
და ათას იდიოტობას აშბობენ,
სამუშაოს დაწყების სურვილით შეპყრობილნი,
რადგან მათ დიდი ხანია გამოიარეს სასოწარკვეთილების ნესტიანი გვირაბი.
მათ კარგად ახსოვთ სიბნელე და დახუთული ჰაერი
და საკუთარი ოთახის საშიში საგნები,
რომლებიც დღითი დღე უფრო და უფრო მახინჯები ხდებიან.
ახლა კი უკან დასახევი გზა არ აქვთ,
და აწმყოს გლუვ კედლებს ეპოტინებიან,
რათა აძვრნენ მასზე და როგორმე მომავალი დაინახონ.
მათი მომავალი კი  არ არის ისეთივე ნათელი,
როგორც განათება დიდ სავაჭრო ცენტრებში.
ჰო, ეს არ არის გამოსავალი, მეგობრებო.
ეს უბრალოდ ტაიმ-აუტის დროს დაწერილი მორიგი საგალობელია
მათზე, ვინც არასოდეს ყოფილა გადარჩენილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

და ეს პოემაც შიშზეა,
შიშზე, რომელიც იწერება
და შიშზე, რომელიც ჯერჯერობით ვერ მოვიხელთე.
შიშია მისი ქვაკუთხედი
და მისი ენობრივი საძირკველიც შიშიდან მოდის.

მეშინია სიკვდილის,
მეშინია უკვდავების,
მეშინია ზებრა გადასასვლელების,
მეშინია შიმშილის,
მეშინია ვერრეალიზებული საკუთარი თავის –
ამის ძალიან მეშინია.
მეშინია, რომ ერთ დღესაც მარტო აღარ ვიქნები,
მეშინია, რომ ლექსის წერის სურვილი აღარ მექნება
(თუმცა ამ ბოლო დროს ნაკლებად),
მეშინია მეინსტრიმობის
მეშინია, უზომოდ მეშინია,
რომ ერთ დღესაც ჩემი ლექსები სასკოლო პროგრამაში შევა
და ქართველი თინეიჯერები შემიძულებენ,
და ქართველი ფილოლოგები შემიყვარებენ,
და აღმატებითი ფორმებით მომიხსენიებენ.
და თაროებს ჩემი წიგნებით გაიტენიან.
ამიტომ,
და კიდევ ბევრი მიზეზის გამო,
ვწერ ამ პოემას,
ვწერ და  ვფიქრობ საკუთარ ადგილზე სამყაროში,
რომელიც შიშმა განსაზღვრა.

## ციკლიდან ურბანული ჰაიკუები და ტანკები

* * *

ჩვენ შეგვიძლია
ვიცხოვროთ საბჭოთა კორპუსებში,
სადაც მეზობლები ჯერ კიდევ საბჭოთა სიზმრებს ხედავენ.
ჩვენ კი ვწერთ ლექსებს
გაზაფხულზე.

* * *

ნე ოდესღაც ჰანს პრომველი ვიყავი
და ვწერდი ლექსებს მანჰეტენის
მრავალსართულია ცათამბჯენიდან.
კარგია,
არასოდეს მეშინოდა სიმაღლის.

* * *

არსებობენ ადამიანები, რომლებიც
არ წავლენ რისკზე,

ელექტრონული ბიბლიოთეკა

და არასოდეს შეხედავენ თავს
ჩასაფრებულის პოზიციიდან.
ისინი დიდხანს და მოსაწყენად იცხოვრებენ.

* * *

ერთხელ, როდესაც ძალიან მოვიწყინე,
ჰანს პრომველი გავხდი.
გამიტკბა.
სამი წელი ტყუილში ვაცხოვრებდი მკითხველს.
ახლა მესმის ჩვენი მთავრობის.

* * *

როცა ჩემი აივნიდან ვარსკვლავებს ვუყურებ,
მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ რეალითი შოუში
მგონია თავი,
თითქოს ასიათასობით თვალი
ლექსის პირდაპირ ეთერში დაბადებას ელოდება.

* * *

იყო ბედნიერი,
ეს უკვე პოლიტიკოსის განაცხადია,
დაუჯერებელი, მაგრამ ყველასთვის სასურველი.

* * *

იმას, ვინც სიმართლეს
თვალს ვერ უსწორებდა.
ახლა
არავინ უსწორებს თვალს,
სულ არავინ.

* * *

დილაა.
სიზმარს ვწყვეტ.
სიზმრის ნარჩენებს ბალიშიდან
ფრთხილად ვილებ
და შემდეგი ძილისთვის ვინახავ.

* * *

მონატრება ნიშნავს
უამრავ კოცნას,
რომლებიც ტუჩებმა ვერ შეიგრძნეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ირინა ტაბაღუა

## აბასთუმანი

ქილასავით გამჭვირვალეა ჩემი ტანი.
რძესავით მარყევს ცხოვრება.
ხანგრძლივი თქვეფის შედეგად ორ ნაწილად ვიყოფი.
ისე ადვილად შეუძლია მაქციოს კარაქად,
პურთან და თაფლთან სარეცელსაც გავიზიარებ.
პიტნის ნაყენის ბოლს უცქერს კაცი.
ისე ხარბად ილუკმება,
ლამისაა მთელი აბასთუმანი ჩაყლაპოს.
ადრეა ახალი წელი.
მისი უხეში ულვაშის ღერზე
ნაძვის ხის სათამაშოსავით დავეკიდე.
თითქოს ვილვრები ნიკოტინიან კარიესში.
ჭლექის სოჭებია ირგვლივ.
სდუმან ყვავები.
ახლა თუ სნეულ ფილტვს ვეამები,
არ ამომანთხევს მწვანე რუ,
დუმფარიდან გატაცებულ პეპელასაც მოვწყვეტ
გომბეშოს ენის ჰორიზონტიდან.

## ირინეს ბაღი

დღესაც ოთხმოცდაათიანი წლებით გავილვიძე.
ყოველდღე ვეძებ ისეთ ტელეფონს,
თითს რომ ჩათხრიდი მრგვალი ფორმის ათივე თვალში,
ნაბახუსევის ხმასავით რომ დაიხრიალებდა.
დილიდან რაიკომში ვრეკავ.
ჭრელჰალსტუხიან კაცებს ვეძებ.
სასწრაფოდ დააბრუნონ ბაღში წითელი მინა!
აკეცეთ ეს სასაფლაო,
სადაც ათასობით თანატოლის ნესტოები ჩამიტენეთ.
კაბელს გამოჟონილი წიკვინი მესმის, ყურმილი დავკიდო,
ვინმე ტუჩის კუთხეებთან ყავამოთხვრილი ქალისა.
რად გამიქციეთ მებრძოლი სულის ბრინჯაოს კაცი?
რა ტკბილად ფშვინავდა ფიჭვებში.
სადაა ბეტონის საყვავილეები?!
პაწია თითებით სანაპიროდან დაკრეფილ დიყს რომ ვუხორცებდი.
ახლა თუ აქ ალბერტ ჟანი ჩაივლის ირინესთან ერთად,
ხალიჩასავით ახვეული ქვაფენილი ქარს მივცე თუ ქადასავით ჩაგაყლაპოთ?
კაფეც კი მომირღვიეთ,
სადაც პირველი პაემანი შევიტანე,
ჩემს ჩანთაზე მიხატულ ბაჭიებთან ერთად რომ ვიმორცხვებდი.
გაქურდულია ბაღი.
მალხაზ მაჭავარიანის წყლიან თვალებს თუ ვიპოვი ხანდახან,
უხმოდ რომ გესალმება მდიდარი ღიმილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბავშვობის შიშები

ბავშვობის შიშებზე,
იმ გახურებულ მახათზე მოგიყვებით,
თოთო ბიბილოში რომ გამირჭო
ზედა სართულის მდგმურმა;
კაფანდარა ცოცხის ჩხირზე,
საყურის როლს რომ კარგად ირგებდა;
ჩქარ საქანელაზე –
დედის კალთიდან წყდებოდი თითქოს;
შავ სალოგინეზე,
რომელიც კუბოს ჰგავდა
და შიგ მკვდრები ცხოვრობდნენ;
მიცვალებულის ლილისფერ სახეზე,
ყბა ჩემს თვალწინ,
ჯერ კიდევ თბილს რომ აუკრეს;
მათემატიკის პედაგოგზე,
მის მწარე ალუმინისფერ სახაზავზე;
პედოფილზე, სკოლის კუთხეში
ასოს რომ არხევდა,
სტვენით გვიხმობდა პატარა გოგოებს,
ჩვენ კი კისრისმტვრევით
შინ გავრბოდით;
სოფლის სახლის ძველ ბუფეტზე,
ჩარჩოში გამომწყვდეულ
დიდი ბაბუის მზერაზე,
ხან რომ მილიმოდა, ხანაც მიბღვერდა;
სტომატოლოგის სკამზე,
მახინჯ ექთანზე,
ხელ-ფეხს რომ მიბამდა;
ნოემბრის თვეზე,
ჭინკა რომ გვსტუმრობდა.
თუ ხილს სარკმელთან არ დავუტოვებდი,
იმ ღამით თვალებსაც ამომთხრიდა;
სხვენზე მოხტუნავე თრიაზე –
თითქოს უსაკურთხო სული დახეტიალობდა;
საკუთარ ჩრდილზე,
რომელიც დასახრჩობად დამყვებოდა;
ჭაში ჩავარდნილ ჩემივე სახეზე,
სათლის რახუნით
რომ ვლამობდი გადარჩენას;
ძაღლის ყმუილზე,
წამიერად ვსამდებოდი
და მივყავდი ორ მკვდარ მეზობელს;
დედის ეჭვიანობაზე მამის მიმართ,
ჩუმ ჩურჩულზე, არპატიებაზე;
შიშები მარტოობაზე;
ქალწულობის შენარჩუნებაზე, ქორწინებამდე;
ვწერ და ვილიმი.
ვწერ და ვბერდები.
ვწერ და სულ სხვანაირად მეშინია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ მხოლოდ შვილის დასაპურებელი კუჭისათვის დაბრუნდე.
ხანდახან მიწაც უნდა აჭამო.
გახრწნილ გულზეც იფიქრო.
იქნებ ხელოვნური სუნთქვებით  გააძლებინონ ცინცხალმა ბაგეებმა.
რამდენი ომი ვათრიე მშვიდობამდე.
საჩვენებელი თითიც მომაჭრა ბრძანებამ.
სიუხეშით რომ იქსოვებოდა ბალავარი.
არაა საჭირო დროის გადაადგილება,
ასე უნდა მომხდარიყო.

## უცხო ვარ

უცხო ვარ.
მხოლოდ დაკვირვებულ კაცს შეუძლია
მიპოვოს ძუძუს ქვეშ მიმალული
ჟოლოსფერი ჰემანგიომა.
დედაჩემის ნათითურს ჰგავს ლაქა.
ხანდახან გაფატრული მწყერის სუნი ასდის...
ვიცი, რა წყურვილი კლავს თქვენს მდინარეებს.
დგახართ და უსმენთ სანოლის რყევას.
რა დაამავა იმ იატაკის ჯოხმა,
განთიადისას რომ აჩაჩქუნებინა თავი
კლიმაქსიანმა მეზობელმა?!
ტანს ვფენ გახურებულ აივანზე.
სარჭით ვიჭერ მოხუცი კაცის მზერას,
თავის ქანქარით რომ მანიშნებს
რყევის ამბებზე.
ვხედავ, თუ როგორ ჩადიან დედამინისკენ
მანვნის ქილები.
ვხედავ, რა ყოჩაღად ჩაუვლია
წუხანდელ ღამეს.

## მწვანე ლობიო

თქვენ ვერც კი შეამჩნიეთ,
როგორ შეაპარა მზერა
სამთითა ნაწნავის ფსკვნილზე,
კერტის მექანიზმი რომ აქანავებდა ვაზის ობობასთან ერთად.
გგონიათ გამოვიწვიე?
მხოლოდ ვარცლი მოვგუდე ჯანმრთელ მუხლებში.
ტანი ვუმტვრიე მწვანე ლობიოს.
ქინძმაც კი დაათრო ჩემი პეშვიდან.
ახლა იმ ბოსტანში შევაცურებ,
სადაც ომბალო ორსულდება
ხაოიანი სტაფილოსაგან.
ვიცი, შეკრთება,
შმაგივით ჩაღეჭავს დაცხრილულ რეჰანს.
სხივი თუ შემინუხებს,
გპირდებით,
ჩრდილსაც დავულევრი კალთის სიღრმიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კაკასხიდი

ნაბლის ყვავილი ჰყვაოდა მაშინ,
კაკასხიდთან რომ ვცოფავდი ზეკარს.
ვეძებდი საკეებს,
ქათანაცარა ეკვროდა დანდურს.
აღელვებულმა დავსუსხე ჭინჭრით
თიკნისყურა, კლდეს რომ მოეფარა.
დიდედის ნახსოვარ კოფთაში ვიდექ,
შიგ სთვლემდნენ ხსენის ფუფხები მორცხვად.
წინ ჩამიარა ქალმა და ვჯობდი.
მე ვგავდი ბალბას, ის კი ჯიჯილაყს.
მისი მდევარი კაცი ვლადიკა
თვალებით ჩაძვრა რძის სადინარში.
მიცნო და შეცბა.
ყვიროდა იგი, – დარჩი, ლილია!
მე, ზღვის დონიდან მაღალი ყელით,
მწიფობის თვემდე ველოდი დონდლლაბს.
ქმარი, რომელსაც ნყურვილი კლავდა არა ჩემი, არამედ ნყლისა,
შუა ყანიდან მიქნევდა ხელებს.
ვიხსნიდი ღილებს თითის სისწრაფით,
მაგრამ პოეტი ვერ მოვაბრუნე.

## რაღაც მაინც მოგინდება

რაღაც მაინც მოგინდება.
მოიძიო კამკამა წყარო,
აიღო საკუთარი ტანი, იატაკის ჩვარივით მონურო. ამოაბრუნო გული,
თვალღიამ იტივტივო მკვდარი ციმორივით.
იმ დროს ვიხსენებ, ნამგლისებრი ჭრილიდან
მწვანე ხანძარი რომ აფრთხობდა მყრალ უჯანგარს.
მწიფე ზღმარტლი მოვგუდე ტუჩებში.
კურკა ისე გამოვწოვე, სანამ ნერვზე ფესვი არ გაიდგა.
ღრძილებიდან ამოკენკილი ნაყოფით გაზარდა შურთხმა ლაპები.

რაღაც მაინც მოგინდება.
გამოიხედო ქალწულის თვალებიდან,
პირველი ციკლის დროს დაფეთებული რომ უცქერდი სამყაროს.
გადაახტე დაღლას, როგორც გუბიდან გუბეს.
გამოტოვო ყოველი ტკივილი.

შვილები პირიდან იმშობიარო.
ცომმიმხმარ ვარცლში გაბანო.
შენივე ჭირისუფლად შერაცხო ჭიპლარი.
ასწავლო ნაშიერს, ისე არ განიცადონ მამის არდაბრუნება ომიდან,
როგორც დედის მომავალი.
რაღაც მაინც მოგინდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბიოდენები

კაკალს რომ სრესვისაგან ცხიმი გინდა გამოადინო,
ისე ვსრეს ყოველღამე ბალიშის კუთხეებს.
ნაჭრიდან გამოსული იმ ფერადი ქათმების ბუმბული
მიკანრავს ლაწვს, სადღესასწაულოდ რომ ამოხოცა
ვინმე უმზითვო ქალმა. მაღლდება ემოცია, ველარ
ვარკვევ, ვიკაკანო თუ ვიკვნესო.
დედამთილის თვალებივით უკმაყოფილო დილა
ილვიძებს ფარდის საზურგედან. აქანდაზს სანამ
ხელს სტაცებ, ჯერ ცოცხზე უნდა იფიქრო,
დარდისაგან მიმოფენილი ღამის ნამსხვრევები
გამოგავო ან ცოცხზევე შემომჯდარი გაფრინდე
მოუსავლეთში.
ახლა ყველაზე კდემამოსილი მზესავით უნდა
დათბე. არ უნდა შეგნიშნონ მხურვალება, მხოლოდ
მწვანე, ხანძარწაკიდებულ ჭინჭრებს უნდა ესმოდეთ
შენივე ბიოდენების. ფქვილში ამოსვრილი თითებით
მიჭმუჭნულ კაბის გადანაკეცზე მიხატული უბედობა
იქანავებს დალამებამდე, გაშიშვლებამდე.
ლობიო რომ ხარშეას გაათავებს, ზედ მომდგარი
აანცებული ლაბი ხელისგულიდან ისე უნდა
ამოხვრიპო, მთელი ბოსტნის სიმხურვალე გადაეშვას
ხორხის უფსკრულში. მაგიდაზე შემომსხდარი
თეფშები ღრუბლებივით უნდა ქათქათებდნენ
დასვრის მოლოდინში.
არაფერი არ წაგლეკავს ისე მარტივად, როგორც
ერთი თავის დახრა და შენივე ყელს იმ სასაკლაოზე
გაყოფ, სადაც წამება მრავალფეროვანია.
როდემდე უნდა მათრიოს ცხოვრებამ შესაწირი
ბატკანივით, ნანატრი მამრი თუ იმ ცას არ
გამილებს, სადაც ორ ტანზე მეტი არ იკეტება,
რა უნდა მოვიმოქმედო? დავუშვა ხელები და ისე
ვცადო ფრენა?
კაკალს რომ სრესვისაგან ცხიმი გინდა გამოადინო,
ისე ვსრეს ყოველღამე ბალიშის კუთხეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ელიზბარ ელიზბარაშვილი

### შემოდგომა

მთათა მუხლები აკავებენ სიცოცხლის ტაფობს.
მინიდან მომსკდარი ვნება სიზმარს შეერია.
იგი ყურძნის მტევნიდან იფეთქებს შუაღამისას.
იგი შენთვის ხარობს.

შენივთულია შენი ნაკვთები და მზე ერთმანეთს.
იგი შენთვის ხარობს,
როდესაც არც უწყი ამაზე დანამდვილებით.

შემოდგომაა და ცხელი ღვინო ჩაედინება ჩვენს ძარღვებში,
როგორც დაჭრილი ლორის სისხლი რწყავს ბალახის გულისპირს,
როგორც რჩება დრო შენზე სალაპარაკოდ.

აქ არის ხე, რომლის ფესვებიც მიწაშია,
იგი თავდება შენს ფეხებთან,
იგი გარბის დროში, როგორც მტევანი,
სიმწიფეს გადამცდარი
გადასცემს ქვას სითბოს.
იგი დუმს.

შემოდგომაა, შემოდგომაა
და შენი დაბინდული თვალებიდან იფეთქებს შუაღამის სითბო.
მას სხვა გზა არ სურს.

### თხოვნა

გთხოვ, დამელოდე.
შენი მზერა სუროს ფოთლებიდან კედელზე ასული დუმილია,
ღვთის სადიდებლად რომ მიითვლის ჩვენი ბავშვობის უანგარო ხსოვნას წარსულში,
– როგორც სისხლის სარქველი სკდება გულის აფეთქებისას,
ასევე ფეთქდებიან ჩემი სურვილები შენს მოლოდინში.

გთხოვ, დამელოდე,
შენი მზერა სიღრმეში მომლოდინე ნაკადულის სურვილია,
როგორც დალამებულ ტყეში,
სიჩუმეში გარინდული არსება,
როგორც ბალახებში გაყინული ნამი,
გამთენიის სუნთქვას რომ ელის მიწაზე შერჩენილი
– წვიმის წვეთები ავსებენ ჰაერის სარეცელს.

გთხოვ, დამელოდე,
როგორც ვერცხლისფერ ცეცხლზე შეყოვნებული ცხელი გრიგალი,
როგორც ჩვენს შორის მოგუგუნე უხილავი ზვავი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობას რომ დააყრუებს,
როგორც ქვაზე ამოსული მოცინარი ჰიაცინტი.
შენი მზერა – ჯოჯოხეთის სამოთხეა.

გთხოვ, დამელოდე,
როგორც მზის გარშემო ანთებული სიბნელე
ელოდება დალამებას.

## ოქროს გემი

ჩემი გულის თავწყაროში ჩაძირულ ოცნების გემს
ამყნობ შენს სიყვარულს.

გაზაფხულია, როცა ჩვენს ხელებზე თოვლი დევს
და შენს ნაწნავებთან ვანთებთ ალისფერ აისს.

ყინვით გათოშილნი ვუერთდებით
უსასრულოსა და უწყვეტს და დაუსაბამოს შენს ხმაში
და შენს ხმაში ოქრო ხმიანობს.

გაზაფხულია,
როცა ზამთარი ხმამაღლა განჭოლავს ჩვენს სხეულებს
და როგორც თოვს,
ისე მიემართება ჩვენი სიტყვები თეთრი გულისაკენ.
როცა ცივა გარშემო როგორც არასდროს
და ჩემი გულის თავწყაროში დარჩენილ ოქროს გემს
შენი სუნთქვა მიიტაცებს.

გაზაფხულია, გაზაფხულია,
თოვს და ზამთარია.

## სიჩუმის ხმა

ბნელი ღამის მკერდზე ჩამოშლილ ვარდს
ჰკოცნის ყინული შენი სიჩუმისა.

აამეტყველებ კარდაკარ ყველა იმ გზას,
სადაც მე გელი,
დაორთქლილ მინებზე თითების წარწერით – „მელაპარაკე".

და არ არსებობს სურვილი, ფიქრი ან ხმა,
რომელიც განელტვის შენი ოცნების სარკეში ჩამდგარ უძირო ტკივილს.
– წარსულის არგამცოცხლებელს.
– სიტყვების არდამბრუნებელს.
– შენი მაჯების გარშემო შეუმჩნევლად გარინდულს.

და როგორც ზვიგენი, შევცურავ ვარსკვლავებით მოჭედილ ზღვაში
შენი ქორწინების საპირისპიროდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მებადურთა მთვარე

საიდუმლო მოძრაობით მებადურთა მზეს აჩენ
ჩვენი სიზმრებისაკენ.
ენაზე სიტყვების დამფარავს გიფარავს სიყვარული.

საიდუმლო მოძრაობით ისნი გზას შენი თვალებისაკენ,
საიდანაც აღარაფერი ბრუნდება.

ეს შენი ხელია, რომელზეც მიცურავს თევზი,
ენის დამკარგავი,
სურვილების გამქრობი,
სიმღერის ვერშემძლე.

ეს შენი ხელია, რომელსაც გადასცდა ცრემლი,
შენი ყელის სიღრმეებიდან წამოსულ სევდას რომ გაენასკვა.
იგი აანთებს ქარს შენს ნაწნავებთან,
ოქროსფერ კაბის ბალთებს გხსნის
და მებადურთა ჭაობით მოსულ მთვარეზე მე მაწვენს შენთან.

ეს შენი ხელია,
საიდუმლო მოძრაობით რომ ჭრის გზას ჩვენი ბავშვობისაკენ
და აკვანში დაბრუნებულ ზღვარს აყოლებს სურვილს.

## * * *-ას

ო,.. შენი სახე,
დამალული ხელები,
და გახსნილი გული
როგორ შეერწყა აღმოსავლეთის მირაჟს.

ო,.. შენი ფიქრები, ნამქერივით დაფენილი
ჩემს მდუმარე ცხოვრებაზე.

ვდგები სისხამ დილით
და ტანთ ვიცვამ შენთან საუბარს.
– შენი ენის სურნელი დამატყვევებს!

იავნანას მიმღერის თბილისის ცივი ცა
და ჩუმად შემომაგებებს ჩემს სიგიჟეს!

ო,.. შენი გზები,
აღმოსავლეთიდან დაძრული,
დედამიწის თავზე
ყოველ სულდგმულს რომ ასიცოცხლებს:
ლურჯი ლანდები დაჰყვებიან უძირო ღამის მკრთალ ნათებას – შენს ნათებას.
იგი გამოსტყორცნის, კვლავ და კვლავ, ჩემი მიმართულებით – შენს ხმას.

ო,.. იანვრის ნათება,
ჩემს ძარღვებში მშვიდად გადასული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## პროზა

# კოლო

*მინდია არაბული*

იოვანე მოქანცული მონასტრის გალავნიდან ღამის უკუნს უცქერებდა. ღამის უკუნიც უბრუნებდა იოვანეს მზერას იმისი იმედით, რომ პირქუში ბერი პირველი დაახამხამებდა, მაგრამ იოვანეს ბოლო ორმოცი წელია, რაც თვალები ერთ უცვლელ მდგომარეობაში ჰქონდა – ნახევრად გახელილი.

სხვა ბერებს თავ-თავის კელიებში ეძინათ და ერთმანეთთან შეუთანხმებლად ხვნარად, ერთი სიმშვიდით სუნთქავდნენ. მხოლოდ განაპირა სენაკიდან მოდიოდა ხშირ-ხშირი, შფოთიანი სუნთქვა. მორჩილი თეოფანე ჩვიდმეტი წლისა იყო და სიზმრებში მაცდურები მარტივად უძვრებოდნენ, ხოლო კვირადღეს, როცა ეშმაკები ღმერთს ჯოჯოხეთში ჰყავს გამოკეტილი, თეოფანეს სარკმელში მთვარე აღწევდა და ახლა ის უხშირებდა გულისცემას. თუმცა ამ დღეს ცაზე არამხოლოდ მთვარე, არამედ ერთი გაქცეული ვარსკვლავიც კი არ გამოჩენილა. გალავანზე აღმართულ დროშას ღამის ნიავი არხევდა, მერე კი იოვანე მოქანცულის მოსასხამს ეხებოდა მსუბუქად, რაც იმისი ერთადერთი მანიშნებელი იყო, რომ ბერი გალავნის ნაწილად ჯერ კიდევ არ ქცეულა. ნიავი ნელ-ნელა ძლიერდებოდა, დროშა ფრიალებდა და თეოფანეც უფრო შფოთავდა ძილში. ხოლო როცა უცებ მოვარდნილმა ქარმა დროშა მოწყვიტა და გაიტაცა, ხოლო უხამსი სიზმრისგან შეცბუნებულმა თეოფანემ ცივ ოფლში გაიღვიძა, ღამემ საბოლოოდ გადაწყვიტა იოვანესთან დამარცხების აღიარება და უკუნის სიშორეში სინათლის წერტილი გამოაჩინა. იოვანემ ცოტა ხანი უყურა სინათლეს, ხოლო როცა დარწმუნდა რომ თვალები არ ატყუებდნენ, შებრუნდა მონასტრის სიღრმეში.

ბრუნდებოდა ძმა ბასილი.

ბრუნდებოდა ძმა ბასილი და მკერდზე რამდენიმე თოკით შეკრული, რამდენიმე ნაჭერში გახვეული ფუთა ეკიდა. ფუთაში ვერცხლის პატარა ზარდახშა ჰქონდა, ხოლო ამ ზარდახშაში იყო ის, რისთვისაც ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ, შუა იანვარში იოვანე დაქანცულმა კონსტანტინოპოლს მიავლინა.

ქრისტესშობიდან 33 წელს, ხოლო სიკვდილიდან სულ რამდენიმე საათში იოსებ არიმათიელმა და ნიკოდიმოსმა (რომელსაც სხვა მოციქულები გვარით არ მოიხსენიებდნენ) ქრისტეს სხეული ჯვრიდან ჩამოხსნეს, გაახვიეს სუდარაში და წაასვენეს აკლდამაში. დაკრძალვის წინ იოსებ არიმათიელმა ქრისტეს სისხლი ააგროვა ფიალაში, რომელსაც მოგვიანებით წმინდა გრაალის სახელი მიეცა, და რომელსაც მთელი საქრისტიანო თავდადებით ეძებდა.

მაგრამ მამა ბასილის თავის ფუთაში გრაალი არ მოჰქონდა. ჯერ ერთი, გრაალზე ზედმეტად ბევრი მეფე, რაინდი, ბერი და ორდენი ნადირობდა. უმნიკვლო სულის კაცნიც უმსგავსო საქმეებამდე დასულან, სიწმინდე რომ ხელში ჩაეგდოთ. ის მეორე, გრაალის ძებნას საუკუნეები დასჭირდებოდა, საიდუმლო საძმოების შექმნა, ეზოთერიკისა და ცაზე ვარსკვლავთა გადაადგილების მეცნიერებათა დასწავლა. ვარსკვლავები კი არ იყო სანდო საქმე, თუნდაც ასეთი კუნაპეტი ღამეების წყალობითაც. და მესამე – ბევრმა არ იცოდა, რომ როცა იოსებ არიმათიელი აკლდამას შიგნიდან აწყობდა, უფალს ჩვენსას მკლავზე დედალი კოლო დააჯდა და სათანადო დატირების შემდეგ გაციებულ კანში ნესტარი ჩაასო. ნიკოდიმოსმა კოლო დაინახა და უმალვე აწია ხელი მწერის მოსაგერიებლად, მაგრამ გასრესვა ველარ გაბედა რამეთუ კოლო უკვე მაცხოვრის სისხლით იყო სავსე. ნიკოდიმოსმა (რომელსაც ჯიბეში მუდამ ეყარა თხილი მაგრამ მოციქულები არც ამას წერენ) კოლოს თხილის ნაჭუჭის ნახევარი დააფარა, ფრთხილად მოხსნა ქრისტეს მკლავიდან და მერე მეორე ნაჭუჭიც მიაკრო. მაცხოვრის დაღუპვისდა გამო უიმედობისა და სიმწრისგან დამძიმებულმა იოსებ არიმათიელმა აღარ ჰკითხა ნიკოდიმოსს, რა მიზეზით ახტა იგი მოულოდნელად, როცა იოსები აკლდამიდან გამოვიდა, ან თუნდაც ზურგს უკან რას მალავდა. თუმცა, რომც ეკითხა, საფიქრალია, რომ ნიკოდიმოსი სხვა პასუხს მოიფიქრებდა.

ასეა თუ ისე, იმ საღამოს, დაახლოებით ექვსის ნახევარზე სამყაროში გაჩნდა ქრისტიანული სამყაროს კიდევ ერთი რელიკვია, რომელსაც განსაკუთრებით ჩახედული თეოლოგები მცირე გრაალის სახელით იცნობენ.

თხილის ნაჭუჭი ნიკოდიმოსმა ძაფით შეკრა და გულსაკიდში შეინახა. ორიოდე თვის მერე, მოციქულმა გაბედა და გახსნა ნაჭუჭები. ძალიან აღარც გაკვირვებია, როცა კოლო ცოცხალი აღმოჩნდა. ბოლო-ბოლო მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალებით დაინახავ, როგორ ამაღლდა ცაში ის, რომელიც ორმოციოდე დღის წინ მკვდრეთითაც აღდგა, ერთი უკვდავი კოლო მაგდენად შთამბეჭდავი ვეღარ იქნება. და სწორედ ეს დღეა უკანასკნელი წერტილი, როცა აპოკრიფული ტექსტები მცირე გრაალის ადგილსამყოფელს ასახელებენ. აქედან ნაჭუჭისა და კოლოს ისტორია უკვალოდ იკარგება. მართალია, კი ტივტივდება ხოლმე რომელიმე ხალხების სიმღერებში და შაირებში, მაგრამ შაირები უტიფარ გულთა გასახარებელი ხულიგნობაა და მათზე დაყრდნობა, მითუმეტეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც უფლის სისხლის პოვნაა, რომელიმე ბინიერ ფუნდუკში შეგვაგორებს, სადაც ხორხოცით დაგვცინებენ კიდეც ასეთი გულუბრყვილობისთვის. ამიტომაა, რომ დიდი ხანი იყო, რაც აღარავინ ეძებდა მცირე გრაალს და ნელ-ნელა უფლის სისხლზე მონადირეთა ნუსხიერებიდანაც ამოიშალა.

მამა ბასილი უკვე ჭიშკარს იყო მომდგარი. ცოტა ხანი ცხენიდან არ ჩამოდიოდა, მავ გალავანს ათვალიერებდა. მერე კი ხელი ფრთხილად მიიტანა მკერდთან და ფუთას დაადო. ზარდახშიდან რამდენიმე ავმა ზრახვამ გამოაღწია, ფუთა გამოარღვია და მამა ბასილის მკერდში შეძვრა. "ყველას სძინავს" – გაიფიქრა მამა ბასილიმ. "გზა რომ გავაგრძელო ჩემი, ეგონებათ რომ ბერძნებმა დამიჭირეს და ცოლი შემრთეს, ან გამატყავეს. დამივიწყებენ მალე და ვერც... მაგრამ ამ დროს, მამა ბასილის სულში ძრომიალისას, ავი ზრახვები 50-ე ფსალმუნს გადაანყდნენ. წმინდა სინათლით იფეთქა ბერის სულში წლობით ნაწრთობმა ფსალმუნმა და ავი ზრახვები ადგილზე გადაბუგა. ჩამოხტა ცხენიდან მამა ბასილი, მიუახლოვდა მონასტრის ჭიშკარს და როგორც კი მესამედ დააკაკუნა, ზუსტად იმ ნამს შესრულდა მეორმოცე წელი დღიდან, როცა იოვანე მოქანცულმა მცირე გრაალის შესახებ შეიტყო.

იმ დროს იოვანე უდაბნოში მარხულობდა, მზისგან დაბუგულ ქვებზე ლესავდა თავისი სულის სიმტკიცეს, გამოქვაბულებში ეძინა, საათობით იჯდა კლდეების ჩრდილში, ქვიშაში გველხოკერების სრიალში ღმერთის სიტყვების გრამატიკას ეძებდა.

ქვების ძირში დაბუდებული უწმინდური სულები ღამით ზედაპირზე გამოდიოდნენ და აფთრის ხმებით იწყებდნე ყეფას. გარიჟრაჟზე კი, როცა მზე ამოსვლას იწყებდა, ისეთი ადგილებიდან იწყებდნენ მანჭვასა და როკვას, რომ პირდაპირ იოვანეს წინ ბილწ ჩრდილებს ეცეკვათ. მაგრამ იოვანეს სული დილის ცასავით აუღელვებული იყო. ერთხელაც კი, როცა ექვსკიდურა მაცდურებმა ყველა ხელი ჩაიქნიეს ბერის შეცბუნებაზე, იოვანემ ხორციელი შეამჩნია შორს. დიდხანს ახლოვდებოდა ადამიანი, იმდენად დიდხანს რომ ბერი დარწმუნდა – ეშმაკი ვერ იქნებოდა. ეშმაკებს მაგდენი მოთმინება არ ჰქონდათ. მგზავრი ჩრდილში შემოვიდა და იოვანეს წინ დადგა.

– კაპადოკიაში ვიყავი, ხე ვნახე გამხმარი. – თქვა მგზავრმა მისალმების მაგიერ. – ბაღი იყო ირგვლივ ქლიავის. ყვაოდა ყველაფერი. ეს ხე კი იდგა ამ სიმწვანეში და ასი წლის ბერიკაცის ძვლებივით თრთოდა.

იოვანემ ამოხედა მგზავრს. უცნაური ტანისამოსი ეცვა. ტყავის ქამრებით ჰქონდა მკერდი გადაჭიმული. დაშნა ეკიდა მხარზე.

– ალექსანდრიიდან მოვდივარ – გააგრძელა მგზავრმა. კოშკურა მაქვს იქ. ვარსკვლავებს ვაკვირდები. კაბადონის გეომეტრიას ვხაზავ ქვიშაში. სამყაროს ვითვლი.

უნდა ეპასუხა იოვანეს მაგრამ მრავალთვიანი უტყვობის შემდეგ ყელმა ხმა ვეღარ ამოუშვა.

– რამ მოგიყვანა აქ – ჰკითხა იოვანემ, მას შემდეგ რაც მგზავრის გამოწოდებული მათარიდან მოსვა.

– კაპადოკიაში ქლიავის ხე ვნახე, გამხმარი. არ უნდა ყოფილიყო გამხმარი. ხომ გეუბნები, სამყაროს ვითვლი მეთქი. თუ რამე ხდება აქ, ჩვენს სამყაროში, მიზეზი უდევს უკან. ყოველთვის ასეა. ეს ხე კი არცერთი წესით არ უნდა ყოფილიყო გამხმარი. გამოთვლა დავიწყე, რატომ გახმა. აღმოჩნდა, რომ ფესვები თხუნელამ დაუკვნიტა. არ იქცევიან თხუნელები ეგრე. დავიწყე თხუნელას გათხრილი გვირაბების დათვლა. აღმოჩნდა, რომ სხვა გვირაბებს უერთდებოდა. არც ეგრე უნდა ხდებოდეს. მერე წყალი გავუშვი იმ გვირაბებში. ქალაქის ახლოს კლდიდან დაიწყო გადმოჟონვა. ხვდები, რას ვამბობ?

იოვანემ თავი გააქნია.

– რას ვამბობ და, ერთხელ ერთ დღეს რაღაცა მოხდა. არასწორად მოხდა, არ უნდა მომხდარიყო ეგრე. უკან-უკან რომ მიყვები იმ ხის კვალს, იმასა ჰგავს, ნიადაგის ქვეშ ჩადებულ თოკს რომ ამოქაჩავ ნელ-ნელა. აქამდე ყველა უჩვეულო გაფუჭების პირველმიზეზები დათვლილი გვქონდა. აი, მეფის შვილი რატომ მოკვდა – იმიტომ რომ ათას სამასი წლის წინ ჭა გაქრეს წმინდა ადგილას. ტაძარი რატომ ჩამოინგრა? – იმიტომ რომ ორი საუკუნის წინ ერთმა მღვდელთმთავარმა მწყემსი ბიჭი შეაცდინა. მდინარე რატომ აზვავდა – იმიტომ რომ დიდი წვიმა მოვიდა გუშინწინ. მაგრამ ამ გამხმარი ხის ამბავი რომ დავითვალე, სულ სხვა რამე ვიპოვე.

– რა იპოვე? – ჰკითხა იოვანემ.

– სისხლი ვიპოვე. შენი ღმერთის სისხლი. – უპასუხა მგზავრმა და იმწამს ყველა მხრიდან აფთრების ხარხარის ხმა გაისმა.

* * *

„წრეზე დადის ყველა" – უყვებოდა მგზავრი იოვანეს. ეს ჩემმა მასწავლებელმა დაითვალა და მითხრა. ყველაფერი და ყველა წრეზე დადის. ადამიანები, საგნები, მნათობებიც. იმას მეუბნებოდა ჩემი მასწავლებელი, ღმერთიც კი წრეზე დადის, ოღონდ ეგ იმიტორო ბოლთას სცემსო. იმ გამხმარი ქლიავის ამბავი უკან-უკან რომ დავითვალე, გამოვიდა რომ პირველმიზეზი შენი ღმერთის დაკარგული სისხლი იყო. ოღონდ ის არა, სხვები რომ ეძებენ. იმას ცალკე ვითვლით, ყოველ წამს მიმართულებას იცვლის, ერთი ბიბლიოთეკა გვაქვს ნახაზებით გავსებული და შვიდასი კაცი ყარაულობს მთელ მიწაზე იმის გამოჩენას. მაგრამ ეს მეორე სისხლი თავის წრეზე მიდის. არსად უხვევს, არსად იკარგება. არ ვიცი, ახლა სად არის, ან სად იქნება. მარტო ის დავითვალე რომ ერთი დღეა, როცა იმ დაკარგული სისხლის გზას ვიღაცა სხვა ხორციელის გზა უახლოვდება. არ კვეთს, მაგრამ ძალიან ძალიან ახლოს მიდის. დავთვალე, გამოვყევი იმ ხორციელის წრეს და აგერ, შენ მოგადექი.

იოვანე ჩუმად იყო.

ვიცი მე, რომ ალბათ წმინდა კაცად იქცევი, თუ უდაბნოში განაგრძობ ყოფნას. ნეტარი რამე იქნება. სამყაროს მტვერი არ გეკრობა. უბრალოდ ისიც უნდა იცოდე, რომ აქ, ამ შენი უტყვად ჯდომის ადგილას იმოდენა სიწმინდე კი არა, დაკარგული მერცხალიც არ გამოიფრენს. ნასვლა მოგიწევს, ღვაწლი მოგიწევს. თუ ხვალ, მზე რომ ამოვა, კვლავაც აქ იქენი, ჩათვალე რო სამარადჟამოდ დაკარგე.

ჩუმად იჯდა იოვანე.

მგზავრიც ელოდა ცოტა ხანი, ელოდა. მერე კი თავი დააქნია თავისთვის, და გააგრძელა გზა.

საღამოსკენ კლდეზე ჩრდილები მოქუჩდა. ჩრდილებიდან ავსულები ამოიზარდნენ და დაიწყეს ჩვეული როკვა. კისკისებდნენ, ყირაზე გადადიოდნენ და გმინავდნენ. რამდენიმე საათი გრძელდებოდა ასე, როცა ერთ ერთმა უჟმურმა, ადამიანის თმის ნაწნავები რომ გადმოსდიოდა პირიდან შემთხვევით შეამჩნია რომ კლდის ძირი ცარიელი იყო. უფრო ახლოს მივიდა, დააკვირდა.

იოვანე აღარ ჩანდა.

განწყრა უჟმური, გასივდა უჟმური, ყველა ლანძღვა ერთიანად მოადგა ყელში, მაგრამ სიტყვები არ ეყო და ბაყაყი გადმოაფურთხა. მერე კი შეტრიალდა და ისე წავიდა, რომ სხვა ავსულებს არც არაფერი უთხრა.

* * *

რვა წლის წინ, როცა მონასტერს მწარე შიმშილობა დაეცა, ძმა ბასილიმ მახლობელ მდინარეში დიდი ორაგული დაიჭირა. მეოთხე დღე შიმშილობდნენ ბერები, როცა ბასილიმ ღვთის საჩუქრის შესახებ ამცნო. სანამ ორაგული იხარშებოდა, საძმო სატრაპეზოს მაგიდის ირგვლივ იჯდა და საკუჭნაოდან გამოსული ოხშივარით ივსებდა მოთმინებას. ახლანდელი ბერებიდან მხოლოდ მორჩილი თეოფანე არ ესწრებოდა ამ ამბავს. ცხრა წლის იყო მაშინ და მონასტრიდან აღმოსავლეთით მეოთხე სოფელში კალიებს აჩხუბებდა ერთმანეთთან. ჯერ არც მამამისი გაეთელია აწყვეტილ კამეჩს, და არც დედა დამუნჯებულა სიმწრისგან. თეოფანეც კი არ ერქვა ჯერ – ბაჭუას ეძახდნენ და მთელი სამყარო მარტო ორი კალიის ჭიდაობისგან შედგებოდა. ოთხი სოფლით დასავლეთით და რვა წლით გვიან კი, მონასტრის სატრაპეზოში მამა ბასილიმ ზუსტად იმ წერტილში დაასვენა აბრეშუმის ძაფებით შეკრული თხილის ნაჭუჭი, სადაც ოდესღაც მოხარშული თევზი იდო. ადგილებიც ისე იყო განაწილებული როგორც რვა წლის წინ და თეოფანე ისევ არ ესწრებოდა საიდუმლოებას. უბრალოდ ამჯერად კალიებთან თამაშის სანაცვლოდ, მთელი ღამის ნაფორიაქებს, გარიჟრაჟზე მიეძინა და ბერებმაც აღარ გააღვიძეს.

ვერავინ ბედავდა საუბრის დაწყებას. სატრაპეზოში მხოლოდ მამა ევლამპის ნაავადმყოფარი სუნთქვის ხრიალი ისმოდა. დანარჩენი ბერები გარინდებულები უყურებდნენ თხილის ნაჭუჭს, თითქოს ელოდნენ რომ თავისით გაიხსნებოდა.

– არ დადის ჩემს გონებამდე, როგორ შეიძლება ისე დატრიალებულიყო ცარგვალი რომ აქ, ამ კუშტ სატრაპეზოში, ჩვენს ცოდვით სავსე და უღირს თვალთა წინ აღმოჩენილიყო თუნდაც ერთი წვეთი უფლისა ჩვენისა.. – ჩაილაპარაკა არსენ მედავითნემ.

მამა ამბროსი შეიშმუშნა. არ მოეწონა არსენის სიტყვები. არ თვლიდა, რომ მთლად ასე უღირსები იყვნენ. ბოლო-ბოლო ორმოცი წელი შეახარჯეს ამ პატარა თხილის მოძიებას. საძმოდან ვიღაცები ვერც მოესწრნენ, ვიღაცებმა ვერ გაუძლეს და წავიდნენ. და ვინც აქ დარჩა ბოლომდე, რატომ გამოდიან უღისნი? – ამას ფიქრობდა მამა ამბროსი, მაგრამ ხმამაღლა კი ეს თქვა.

– უფალი მოწყალეა.

მამა ევლამპი გადმოიხარა მაგიდაზე.

– უფლის ნების გარეშე წვიმის ერთი წვეთიც კი არ ეცემა მიწაზე. უფლის ნებით მოხვდა მისი სისხლი აქ. ახლა მთავარია იმას მივხვდეთ, ვინაა ღირსი რათა ნაჭუჭი გახსნას.

– რა ფიქრებია ეს? – თქვა მედავითნე არსენმა. – რას ამბობ ძმაო ევლამპი, რა გახსნაზე საუბრობ?

– შენ რას ამბობ მამ? – მიუტრიალდა მამა ევლამპი.

ყველა მედავითნეს უცქერებდა. არსენმა ნერწვი გადაყლაპა და წამოიწია.

– ჩვენ ცხოვრების ბოლომდე მარტო იმისი მადლიერნიც უნდა ვიყვეთ რომ ამ ნაჭუჭის ახლო ვსხედვართ, საუკუნეები გამოხდა და არავის გაუბედნია ასეთი რამე და რა სინდისით უნდა გავხსნათ ჩვენ? ლუსკუმა უნდა ავუგოთ და დავაბრძანოთ მონასტრის მიჩუმებულ საიდუმლო ნაწილას, ვაი რომ რამე არვინ გაბედოს მოტაცება ანდაც წარყვნა.

– შიში გალაპარაკებს, ძმაო არსენ – თქვა მამა ამბროსიმ. – რწმენა კი არა. ტალანტების დამმარხველად არ გაქციოს, იფრთხილე.

– როცა კონსტანტინოპოლიდან წერილი მოვიწერე – დაიწყო მამა ბასილიმ. – წერილი რომ მოვიწერე კონსტანტინოპოლიდან, იმისი იმედით გამოვგზავნე რომ სანამ ჩამოვაბრძანებდი სისხლის წვეთს უფლისა ჩვენისა, უკვე მოითათბირებდით როგორ მოვქცეულვიყავით.

– ძმაო ბასილი, ბრალს გვდებ რამეში თუ? – ამოღო ხმა აქამდე ფიქრებში ჩაძირულმა მამა ევსტათემ.

– მხოლოდ იმას ვამბობ, რომ სანამ მშიერ-მწყურვალი მხეცებს გავურბოდი, სანამ საიდუმლოდ მეკობრეთა გემით ვკვეთდი ზღვას, სანამ ბერძენ ქურდებსა ავაზაკებს ვემალებოდი ქუჩა-ქუჩა, სანამ ღმერთო შემინდე და ტყუილითა და ცრუ დაპირებებით თვალდაოსებულ სალოსს ჩვეულებრივი თხილი შევტყუე წმინდა საგნის მაგიერ, მაგ დროში რამე გადაწყვეტილების შემზადება მაინც შეგეძლოთ.

ბერები ჩუმად ისხდნენ.

– გული გაგიუხეშა ერში მოგზაურობამ როგორც ვხედავ, ძმაო ბასილი. – თქვა მამა ევსტათემ. მაგრამ მართალიც ხარ. სტუმრად უდიდესი სიწმინდე მოდიოდა ჩვენთან, ჩვენ კი ისევ საკუთარი სულების გადარჩენაზე ვზრუნდავდით. ასე რომ შენ ყველაზე მეტად ხარ ღირსი რათა გადაწყვიტო, როგორ მოვიქცეთ. შევინახოთ, თუ არა. გავხსნათ, თუ დავმარხოთ.

მამა ბასილიმ გულისჯიბიდან თუთუნი ამოიღო და კბილზე დაიდო.

– არ ვარ ღირსი. და შენც მართალი ხარ, ძმაო ევსტათე. ოთხი წელი ქვეყნად ბოდიალი საკმარისი აღმოჩნდა, რათა შემომძარცვოდა ყოველი, რაც ბერისთვის ჯერ არს. ზედმეტად ბევრი საერო ცოდვა დამიგროვდა. წესით მუხლებზე უნდა ვიდგე და ვქვითინებდე თქვენს წინაშე. მაგრამ არც ეგ მინდა. არ ითხოვს ჩემი გული მონანიებას, აღარ მაწუხებს. მაგრამ თუ გაინტერესებს, ზუსტადაც ერის კაცის თვალით გეტყვი. მთელი საქრისტიანო უფლის სისხლს ეძებს. კათოლიკეთ რაზმები დათარეშობენ მთელს მსოფლიოში, ყოველ ქვას აცირავებენ, ყველა ქოთანში იჭყიტებიან. თან განა მხოლოდ კათოლიკენი? ჩემს გზაზე არაბთა და ინდოთა ქარავნებიც შემხვედრია, რომლებსაც ვარსკვლავთმრიცხველნი აჰკიდებოდნენ, ყველას თავისი გამოთვლილი გზისა სწამს, იმათ ჰგონიათ, რომ რაკი ერთ ფიალა ქრისტეს სისხლს იპოვიან, ის უფრო დიდი მონაპოვარი იქნება ვიდრე ერთი წვეთი. მე მკითხე და გეტყვი, რომ ადამიანური სისულელეა ეგ. ღმერთის აზომვა და აწონვა ვის გაუგია. თან ეგრეც რომ იყოს, ისინი ჯერ კიდევ ძებნაში არიან, ჩვენ კი აგერ, წინ გვიდევს. მოკლედ რომ მოვუქციო, იმისი თქმა მინდა რომ მთელს სამყაროს შეგვიძლია გავაგონოთ ხმა, რომ უფლის სისხლი აქ არი, ამ მიწაზე. ყველას ეცოდინება, რომ ღმერთმა ეს კუნჭული გამოარჩია, არა კათოლიკენი, არცა ბერძენნი, არც ებრაელნი და არცა რომელიმე შორეული მიწები არამედ აგერ, ჩვენ, ერთი ბეწო ხალხი. ამიტომაც, ძმაო არსენი. არ მჯერა მე შენი შიშისა. არ შეიძლება ასეთი სიწმინდის სამყაროსგან დამალვა. მითუმეტეს, რომ თუკი მომლოცველთა ზღვანი მოგვაწყდებიან, ჩვენი მიდგებული და უპატრონო სოფლებიც ჩაისუნთქავენ ცოტა, ვის საყუდელი დასჭირდება, ვის საგზალი..

– მეც მაგას ვამბობ, ძმაო ბასილი – უპასუხა მედავითნემ – წარმოიდგინე რომ მთელი საქრისტიანო დაიწყებს აქ სიარულს. ზღვა ხალხი მოვა. შენ იფიქრე ახლა, იმ ზღვაში რამდენი ავი თევზი იქნება, რამდენი მზაკვარი, ურჯულო, მარტო იმ ზრახვით მოსული რომ იქილიკოს ჩვენს სიწმინდეზე, როგორ გამოარჩევ კეთილ მარცვალს მავნესაგან, რას ეტყვი ღმერთს?

– ღმერთს ჩემი და შენი დაცვა რომ სჭირდებოდეს, ძმაო არსენი, რამენაირად დილითვე შეგვატყობინებდა, არ ფიქრობ? – თქვა მამა ბასილიმ, და სანამ მედავითნე მკრეხელობაში ამხელდა, მამა ამბროსიმ შეაწყვეტინა საუბარი:

– მე მგონია... – თქვა მამა ამბროსიმ. – მე მგონია, რომ მაგ საკითხის გადაწყვეტა უფრო მარტივადაც შეგვიძლია. ექვსნი ვართ ამ ოთახში. კარგად ვიცნობთ ერთმანეთს. აქამდე ერთად მოვედით. ამიერიდანაც ერთად გვიწევს ყოფნა. მე მგონი, რომ თუ ყველა თითო სიტყვას იტყვის, დასტურისა ან უარყოფის, მერე კი დავთვლით და უმეტესი რაც იქნება, ისე მოვიქცევით, სამართლიანიც გამოდგება და არც შუღლს ჩამოაგდებს ჩვენში.

– რა სიტყვებია ეს,მამა ამბროსი... – გაუფართოვდა თვალები მედავითნეს? – საღვთო საქმის გადაწყვეტას კენჭისყრით ამბობ? შევიმალეთ ყველანი თუ რა დაგვემართა?

– სამართლიანობას ვამბობ. – მოუჭრა მამა ამბროსიმ და სხვა ბერებს გადახედა.

მაშ მოდი ასე. ვისაც სჯერა, რომ ნაჭუჭის ამბავი უნდა გავთქვათ, ხელები აწიონ იმათ.

მამა ბასილიმ, ევლამპიმ და თავად ამბროსიმ ხელები აწიეს. მედავითნე არსენი მრისხანედ იყურებოდა ოთახის კუთხიდან.

მამა ევსტათეს მაგიდაზე ენყო ხელები. ბოლო მონასტრის წინამძღვარი, იოვანე დაქანცული სიბნელეში იჯდა ჩუმად და მთელი ეს დრო თხილის ნაჭუჭისგან თვალი არ მოუცილებია. მამა ამბროსი ახლა მიხვდა, რომ იოვანე სულ დაავიწყდა და მისი ადგილი დაიკავა. თუმცა იოვანეს დავიწყება ძნელი არ იყო. ცოტა უნდა დაგეძაბა კიდეც მხედველობა, ბნელ ოთახში კედლიდან რომ გამოგერჩია.

– ძმა ევსტათე. – თქვა ყრუ ხმით წინამძღვარმა. – შენ რატომ არ აწიე ხელი?

– მე კი მხიბლავს ის აზრი, მამა იოვანე, რომ საქრისტიანოს მექად შევიქმნებით. არ მგონი რომ არ ვიყოთ ღირსენი. უბრალოდ ანორი თქვა მედავითნე არსენმა. ათასი ჯურის ხალხი მოვა აქ და ღმერთის კი ვერ დააკლებენ რამეს, მაგრამ აი ჩვენს ხალხს კი წარყვნიან. სოფლებს ბაზრობებად აქცევენ, სათამაშო სახლებს და სხვა სიბილწეებს შემოიტანენ.

– ძმაო ევსტათე, რატომ გგონია რომ უფლის სისხლის სანახავად გამგზავრებულ მომლოცველობას იმისი ერთი სული აქვს რომ გზადაგზა იყომარბაზოს? – წამოიძახა მამა ბასილიმ.

– ეშმაკი ყველას ებრძვის ვინც წმინდა გზაზეა შემდგარი – უპასუხა ევსტათემ

– მაშ შენ სულაც დავიწყებული ეყოლები – ჩაილაპარაკა მამა ბასილიმ და სანამ ევსტათე შეეპასუხებოდა, მამა ამბროსი წამოიწია.

– ქრისტე დაფარულად არ მოსულა და არც ნასულა, ძმაო ევსტათე. არ გგონია, რომ ათი კაცის სულის გადარჩენა ერთის წარწყმედას გადაწონის?

მედავითნემ ოთახის ბოლოდან შემოსძახა:

– ვის თქუენგანსა კაცსა ედგას ასი ცხოვარი და წარუწყმდეს მას ერთი მათგანი, არა-მე დაუტევნესა ოთხმეოც და ათცხრამეტნი იგი უდაბნოსა ზედა და წარვიდეს წარწყმედულისა მისთვს, ვიდრემდე პოოს იგი?

– არა არა, სულ სხვა რამეზეა ახლა ეგ იგავი და ნუ რევ ამ ამბავში – მიუტრიალდა მამა ამბროსი და მერე ისევ ევსტათეს დაუბრუნდა.

– გომბიო მაზის მკერდზე – წამოიძახა უცებ მამა ევლამპიმ. ყველა გაჩუმდა და შეტრიალდნენ მისკენ.

მამა ევლამპი მძიმედ წამოიწია და გადმოეყრდნო მაგიდას.

– წინა წელს რომ სიცივე ავიკიდე თუ გახსოვთ? მეთქი მომირჩება მალე. მაგრამ გაგრძელდა ერთი კვირა, ორი კვირა. მერმე ხველება გამიძნელდა. ღამ-ღამობით სუნთქვა დამიმძიმდა. არ ვილებდი ყურად, მაგრამ აგერ, ბოლო თვეა და ყოველ დახველებაზე ფილტვის კოლტებს ვაგდებ. გომბიო მაზის მკერდზე და მიჭამს ნელა-ნელა.

– რას ამბობ, ძმაო ევლამპი?

– იმას, რომ ჩემი ამბავი კი იცით. ან თუ არა, ვიტყვი, რომ თორმეტისა რომ შევიქენი მაშინ მიპოვა მამა იოვანემ. თორმეტი წლისა წამოვედი სახლიდან, ჯერ ათასგან ვიარეთ, მერე კი ათასი დღე ეს საყუდელი ვაშენეთ.

– ძმაო ევლამპი... – ევსტათემ ამოიღო ხმა – არ კი მინდა რომ შენი ამბავი შევაჩერო, მაგრამ ისე გამოდის რომ მაგ მონაყოლით ორმოცდათორმეტი წლისა შეიქმენი წელს.

– სწორედაც მაგას ვამბობ. – დააქნია ევლამპიმ თავი. – და არც დაგცრახავ, თუ სხვანაირად გგონია. ძვლები ნაადრევად დამიჩანჩალაკდა, კანი ნაადრევად მომიმჩვარდა. კომბოსტო მაზის მკერდზე, გეუბნებით აკი. ნელ-ნელა ჩემს ფილტვებში იზრდებოდა, ჩემს წილ ჰაერს იპარავდა. ახლა კი ვზივარ ასე და ვფიქრობ, ეგება და ღმერთმა აქამდე მარტო იმიტომ მაცოცხლა, რომ კიდევ ერთხელ მოევლინა სასწაული, ეგება და ჩემი სენის გადევნა შეეძლოს წმინდა სისხლს.. მაგრამ რომც არ იყოს ასე, ბალღობას როგორც კი გადმოვაბიჯე, მთელი ცხოვრებაა, ამ თხილის კაკლის გამოჩენას ველოდი. ველოდი და ველოდი. ახლა კიდე, როცა აგერ აქ დევს, მეუბნებით რომ არც კი გავხსნითო. თვეები დამრჩა მე. ეგება კვირებიც კი. და არ მომაკვდინოთ ისე, რომ მთელი ცხოვრების მწყურვალს მარტო შორიდან დამანახოთ წყარო წმინდა.და თუ იქ მისულს, უფალი მკითხავს რომ რად ჩაიდინე ისეთი ცოდვა, რად ქენი არსაქმნელიო, იმასთან პასუხგასაცემი უკვე მე ვიქნები.

ჩუმად ისხდნენ ბერები. მხოლოდ მედავითნე არსენი ცმუკავდა.

– ძმებო. წმინდა მამანო. – თქვა მამა ბასილიმ. – არ არის ჩვენი რწმენა სიმხდალის რწმენა. და არც ჩვენი ღმერთია წარმართთა ბომონი, გადაცდომად რომ ჩაგვითვალოს ამოდენა სიყვარული და სასტიკი სასჯელი მოგვივლინოს. ძმა ევლამპი, სარკმელებს ქალალდი ააკარი. ძმა ამბროსი, დახედე სადმე ღრიჭო არ იყოს გასაძრომი, ძმა ევსტათე, შენ სანთლები აანთე, მე კი ნაჭუჭს გავხსნი.

– მკრეხელობ ბასილი! დაიყვირა მედავითნემ. – აღარ ხარ შენ ბერი! თუთუნს ღეჭავ, სამყარო მტვერი აიკიდე ფეხზე, აღარ ხარ ბერი!

– სამაგიეროდ მე ხომ ვარ – წამოდგა ამბროსი. – მე გავხსნი.

– ეშმაკი გჭამს და სიამაყე მამა ამბროსი, ადრეც უნდა მეთქვა, პირჯვარსაც კი არ იწერ როგორც წესია, ლოცვებზე აგვიანებ, განა ვერ ვამჩნევ მე! თქვი რამე, მამა იოვანე! თქვი რამე, გეენაში გინდა რომ მთელი მონასტერი ჩავარდეს? ამოიღე ხმა რა ბრძენკაცობას თამაშობ! – ყვიროდა არსენი, მაგრამ აღარავინ უსმენდა. – წაულიხართ ჯანდაბასაც და ეშმაკებსაც! არ ვიქნები ამ ცოდვის ოთახში მე! ჯოჯოხეთში დაილუპებით ყველანი, შენ პირველი იქნები მამა ევლამპი, ჯოჯოხეთში დაიღუპებით და მე არც გადმოგხედავთ!

გაიჯახუნა კარი მედავითნემ და გაიქცა.

რვა წლის წინ ზუსტად ამ დროს, დღის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საათში სატრაპეზოს მაგიდაზე მოხარშული ორაგულისგან მხოლოდ ფხებილა იყო დარჩენილი. მამა ევსტათე სარკმელში იყურებოდა, მამა ამბროსი თევზის ჩონჩხს ათვალიერებდა, მამა ბასილი თვალდახუჭული იჯდა მაგიდასთან, მამა ევლამპი სარკმლიდან შემოსულ სხივს ეთამაშებოდა ფეხით, მედავითნე არსენი კიბეებზე ჩარბოდა, ფსალმუნები რომ გადაემეორებინა, იოვანე დაქანცული კუთხის სიბნელიდან იყურებოდა, ოთხი სოფლით აღმოსავლეთით ბიჭუა კამეჩებს ერეკებოდა ეზოში. ოთხი სოფლით დასავლეთით და რვა წლის შემდეგ კი მამა ამბროსიმ შეხსნა თხილის კაკალს აბრეშუმის ძაფები და ორი ნახევარი ნელ-ნელა დააშორა ერთმანეთს.

ჯერ არაფერი მომხდარა. სატრაპეზოში შემორჩენილ სინათლეზე თავად ნაჭუჭიც ძლივს ჩანდა, არათუ შიგთავსი. ბერები მხოლოდ სიშავეს ხედავდნენ, თითქოს თორმეტი საუკუნის განმავლობაში ნაგროვები სიბნელე ამ ნაჭუჭების შიგნით შედედდა. მერე კი, როგორც კი მამა ამბროსის მწარე ეჭვის პირველი მარცვალი აენვა სულში, ნაჭუჭების კუნაპეტი აკლდამიდან კოღომ ფეხი გამოყო. მწერმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ფრთები შეარხია ოდნავ. მცირე წერტილად ჩანდა კოღო, მაგრამ როცა ღრიჭოდან შემოჭრილი სხივის სინათლეში მოექცა, უკვე ყველამ დაინახა, რომ გამჭვირვალე მუცელი სისხლით ჰქონდა სავსე. მამა ბასილიმ სუნთქვა შეანელა, მამა ამბროსიმ სულაც შეწყვიტა, მამა ევლამპის ცრემლები აუგორდა ქუთუთოებზე, ხოლო მამა ევსტათემ გონებაში ანგელოზთა სახელების ჩამოთვლა დაიწყო, რათა საიდანმე გამკრთალ შფოთიან ფიქრს კოღო არ დაეფრთხო.

იოვანე მოქანცული ყველაზე მოშორებით იდგა, მზერა კოღოზე გაეშტერებინა, მისი მეხსიერების თვალი კი უდაბნოს სივრცეში მიმავალ ალექსანდრიელ ვარსკვლავთმრიცხველს უყურებდა. ცდილობდა იოვანე ზუსტად იმ წამის გახსენებას, როცა განდეგილობის მიტოვება გადაწყვიტა. ბოლო აზრის დაჭერას, რის შემდეგაც წამოდგა და გზას გაუდგა. მაგრამ ყველაფერი ბუნდოვნებასა და ქვიშის ქარებში იყო ჩაკარგული. გონებაში მხოლოდ მგზავრის უსასრულოდ მილევადი აჩრდილი ლივლივებდა და სუსტი ფიქრი იმაზე, რომ ვარსკვლავთმრიცხველი მაცდური ეშმაკი ვერ იქნებოდა. ეშმაკებს მაგდენი მოთმინება არ აქვთ.

ამ დროს მამა ევსტათეს ანგელოზების სახელები დაუმთავრდა და უნებლიეთ თავის მძაღე გულძმარვაზე გაეფიქრა. კოღო შეტოკდა და იმწამსვე ქარმა სარკმელზე მიწებებული ქაღალდიც ააფრიალა.

— ქარი! — დაიყვირა მამა ევლამპიმ.

მამა ბასილი მივარდა შესასწორებლად, სხვემა კი მაშინვე მაგიდას დაუბრუნეს მზერა.

კოღო აღარ იჯდა.

რამდენიმე ამოსუნთქვა დასჭირდათ ბერებს, რათა დაეჯერებინათ რომ მწერი გაქრა. მერე კი მამა ევლამპიმ ძმებს წყლიანი თვალებით ახედა და გულამოსკვნით დაიყვირა:

— მალე!

სატრაპეზო ორ წამში ალიაქოთში გაეხვია.

— სარკმელი !აეფარე! ყვიროდა ევსტათე

— აქ არის! ყვიროდა ბასილი

— მოიცა დავკარგე! ყვიროდა კიდევ რომელიღაცა

— მალე!

— მოძვრა! მიაფარე რამე

— მალე, ბასილი!

— არ შეეხო!

— მალე!

— სარკმელთან! მიაფარეთ ვინმემ! სასწრაფოდ! კოღო ღმერთო უფალო, კოღო!

— გარეთ! გარეთ გაფრინდა!!

რამდენიმე წამი ელდა დაცემულები იდგნენ ბერები. სარკმელზე ფურცელი ფარფატებდა. ძალიან ხმაურიანად ფარფატებდა, დასცინოდა თითქოს.

— სასწრაფოდ, გარეთ ყველა! — დაიყვირა მამა ბასილიმ.

ბერები კარიდან გაიყარნენ, ჩაირბინეს კიბეებზე და აქეთ-იქით მორთეს სირბილი.

იქით არის! სხვა კოღოა! მალე იქით! დაიჭირე! არ არის ეგ კოღო! გაიქეცი! დაეწიე!

მხოლოდ იოვანე დაქანცული დარჩა სატრაპეზოში. სარკმელიდან ჩანდა, როგორ გარბოდა ოთხი შავი წერტილი სულ უფრო და უფრო შორს მონასტრისგან.

იოვანე კი იდგა გაუნძრევლად. გადახსნილ ნაჭუჭებს უყურებდა მაგიდაზე. გადმოატრიალა ერთი, ჩახედა. ნაჭუჭი ცარიელი იყო.

მერე კი შეტრიალდა, იქვე კედელში გამოთლილ გრძელ სკამს მიუახლოვდა, დაწვა, დახუჭა ბოლომდე თვალები და დაიძინა.

მორჩილმა თეოფანემ საღამოსკენ გაიღვიძა. გამოძინებული ჩვილის ხასიათზე იყო. გონება დაწმენდილი და მშვიდი ჰქონდა. გაიზმორა თეოფანე და გარეთ გავიდა. მზის სითბო ფრთხილად ერეოდა მსუბუქ ნიავში და თეოფანეს სახეს ნაზად ეხებოდა.

„— რა კარგი დღეა.“ ფიქრობდა მორჩილი.

უმიზეზო, მშვიდი სიხარულით იყო თეოფანეს გული სავსე. კალიები ჭრიჭინებდნენ, საქონლის ზარის ხმა მოდიოდა გორაკის გადაღმიდან. მორჩილს შუბლზე კოღო დააჯდა, მაგრამ სანამ უკბენდა, მიიტყიპა და ხელი ტანისამოსზე შეიწმინდა.

მზე ქვების ჩრდილებს ძალიან გრძლად ნელავდა.

„რა ლამაზი დღეა“ — ფიქრობდა თეოფანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოთლით წყალი, სალესი ქვა, სავარცხელი

*ცირა ყურაშვილი*

გაცეცხლებული მამა ჩამორბის ფერდობზე, გზადაგზა შიშველი ხელით დაურიდებლად ნაწყვეტილ და მერე ერთ კონად მომუჭნულ ჭინჭრის თაიგულს მოაქანებს ჩვენი კანჭების დასასუსხად, ჩვენ კი პატარა ბრიყვები ფეთებით ველით, როდის მოინაცვლებს ცხენი ადგილს, რომ ღელესთან მის მიერ დაკავებულ ვიწრო ბილიკზე გასვლა შევძლოთ და წყაროს წყლით სავსე ბოთლები მშობლებს ავუტანოთ...

იმ დღეს მშობლებმა ყანა დიდხანს მარგლეს, მარგვლისას მოსწყურდათ და წყაროზე გაგვგზავნეს. წყარო გაღმა, ღელის ზემოთ, დიდი ლელვის ხის ძირას ამოჩქეფს. ღელესთან ცხენია გრძელი ბაწრით ჩაბმული. გზის იქით ძოვს და ჩვენც შეუფერხებლად შუშის ბოთლებს წყაროს წყლით ვავსებთ, სწრაფად ვეშურებით უკან, რომ მშობლებს დროულად აეუტანოთ, მაგრამ ცხენი ახლა პირდაპირ ბილიკზეა გაბოხირებული, გასწვრივ ბალახს ნიწკნის და ფეხს არ იცვლის. გვერდის ავლა შეუძლებელია, თან გვერდით შამბია, ჭინჭარი, რას გაეალწევთ, შიგ ყელამდე დავიმალებით. ხომ დიდია ცხენი, ჩვენ ბევრად მეტი, უზარმაზარი გვეჩვენება, მისი თვალები გველეშაპის თვალებივით კვესავენ.

უღონოდ ვდგავართ და წინ ნაბიჯს ვერ ვდგამთ.

– ჰეი, რას ელოდებით?! – გვიყვირის მამა ყანიდან, თაკარა მზეში მომუშავეს, ხორხი უშრება ალბათ წყურვილით...

– მორჩით თამაშს, ამოდით ჩქარა! – გვიყვირის დედაც, რომელიც მამის გვერდით თოხს არ აცდენს და ხმაშიც უჩვეულო მოუთმენლობა ემჩნევა...

ვერც მშობლებს ვაწვდენდით ხმას და არც ცხენს ესმის ჩვენი ფეთება, ეტყობა, სულ ტყუილია, თითქოს მის თვალში პატარა ადამიანებიც დიდებად ჩანდნენ, არხეინად ძოვს ღელის პირას, ზედ ბილიკთან და ფეხის აჩქარებას არც აპირებს.

რამდენ ხანს ვდგავართ ასე?!

სანამ ბავშვს შეუძლია ელოდოს ბილიკზე უხიფათოდ გავლას, სანამ შეიძლება უფროსმაც ითმინოს წყურვილი...

და ამის მერეა, გაცეცხლებული მამა რომ ჭინჭრის კონით ჩამორბის ზემოდან. ღელეში ცხენი ფეთდება და ადგილს ინაცვლებს, ჩვენც ვფეთდებით, ბოთლები ხელიდან გვიცვევა და მაყვლის ბარდებში მიგორავს...

* * *

იმ დილით, ყანის მარგვლამდე შინიდან წასულებმა რაც ძაღლების ლავლავსა და ორღობეში ღორების ჩლიქით გათქვეფილ ფაფას გავაღწიეთ, რომელიც ვარდისფერ საფენიან და შავად მოკრიალე ფეხსატუცავებს ზემოდან გადაგვდიოდა, სულ სხვა, გაშლილ სივრცეში, გიგანტური ფიალის ფსკერზე ვიარეთ.

– ეს ზღვის ფსკერია, – ამბობდა მამა, – ადრე ამ ადგილას ზღვა იყო... ნახეთ, რაგვარი ნიადაგია, ჰუმუსის ქვეშ ნაცრისფერი ლიპები...

ხელის ერთი შეხება, გადასმა და ჩამოფატრულ კლდეთა დამრეცი ზედაპირიდან ნაცრისფერი ნაშალი ხვინჭკა ცვივა... ნიჟარებიც იყრება, ოღონდ ისინი იმ ბალახთა ღეროებიდან, რომლებიც ერთი მტკაველი სისქის ჰუმუსზე აღმოცენებულა. რა დრო, რამდენი ათასი წელი დასჭირდა ამ ნაცრისფერი ქანების ზემოთ მიწის პატარა ფენის ჩამოყალიბებას, ზღვის გაუდაბნოებული კლდეების მზის ყვავილებით და ბალახ-ბულახით თავის შემკობას. ჩვენი თმის დასამშვენებელ სამყურა ბალახთა ვარდისფერ ბურთულა ყვავილებად გადაბიბინებას.

ადრე ხომ შავი და კასპიის ზღვა გაყოფილი არ იყო, ღმერთმა გახსნა თავისი მწყალობელი პეშვი, წყალი დასავლეთით და აღმოსავლეთით გადაღვარა, გამოათავისუფლა კიდევ იმხელა არე, სადაც ერთი დიდი ზღვა თავისუფლად დაეტეოდა, მაგრამ მან წყალი კი არა, ხმელი ისურვა, ეს მიწა ჩვენ დაგვითმო...

ყვავილთა უთვალავ თაობებად მზისქვეშ აქ უნდა გვემრიალა, რომ განძარცვული ფოთოლ – ძვალი ამ მიწაში მტვერივით ჩაგვეცრა და სამომავლო აღდგომები ერთმანეთისთვის გვეხარებინა...

გაღმა მთები ჩანს. მის ქვემოთ ოთხკუთხა, მწყობრად მოხაზული ნაკვეთებია სიმინდის ყანებად მწვანედ ალაღანებული.

გაღმა სხვისი ყანები, გამოღმა ჩვენი, რომელიც ალბათ ზუსტად ისეთივე დაკუთხვილი, მწვანედ ალაღანებული ჩანს გამოღმიდან, როგორც მათი – გაღმით, იმ განსხვავებით, რომ ჩვენს ყანებს თავზე მთები არ ედგმის.

მოვა მზიანი, ცხელი, ზაფხულის თვეებისგან განურჩევი ოქტომბერი, დიდი თუ პატარა ნამგლით შევცსევით და ავჩალავთ ამ ყანას. ჩალის ქალებს ილლიებთან მიკრულ ზრდასრულ ბალღებს ავართმევთ, გავფურჩქნით და სამოსს გავხდით, ყანის აქა-იქ მონიშნულ ადგილას მოვისვრით, ადგილ-ადგილ თეთრი ბალღების გორებად წამოვმართავთ და მზისგულზე აელვდებიან, მხიარულად გაიცინ-გაიკრიჭებიან ეს სიმინდის ბალღები, ზოგი წვრილი კიჭებით და ზოგიერთნი მარმარილოსფრად ჩარიწკინებულ ფართო კბილებით. ამ ჩალის ქალებს კი მზისგულზე დავაწვენთ და ტირიფის წნელებით შევკონავთ, მერე, წვიმამ რომ არ დაალტოს, კონებს აღვმართავთ, ქოჩოჩით ზემოთ, მჭიდროდ მივაკრავთ ერთურთს, ამ სიმჭიდროვეში ჩვენც ვეტნევით; ჩვენც ვექვრით და ვეწებებით ჩალის კონებს, ნორჩ კანს გვისერავს, გვიშაშრავს მზით გაფიცხებული ჩალა, მაგრამ ვინ დაეძებს, ოღონდ კონას კონა მივუმატოთ, კონებს ფეხი ძლიერად გავადგმევინოთ, ნამგლით ცერად ანასერი მუხლი მიწას მყარად დავაბჯინოთ, წვიმას ძლიერი ზვინის დადგმა დავასწროთ, ქარმა რომ ვერ გაფანტოს და ქარიშხალმაც ვერ წააქციოს...

სალესი ქვა აგდია სადღაც, და ის ნატეხი ახლა აღარავის ახსოვს, ვალმოხდილი, შრომის იარაღთა პირმომპირავი, ჩვეულებრივ ქვას ჰგავს და ეს კლდის ნატეხი იკარგება, სულ იოლად აირევა, გაიცვლება უბრალო ქვაში... ან ამ კლდის თავზე ნაცრისფერი ქანების ზემოთ მინდვრის სიმწვანე გადაუვლის.

* * *

– დეეე, დედუაა... არც დედი, არც დედიკო... – დედუა... ეს „დედუა“ და მერე შეღერებულზე, სიცილ-ტკრციალით: „უიმე, დედაია!“

ვარდისფერ ყვავილთა გვირგვინი უკვე აღარაფერს ნიშნავს, თმაში ჩასამაგრებელ სავარცხელზე ოცნებას აიკვიატებს გული, ამ მორკალული სავარცხლით შუბლიდან ტალღა თმას წაიღებ და თხემის შუაში ჩაიმაგრებ, ტალღად მოწოლილ თმას შეაკავებ...

ასეთი სავარცხელი ლითონისაც იყიდება – ვერცხლისფერი, მაგრამ მასზე ვინ ოცნებებს, შავი პლასტმასისგან დამზადებულიც კი დიდ ბედნიერებად ჩანს.

დედა ბებიას მიმადენის, პენსიას ის ელის... ბებიაც პენსიას აილებს – 18 მანეთს და 80 კაპიკის ხურდას მუჭში ჩამიყრის, რომ უნივერმაღის ზედა სართულზე, სადაც გალანტერეაა, მოკრიალებული პარკეტი, დიდი სივრცე და პაწია კოშკებივით ჩამწკრივებული სუნამოები ერთი დიდებული სუნთქვით სუნთქავენ, იქვე, პატარა სარკეში შავი პლასტმასის მორკალული სავარცხელი ვიყიდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ რამდენჯერმე დავიმაგრებ თმაზე ამ სარჭს და ბოლოჯერზე მეტს ველარ შეძლებს მისი სიმყიფე. გატყდება სავარცხელი ორად.

ცოცხალი თავით არ მინდა მისი დათმობა, იქნებ შეწებდეს...

დავაღვენთებ სანთელს, არ შეწებდება, ასანთის ცეცხლზე მოვუღლობ განატეხ პირებს – დავატყუპებ, მაინც არ შეწებდება, მხოლოდ გაიბდღალება...

წყალი გადაღვრილია, სალესი ქვა გადაგდებული... გადავაგდებ სავარცხელსაც...

გავა დრო და იმ ადგილას, სადაც სიმინდის ყანა ქარში მწვანე ზღვად ღელავდა, ნამგალთა სალესი ქვით მოპირული ფხები მცხუნვარე მზეში ელვარებდა, მშობლებს ჩალის აქუზვაში ვეხმარებოდით, ტირიფის წკნელებს გარს ვავლებდით მოკონილ ჩალებს, მარმარილოსფერ ტაროების გვედგა გორები, გაჩნდება ტყე – აკაციის...

– გავჩეხოთ დედა ეს ტყე, აკაცია მარგილებად გამოვიყენოთ, მორღვეული ღობეები შემოვზღუდოთ, საზღვარი გავამაგროთ, თუ სიმინდის ყანა არ გვინდა, ხორბალი დავიბრუნოთ, ჩვენი პური მოვიწიოთ, უკეთესს რას ვინატრებთ... სასჯელია უმუშევრად მოცდენილი მიწა, ველურ კოლტივით გადმოამთაბარებს ღმერთი უცხო ტომებს და ამ ჩვენს მიწებს დაუსაკუთრებს...

– ვის აქვს ამის ძალა, შვილო, გამოიფიტა ადამიანი... შრომა აღარავის უნდა, მის სიმძიმეს ყველა გაურბის... ყველას გასაქცევად უჭირავს თვალი...

დამბადებელო, ამ ნოყიერ რიადაგეზე ჩვენო დამრგველო, შეგვინდე ეს მცონარობა და ნუ აღმოგვფხვრი, ამოგვძირკვავ ამ წალკოტიდან.

და როს ღრუბლიდან გარდამოხვალ შენი დიდებით, ანგელოზთა საყვირები ცელიან ჩოჩქხებს კაცთა მკისკენ უფრო ძლიერ გააქეზებენ, სტიქიათა ხანძრები კი მთვრალი კაცივით იბორგებენ და ენებს ჩვენი ქალური, განმკითხველი ენებივით მიმოდასდებენ, ამ მიწიდან გამოგვიხმე, ჩვენი ფერფლი წამოკრიფე, ხელმეორედ გამოგვძერწე სველი თიხისგან, ხელმეორედ ჩაგვითქვი სული და კვლავ მიწაზე დაგვადგინე, ამ აყვავებულ ხეების ქვეშ, სად გამთენიის ჩიტები გიგალობენ გიჟურად და გადარეულად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძმა, ანუ მორჩენილი საკუთარი თავი

*ლელა კოდალაშვილი*




ახლახან „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" კოკა არჩვაძის მინირომანი, „ჩინური დღიური" გამოსცა. ტკბილი წითელი ფერის გარეკანით და მასზე მოყვითალო, ჩინურ იეროგლიფებს მიმსგავსებული სატიტულო წარწერით, ცხადად რომ გაგონებთ თბილისში გამრავლებული ჩინური ბუტიკების წინ მოქანავე, სწორედ ამ ფერებში გადაწყვეტილ აბაჟურებს. თუ ამ ვიზუალს დაამატებთ ჩვენს განწყობას, რომ ყველაფერი ჩინური, რაც ჩვენთან შემოდის, დაბალხარისხიანია, უცებ ცხადი ხდება ავტორის ალუზია და თუ მას ცოტათი მაინც იცნობთ და იცით, რა ცინიკოსიც ბრძანდება, ბევრი ფიქრი აღარ გჭირდებათ, მიხვდეთ, რომ ან მას, ან წიგნს, ან წიგნის პერსონაჟს რაღაც პროვოკაცია ჩაუფიქრებია. პრეზენტაციაზე მისვლა ამ პროვოკაციის გამოცნობაში არ დაგეხმარებათ, რადგან იქ ავტორი გაჩვენებთ ჰონგ-კონგში გადაღებულ უხეზე უხე ფოტომასალას, რომელიც ყველაფერზე ილაპარაკებს, გარდა იმისა, თუ რა ხდება წიგნში.

და რა ხდება მაინც იქ? თითქოს ისეთი არაფერი. ახალგაზრდა ტიპი, ვინმე ირემაძე გამქრალი ძმის – სანდროს მოსაძებნად მიდის ჰონგ-კონგში, სადაც ის მუშაობდა. მას თან ძმის დღიური აქვს, რომელიც რაღაც დონეზე აკვალიანებს და ხელში ერთგვარ გასაღებს აძლევს მის მოსაძებნად. ამასობაში ჰონგ-კონგის ურბანული ყოფა-ცხოვრება, რიტმი, იქაური ადამიანები, ძმის მეგობრები, თანამშრომლები თუ უბრალოდ

იქაურები ირემაძესთან იკვეთებიან, მათთან ერთად ტექსტში ისეთი ქაოსი შემოედინება, რომ კარგა ხანი ფიქრობ, მწერალს ძმის დაკარგვა ფონად დასჭირდა, რომ ჰონგ-კონგი ეჩვენებინა, თუ ჰონგ-კონგია ფონი, რომ ამ „დეტექტიურ" სიუჟეტს სასუნთქი სივრცე გამოუძებნოს. მაგრამ მალე ხვდები, რომ არც ერთია და არც – მეორე. ჰონგ-კონგის ქაოსი სამყაროს ქაოსია, ხოლო დეტექტივად გადაქცეული ირემაძის დაკარგული ძმა ამ ქაოსის უსასრულობაში დაკარგული პროტესტი, ან, უფრო სწორად, მუდმივი მოძრაობის არქეტიპი. მისი საცხოვრებელი ოთახი ერთი ციცქნაა. ისეთია, სადაც ავეჯი და ადამიანი ვერ ეტევა. სადაც ცხოვრება შეუძლებელია. სივიწროვე (რუტინა და ყოფითი სამყარო) ფიზიკურად გეხება და შენი გასრესა უნდა.

„ჩინურ დღიურში" თხრობა ვიზუალითაა დატვირთული. კადრები კადრებს ენაცვლება. ნამდვილი კინომოთხრობაა. იმდენი ფოიერვერკია, შიგადაშიგ ქუჩის რეკლამებჩართული ბანერებით, რომ ჯერ ალაგ-ალაგ, მერე კი ნამდვილ ხანგრძლივ კინოში შევყავართ ავტორს. ეგზოტიკურ (მაინც ეგზოტიკაა ჩვენთვის ჰონგ-კონგი და ამ აზრს, რაღაც გაგებით, არც ავტორი არ გაურბის) გარემოში, მუსიკა, მოსაწევის სურნელი, ხანდახან ალკოჰოლი, ალაგ-ალაგ ქალებიც გაიელვებენ, უცნაურად ბნელი ქუჩები – ყველაფერი იმაზე მიგანიშნებს, რომ სადღაც, ერთი სიფრიფანა კედლის იქით ან რომელიმე ხის უკან შავი, ბნელი დანაშაული სუნთქავს. მომენტებში შიშიც გიპყრობს, რაღაც გაურკვეველი, იდუმალი საიდუმლოს გამჟღავნების მომენტის დადგომის შიში. ისევ ჰონგ-კონგი... თითქოს კამერა ნელა მოძრაობს ქუჩებში და თვალწინ გიშლით შენობებისა და ფასადების ზღვას, რომელიც ხან მზითაა განათებული და ხან წვიმიანია. იცხოვრო აქ, ამდენ ხალხში, ეს ნიშნავს იმას, რომ კიდევ უფრო მძიმედ იგრძნო მარტოობა, ცხოვრებისგან მოწყვეტა, რაღაც ტემპიდან ამოვარდნა. მაგრამ ალბათ ესაა სამყაროს ნამდვილი სახე, მისი ირეალური, მირაჟული არსებობა... აი, არ იცნობ სანდროს და იცი, რომ ამაზე ფიქრობდა. ოღონდ არა ეგზისტენციალისტების ტერმინოლოგიით, არა სისტემური ფილოსოფიის თვალთახედვიდან. სავარაუდოდ, სანდრომ არ იცის სარტრის ფრაზა „არსებობა წინ უსწრებს არსებას", არც იმ ჭეშმარიტებებს ეძებს, რომელსაც აზრი აქვს ინდივიდის სიცოცხლისათვის. არა აქვს გააზრებული, რომ ნამდვილად მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებანი პერსონალურია და ადამიანმა საკუთარი არსებობით უნდა განსაზღვროს, სად დევს მისი ცხოვრების აზრი. მაგრამ სანდრო უპირისპირდება კონფორმიზმს და მიიჩნევს, რომ ისეთი რამეები, როგორიცაა, ვთქვათ, ღმერთის არსებობა ან არარსებობა, მორალური კოდექსის წინასწარგანსაზღვრული მოცემულობა თუ ეთიკური ნორმები, არ შეიძლება ერთ სივრცეში მოექცეს და ყველა ჩვენგანს მოერგოს. მისთვის არა აქვს მნიშვნელობა, ჭეშმარიტებაა თუ არა ესა თუ ის კონცეფცია. მისთვის მნიშვნელოვანია ის, რაც მისთვისაა ჭეშმარიტი. ანუ ის, რომ ადამიანს განსაზღვრავს არა სოციალური რეალობა, არამედ პიროვნების სუბიექტური არსი: „დეზერტირების ბაზარი არის ჩემი სამშობლო და დამპალი ხილ-ბოსტნეულის სუნი მუდმივ ტალახში.

ასეთი უნდა გიყვარდე."

„ჩინურის" პერსონაჟი თვითონ ქმნის საკუთარ თავს, რაც გულისხმობს პიროვნების გარდაქმნას საკუთარი სურვილის შესაბამისად. მაგალითად, თუკი მას სურს, იყოს ჩინელი მეთევზე, ის ხდება ჩინელი მეთევზე. ზოგჯერ ისე ხდება, რომ თავისუფლების შეგრძნება ადამიანში შიშს ბადებს, რადგან ის ხდება პასუხისმგებელი საკუთარ თავზე თუ სხვებზე. თუმცა სანდროს შიშს ვერსად ვხედავთ. რაღაც გაგებით ეშინია მხოლოდ სანდროს იმ ნაწილს, რომელსაც მისი ძმა წარმოადგენს. პერიოდულად ძმების სახეები იკვეთება და ერთმანეთში გრადაცირდება. ზავდება. ერთი ხასიათი ხდება. ერთგვარად აზროვნებენ და მეტყველებენ და ფიქრობენ თითქოს. რომ არა შავი შრიფტით გამოყოფილი სანდროს ტექსტი, შეიძლება, ვერც მიხვდე, რომელი რომელია. იქნებ ორივე ერთია მწერლის უნებურად ან მისგანვე გამიზნულად – რომ ერთი გაიქცა და ეძებს, მეორე კი ექაჩება კულტურასა და სოციუმის წესრიგში...

არ შეიძლება, არ გაგახსენდეთ მიქელანჯელო ანტონიონის „პროფესია რეპორტიორი". იქაც და აქაც პერსონაჟი ქრება. უარს ამბობს საკუთარ თავზე, ამ სახით არსებობაზე. იქ „დაკარგულ" ადამიანს დასდევს კამერა, აქ კი დაკარგულის საძებნელად ნასულს დასდევს მწერალი. იქ დევიდ ლოკი კვდება ვიღაცის ხელით თუ საკუთარი სიცარიელისგან – ეს თქვენი გადასაწყვეტია. მაგრამ იმედი არ გრჩებათ – მან ვერაფერს მიაღწია, სურვილი ვერ აისრულა, ვერაფერი შეცვალა უკეთესობისკენ თუნდაც საკუთარი თავის გაქრობით.

„დღიური", როგორც „პროფესია რეპორტიორი", არის დეტექტივი უსისხლოდ, გარჩევების, სროლისა და ექშენის გარეშე. ყველაფერი ამის საპირისპიროდ – კულტურული და მოწესრიგებულია, ზედმეტად ლაკირებულიც კი ჰონგ-კონგისთვის. და სწორედ აქ იმალება ჩინური ძაღლის თავი, სწორედ ეს ქაოსი, ვითომ მშვიდი ექსტრემი არის სწორედ ის, რომ არაფერი არ ხდება გარდა ერთისა – სან-



დრო დაკარგულია. იცნობთ მას? კითხულობს პოლიციელი „პროფესია რეპორტიორში", როცა ლოკის გვამს აჩვენებს მის ცოლს. ვერა, ვერ ვცნობ – ამბობს ქალი. და ის არ ტყუის. რადგან ეს არც რობერტსონია, რომლის სახელითაც გააგრძელა ცხოვრება ლოკმა, და არც რობერტსონამდელი ლოკი, ეს ის ლოკია, რომელსაც ის არ იცნობდა და უკვე ვერც ვერასოდეს გაიცნობს. ეს არაა ის კაცი, ვისთანაც ის ცხოვრობდა, ეს გმირი ლოკია, რომელიც რისკიან ავანტიურას შეება... და თავისი ყველაზე სუპერ „რეპორტაჟის" კეთებისას დაიღუპა... და რომელმაც გადააბიჯა შიშსა და ერთფეროვნებას. აქ კიდევ ერთი ლიტერატურული ასოციაცია ჩნდება, ამჯერად კამიუს „უცხოსთან", მაგრამ ეს კიდევ სხვა თემაა და სხვაგან წაგვიყვანს.

რა ემართება სანდროს, სად აღმოაჩენს მას კოკა არჩვაძის „კამერა", ლოკის მსგავსად მკვდარს თუ ჯერ კიდევ ცოცხალს და მაინც არჩევანგაკეთებულს, ამაზე წინასწარ არ ვისაუბრებ, ვისაც აინტერესებს, შეუძლია, ეს წიგნი სულ რაღაც 40 წუთში წაიკითხოს. მწერლის ენა მარტივია, ქუჩური. ჩაკ პალანიკის თხრობის სტილს მოგაგონებთ. კიჩია, კი, მაგრამ ასეთი კიჩის შექმნას სხვა უნარი უნდა, რადგან ადვილი არაა ის, რაც გუშინ ფსევდოხელოვნება იყო, დღეს ხელოვნებად აქციო.

ენა მარტივია-მეთქი, ვახსენე. იმდენად მარტივი, რომ წიგნის კითხვის განწყობა გიქრებათ და ისეთი შეგრძნება გაქვთ, თითქოს მესიჯს კითხულობთ, რომელიც უბრალოდ ვრცელია და სახელდახელოდ დაწერილი. „უფრო შორს ვერ გავედი და სოჰოში ვიჯექი გარეთ და ძლივს ვსუნთქავდი. მეთქი, იქნებ სპირტმა მიშველოს. ზედიზედ სამი შოთი მივეცი და ცოტა გაიხსნა სამყარო. ხოდა, ვიღაც ბუდისტი ბერი მოდიოდა და მეთქი – მოდი, კარგია. ჭეშმარიტ ღმერთზე ლაპარაკი არ გამოვიდა, უფრო ფინანსებზე. ბერის სული შეწყალებას ითხოვდა. ჩემი ურთიერთობას. გვერდზე მაგიდიდან სიცილით მითხრეს – He's a fake monk." როგორც ეს ბერი, [illegible] რობაც ფეიკია, გარშემო ყველაფერი [illegible] ბრჭყვინავს და უდარდელად ქანაობს წითელი ჩინური აბაჟურებივით. ალაგ-ალაგ ყურში ცუდად გხვდებათ ზოგიერთი ჟარგონი. მაგალითად, „ძალლობა", როგორც 90-იანების საქართველოს ქურდული სამყაროს სახე.

კამიუ ამბობს: თუ სიცოცხლე აბსურდია, მაშინ ადამიანი, რომელიც რამდენიმე ცხოვრებით ცხოვრობს, უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ის, ვისაც მხოლოდ ერთი სიცოცხლე აქვსო. სანდრო ახერხებს, მეორე სიცოცხლე შეიძინოს. მაგრამ საბოლოოდ რას აღწევს? ავტორი არაფრის აქცენტირებას არ ცდილობს. მოდი, ამაზე მკითხველმა იზრუნოსო, ალბათ ფიქრობს. ტექსტი ორაზროვანია. და იქნებ ამ ორაზროვნებაშია მისი კონკრეტიკა. „ჩინური დღიური" ცდილობს, ამხილოს არა ზოგადად ადამიანი, არამედ ამ დროის ადამიანი. თუ სხვა ამას გროტესკს დაამსგავსებდა, კოკასთან ეს გამოიყურება, როგორც ცხოვრებისეული რეალობა. და არ გტოვებთ უძველესი შეკითხვა – აქვს კი ადამიანს საშუალება, შეცვალოს თავის ბედისწერა? შეცვალოს საკუთარი თავი? ტექსტი მხოლოდ ცდილობს, თქვენი ყურადღება ამ საკითხებს მიაპყროს, თორემ არანაირ პრობლემას ავტორი არ ჭრის და ისევ თქვენ გიტოვებთ არჩევანს, როგორც გინდათ, ისე გაიგოთ ცხოვრებაც, ამ წიგნის სიუჟეტიც და ფინალიც.

ფინალს არ დაგისპოილერებთ-მეთქი, ვთქვი, მაგრამ რაღაც გაგებით შევაფასებ. ესაა პოეტური დასასრული. კოკა არჩვაძე, როგორც ავტორი, ისედაც ლექსებით უფრო გვახსოვდა აქამდე და ამ კინომოთხრობაშიც საბოლოოდ მაინც რაღაცნაირად პოეზია დააყენა წინ. და თუ ამ განწყობით მივუდგებით, ვიგრძნობთ, რომ სანდრო – ესაა ლექსის ლირიკული გმირი, რომელიც თავის პოეტურ ფანტასმაგორიას გაჰყვა, ამ გზაზე გაიყოლა ძმა (ანუ მორჩენილი საკუთარი თავი) და ყველა, ვინც მას ეძებდა. ხოლო პრაგმატულ, რუტინულ აბსურდში მცხოვრები ამ ადამიანების პროზაული მსვლელობა პოეზიაში ჩაბმა, ლექსის გამოდევნება გახდა. ისინი სანდროს სახით ლექსს ენევიან, და თითქოს მეტაფორა ამოიცნესო, თითქოს ირემაძემაც ლექსით გაიგნო გზაო, ყველანი დროებით მაინც სხვანაირნი ხდებიან.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# 5 ბიოგრაფია

## ნელი ბლაი. საუკეთესო ამერიკელი რეპორტიორი

*პირველი პროფესიონალი ამერიკელი მწერალი და რეპორტიორი კარგი წერილისა თუ რეპორტაჟის დასაწერად მარტოდმარტო მთელ მსოფლიოს უვლიდა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც კი დაწვა საკუთარი სურვილით, რათა ასეთი ადამიანების ფსიქიკას ჩასწვდომოდა და თანაც ამ დაწესებულებაში დამკვიდრებული ძალადობისთვის წერტილი დაესვა. თავის წერილებში ფარდას ხდიდა მამაკაცების შოვინიზმსა და საროსკიპოებსა თუ სხვადასხვა სამუშაო ადგილებზე გაბატონებულ ძალადობას.*

*ეპოქაში, როდესაც ყველა დარწმუნებული იყო, რომ ქალები მხოლოდ სამზარეულოში უნდა ფუსფუსებდნენ და ბავშვებს აჩენდნენ, ხოლო კაცის თანხლების გარეშე მოგზაურობა კარგ ტონად არ მიიჩნეოდა, ის სულ მარტო მოგზაურობდა. ერთხელ ეს თავად ჯოზეფ პულიტცერის თხოვნით გააკეთა და 72 დღეში ჟიულ ვერნის ნოველის გმირის ფიქტობრივი რეკორდი მოხსნა.*



### ვინც სწრაფად იზრდებოდა, ის...

რეპორტიორი, რომლის სახელი და გვარი იყო ელიზაბეტ კოხნარი, 1864 წლის 5 მაისს, პენსილვანიის შტატში დაიბადა. მამამისს, მიხაილს, წისქვილი და მის ირგვლივ მიწები ჰქონდა. მოგვიანებით ამ ადგილს კოხნარის წისქვილი ეწოდა. ოჯახის უფროსის სამეწარმეო ნიჭის წყალობით ნელისა და მის და-ძმას კარგი ბავშვობა ჰქონდათ.

იდილია მალე დასრულდა: როდესაც ელიზაბეტი 6 წლის გახდა, ბატონი კოხნარი მოულოდნელად გარდაიცვალა, ისე, რომ ანდერძის დაწერაც კი ვერ მოასწრო. ეს გასაგებიცაა: ელიზაბეტის დედა, მარი ჯეინი, მისი მეორე ცოლი იყო და მასთან „მხოლოდ" ხუთი ბავშვი ჰყავდა. ამიტომ მთელი მისი ქონება ეკუთვნოდა მის პირველ ცოლს და ათ შვილს, მარის კი თავად უნდა გამოემუშავებინა თავისი ბავშვების საკვები ფული. ქალმაც ალბათ იფიქრა, რომ ეს შედარებით გაუადვილდებოდა, თუ მის გვერდით მამაკაცი აღმოჩნდებოდა და ამიტომ კვლავ გათხოვდა. სამწუხაროდ, მისი ახალი ქმარი დიდად შრომისმოყვარე არ აღმოჩნდა, დილიდან საღამომდე ბურნასავით სულ ღვინოში იხრჩობდა თავს და ნაცვლად მიხმარებისა, ცოლის წვითა და დაგვით გამომუშავებულ ფულს ხარჯავდა.

სახლში ძალადობის აქტებმაც იმატა. საბედნიეროდ, მარი სულაც არა ფიქრობდა ზერწნი მსხვერპლი ყოფილიყო. მან, პენსილვანიაში ერთ-ერთმა პირველმა ქალმა, გადაწყვიტა ქმარს გაჰყროდა. და მან ეს დიდწილად ელიზაბეტის წყალობითა და დახმარებით მოახერხა, რომელმაც თავისი მუქარით მამინაცვალი დააშინა.

ელიზაბეტი რთული ოჯახური ვითარების გათვალისწინებით იძულებული გახდა დროზე სწრაფად „გაზრდილიყო“ და დედას ბავშვების აღზრდაში მიხმარებოდა. მან მეცადინეობა დაიწყო, რათა მასწავლებლობა შეძლებოდა – ეს ერთ-ერთი ის პროფესია იყო, რომლის შესრულებაც მაშინ ქალს ხელეწიფებოდა. სამწუხაროდ, სწავლა ფინანსური გაჭირვების გამო მალევე შეწყვიტა.

## ობლობიდან რეპორტიორობამდე

ოჯახი 1880 წელს უკეთესი ცხოვრების ძიებაში პიტსბურგში გადასახლდა. 1885 წლის იანვარს ადგილობრივ ჟურნალში „პიტსბურგის ცნობები“ ელიზაბეტმა წაიკითხა უილსონის სტატია და კინაღამ გაგიჟდა. ჟურნალისტი თავისი სტატიით, რომლის სათაურიც იყო „რა სარგებლობა აქვთ გოგოებს“ ("What Girls Are Good For") ომს უცხადებდა სუფრაჟისტების (ქალთა გამოსვლები საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცეს დასაწყისში ინგლისსა და ამერიკაში) მოძრაობას. უილსონი ამტკიცებდა, რომ ქალები ძირითადად უნდა იყვნენ მეუღლეები და დედები, იტრიალონ საოჯახო კერიის ირგვლივ და სულაც არ ინტერესდებოდნენ „მამაკაცური საქმეებით“. ელიზაბეტი განსაკუთრებით შეაძრწუნა ავტორის განცხადებამ იმის შესახებ, რომ თითქოს ის ქალები, რომლებიც მუშაობენ, არიან „მონსტრები“, ბუნებასთან რაღაც შეუსაბამო არსებები.

ამის საპასუხოდ მან დაწერა წერილი, რომელშიც დაუმურებლად გააკრიტიკა სტატიის ავტორი და განაცხადა, რომ ზოგიერთი ქალი, ისეთი, როგორიც მაგალითად, ის, იძულებულია სამუშაოდ გავიდეს, რათა მისი ოჯახის წევრები შიმშილით არ დაიხოცონ. წერილს ხელი მოაწერა, როგორც „მარტოსული ობოლი“ და რედაქციაში გაგზავნა.

წერილის მდიდარმა ლექსიკამ და დაკვირვებათა სიღრმემ ჟურნალის რედაქტორის ყურადღება მიიპყრო. მან წერილიც დაბეჭდა და შემდგომ ნომერში განცხადებაც განათავსა იმის შესახებ, რომ წერილის ავტორი მასთან შესახვედრად მისულიყო. ეს შეხვედრა მართლაც შედგა და მცირე საუბრის შემდეგ რედაქტორი დარწმუნდა, რომ ქალბატონ კოხნარს მისი გაზეთისათვის დიდი სარგებლის მოტანა შეეძლო. მან ქალს აღნიშნული [illegible]ით კიდევ ერთი წერილის დაწერა დაავალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ფელეტონი „ქალთა კროსვორდი“ მკითხველს იმის შესახებ მოუთხრობდა, რაც ავტორმა იცოდა ქალებზე განქორწინების შედეგებზე. წერილი მკითხველმა კარგად მიიღო, ამიტომ რედაქტორმა ელიზაბეტს მუდმივი თანამშრომლობა შესთავაზა. თუმცა ელიზაბეტი ყოყმანობდა. მას არ სურდა გამუდმებით ეწერა მოდის, ჩაის სმის და ბაღჩა-ბაღების მოვლის შესახებ. არადა, მისგან სწორედ ამ სახის წერილებს ელოდნენ. ამიტომ მან რედაქციას პირობა წაუყენა, რომ გაზეთში ის მხოლოდ სოციალურ საკითხებს გააშუქებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვაგან გადაეიდოდა სამუშაოდ.

რედაქტორი დათანხმდა ელიზაბეტის მიერ შემოთავაზებულ პირობებზე, თუმცა ერთი შესწორებით – ავტორს წერილები ფსევდონიმით უნდა გამოექვეყნებინა. იმ ეპოქაში ქალს არ შეეძლო პრესაში საკუთარი გვარით წერილების დაბეჭდვა.

ელიზაბეტ კოხნარმა ერთი ხალხური ლექსი გაიხსენა და ახალი ფსევდონიმი „ნელი ბლაი“ იქიდან ისესხა.

მალე გაირკვა, რომ ნელი ძალზე ძვირფასი განძი იყო რედაქციისათვის. მისი პირველი სერიოზული დავალება იყო წერილების სერიის დაწერა ფაბრიკის მუშა ქალების ცხოვრებასა და შრომაზე. მათ გაცილებით დაბალი ანაზღაურება ჰქონდათ, ვიდრე მამაკაცებს, უფროსები ხშირად ამცირებდნენ და ძალადობდნენ მათზე. და მიუხედავად იმისა, რომ ნელიმ ტექსტი პრობლემის კარგად შესწავლის შემდეგ დაწერა, ის მაინც ყველას არ მოეწონა. რედაქტორმა შენიშნა, რომ გაზეთში ძველებურად აღარ მოდიოდა რეკლამები. ისიც გაირკვა, რომ რეკლამებს ძირითადად იმ ფაბრიკების მეპატრონეები იძლეოდნენ, რომელთა შესახებაც ნელი წერდა.

და რათა არასასურველი ჟურნალისტი თავიდან მოეშორებინა, და ამავე დროს მისი ნაწერებით კვლავაც ესარგებლა, ჯერ კიდევ 21 წლის ჟურნალისტი მექსიკაში გაგზავნა კორესპონდენტად. ნელის იქიდან გამოგზავნილი ტექსტები მალე ამ ქვეყნის პრეზიდენტის, პორფირიო დიასის კრიტიკად იქცა. როდესაც მექსიკის ხელმძღვანელობამ გაიგო, რომ ნელი ქვეყნის მთავრობაში არსებული ძალადობის შესახებ წერდა, ჟურნალისტი იძულებული გახდა შეერთებულ შტატებში გაქცეულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ციხეში გამოკეტავდნენ. სამშობლოში მას გაცოფებული რედაქტორი ელოდა, რომელმაც ნელი ქალთა მდგომარეობის შესასწავლად გაგზავნა და არა პრეზიდენტის საკრიტიკოდ. მაგრამ არც ნელი აპირებდა ერთ ადგილას დიდხანს ჯდომას.

## „ათი დღე საგიჟეთში“

ნელი ბლაის სწორად მიაჩნდა, რომ ადრინდელი პუბლიკაციები მას შესაძლებლობას მისცემდა სამსახური ეშოვა იმ ქალაქში, სადაც მას გაცილებით მეტი თავისუფლება ექნებოდა. ამიტომ გადავიდა ის 1886 წელს ნიუ-იორკში, სადაც მოეწყო გაზეთ „ნიუ-იორკ ვორლდში“, რომლის მთავარი რედაქტორი იყო ჯოზეფ პულიტცერი. ნელიმ გაზეთში მეტად რთული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავალების შესრულება იკისრა. კერძოდ, მან გაიგო, რომ ფსიქიურად ავადმყოფებისათვის განკუთვნილ სახლში კუნძულ ბლექვილში ხშირი იყო ავადმყოფებზე ძალადობის შემთხვევები. მას რომ ამ თემაზე კარგი წერილი დაეწერა, საიმედო ინფორმაცია უნდა მოეპოვებინა. მისი აღება კი მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, თუ თავად მოხვდებოდა საგიჟეთში. ეს აზრი გაზეთის მდივანსაც გაუზიარა, თუმცა ეს უკანასკნელი ნაკლები ენთუზიაზმით მოეკიდა ამ საქმეს. უფრო მეტიც: მთავარ რედაქტორთან შევიდა და განუცხადა, რომ რადგან ამ ქალს წერილის დასაწერად საგიჟეთში მოსდომებია გამოკეტვა, თავადაც გიჟიაო. მისდა გასაოცრად რედაქტორსაც მოეწონა ნელის გადაწყვეტილება.

ნელი რამდენიმე დღე ემზადებოდა სარკის წინ, რათა მართლა ჭკუაზე გადასულ ადამიანს დამგვანებოდა. თან ქალაქის ყველაზე ღარიბ უბანში გადასახლდა და მეზობლებთან რაღაც სისულელეების მოყოლა დაიწყო, რითიც დაარწმუნა ისინი, რომ ნამდვილად ჭკუასუსტ ქალთან ჰქონდათ საქმე. ბოლოს იმდენი ქნა, რომ მეზობლებმა პოლიცია გამოიძახეს, რომელმაც „შეშლილი" ქალი კუნძულ ბლექვილის საგიჟეთში მოათავსა. ექიმებმა დაადასტურეს ფაქტი, რომ ქალი ნამდვილად ფსიქიურად შეშლილი იყო.

ამ დაწესებულების ექიმთა დონესა და ამავდროულად ნელის სამსახიობო ტალანტზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ სამი გამომცდელი ექიმიდან ვერცერთი ვერ მიხვდა, თუ რა სიმულაციასთან ჰქონდა საქმე. ამრიგად, ნელი ამ დაწესებულების პაციენტი გახდა და საკუთარ ტყავზე გამოსცადა ის, რაც ყურმოკვრით იცოდა. ჭორები ამ საავადმყოფოს შესახებ სრული სიმართლე აღმოჩნდა.

დაწესებულებაში არაადამიანური პირობები იყო შექმნილი – საშინლად ციოდა, პალატებში ვირთხები დასრიალებდნენ, ხოლო პაციენტებს აყროლებულ საჭმელსა და სუნიან წყალს სთავაზობდნენ. ექიმები შუასაუკუნეების მკურნალობის მეთოდებს მიმართავდნენ. მოგვიანებით ნელი რეპორტაჟში წერდა: „ექთნები გვცემდნენ ცოცხით და ზურგზე გვდგებოდნენ. ერთ დღეს ცემისაგან კბილიც კი ჩამიმტვრიეს. მიგრეხავდნენ ხელებს, მირტყამდნენ ნიჩლებს, ზეწარს დახრჩობამდე მახვევდნენ ყელზე, რათა არ მეყვირა. შემდეგ მაგდებდნენ საშხაპეში, სადაც ყინულივით ცივი წყალი მელოდებოდა. იქ იმდენ ხანს მაჩერებდნენ, ვიდრე არ დავწყნარდებოდი. ამის შესახებ ვერც ექიმებთან ვჩიოდით, რადგან ექთნები გვაშინებდნენ: თუ ასე მოვიქცეოდით, მომავალში უფრო უარეს დღეს დაგვაყრიდნენ".

როდესაც საკმარისი მასალა შეაგროვა, თავისუფლება მოისურვა. ამ მიზნით ის შეეცადა სამედიცინო პერსონალის დარწმუნებას, რომ უკვე სრულიად ჯანმრთელი იყო. უშედეგოდ. მას არავინ არ უსმენდა. „საგიჟეთი კუნძულ ბლექვილზე ნამდვილი მახეა. იქ მოხვედრა ძალზე ადვილია, გამოსვლა კი შეუძლებელი" – ვკითხულობთ ნელის წიგნში „ათი დღე საგიჟეთში".

როდესაც ათი დღის შემდეგ პულიტცერმა თავისი ნაცნობობის წყალობით შეძლო ჟურნალისტის კუნძულიდან გამოხსნა, ნელი ისე ცუდ მდგომარეობაში იყო, რომ რედაქტორმა შვებულებაში გასვლა და დასვენება შესთავაზა. მაგრამ ეს წინადადება ნელიმ უარყო: ის იმიტომ კი არა მჯდარა ჯოჯოხეთში, რომ ასე დაგვიანებით აღეწერა იქაური ამბები.



ნელის რეპორტაჟებმა მალე წიგნის სახე მიიღო, რომლის სათაურიც გახდა „ათი დღე საგიჟეთში". წიგნი არა მხოლოდ რიგითმა მკითხველმა გამოარჩია, არამედ ნიუ-იორკის ხელისუფლებამაც ყურადღება მიაქცია. ბლექვილის კუნძულზე გაგზავნეს მრავალი კომისია და მაკონტროლებელი, რომელთა დასკვნების საფუძველზე დაწესებულება დაკეტეს, ხოლო მისი თანამშრომლები სასამართლოს წინაშე წარსდგნენ.

პროცესზე ერთ-ერთი მთავარი, ასე ვთქვათ, „ოქროს მოწმე" ნელი იყო. ჟურნალისტმა ქალმა ყურადღება მხოლოდ იმაზე კი არ გაამახვილა, თუ როგორ ცუდად ექცეოდნენ პაციენტებს, არამედ იმაზე, რომ ბევრი ექიმი თუ ექთანი თავად იყო „ფსიქიურად შეშლილი"; კუნძულ ბლექვილზე ხშირად ხვდებოდნენ საზოგადოებისათვის გამოუსადეგარი ქალები, რომლებიც თავიანთი ოჯახისა თუ ქმრებისათვის ზედმეტ ტვირთად ქცეულიყვნენ.

ნელი ბლაის მოღვაწეობის შედეგი მხოლოდ დაწესებულების დახურვა არ ყოფილა. მის წერილებს მოჰყვა დამატებითი საზოგადო სახსრების გადასროლა ფსიქიურად დაავადებული ადამიანების სამკურნალოდ.

## 72 დღე მსოფლიოს გარშემო

კუნძულ ბლექვილში მომზადებული რეპორტაჟების წყალობით ნელი მყარად დამკვიდრდა გაზეთ „ნიუ-იორკ ვორლდში", მაგრამ ის მაინც მოუსვენრად იყო და ახალ თავგადასავლებს ეძებდა. ჟიულ ვერნის წიგნის, „80 დღე მსოფლიოს გარშემო" წაკითხვამ მას ახალი მოგზაურობისა და რეპორტაჟების მომზადებისაკენ უბიძგა. მან განიზრახა მოეხსნა პილ ფოგის ფიქტიური რეკორდი და დედამიწის სფეროსთვის უფრო სწრაფად შემოევლო გარს. როდესაც პულიტცერმა თავისი თანამშრომლის მორიგი ნამოწყების შესახებ გაიგო, თავზე ხელი შემოიკრა. ასე ეულად მოგზაური ქალი 1888 წელს საყოველთაო აღშფოთებას გამოიწვევდა. მაგრამ რედაქტორს ინსტინქტი კარნახობდა, რომ ნელის ეს მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო მის გაზეთს ბრწყინვალე რეკლამას გაუკეთებდა. მან არა მხოლოდ მხარი დაუჭირა ნელის განზრახვის შესრულებაში, არამედ ურჩია კიდეც, რომ გზაში არავითარ ხარჯს არ დარიდებოდა. და მაშინ, როდესაც საშუალო ამერიკელი წელიწადში 800 დოლარს გამოიმუშავებდა, მან ნელის 200 გირვანქა სტერლინგი გამოუწერა (დაახლოებით 1000 დოლარი). ამასთან დაავალა, რეპორტაჟები შესაძლებლობისდა მიხედვით, რაც შეიძლება, სწრაფად ეგზავნა.

ახალგაზრდა რეპორტიორის მოგზაურობის შესახებ ხმა მანამდე გავარდა, ვიდრე ის ნიუ-იორკს დატოვებდა. კონკურენტებს არ ეძინათ – გაზეთმა „კოსმოპოლიტენმაც" გადაწყვიტა თავისი ჟურნალისტის, ელიზაბეტ ბისლანდის გაშვება სამოგზაუროდ. მას დავალებული ჰქონდა ნელისთვის დაესწრო.

მოგზაურობაში ნელის ბევრი არაფერი წაუღია – მხოლოდ ერთი ჩემოდანი ჰქონდა თან, როდესაც გემ „აუგუსტა ვიქტორიაზე" ავიდა. მაშინ, როდესაც იმ ეპოქის ქალბატონები სამკაულების, ტანსაცმლისა და ხელსაცხებლების მთელი არსენალით მოგზაურობდნენ, ნელის მოკრძალებული ბარგი თითქმის სენსაციად აღიქმებოდა.

ბლაი მოგზაურობდა მატარებლით, რიქშით, გემით. მან მოირა ინგლისი, საფრანგეთი, ცეილონი, ჩინეთი, იაპონია და სინგაპური. სინგაპურში მან მაიმუნი შეიძინა. ის ხშირად აგზავნიდა კორესპონდენციებს თავისი მოგზაურობის შესახებ „ნიუ-იორკ ვორლდსი". გაზეთის მკითხველები კი მოუთმენლად ელოდნენ ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას. პულიტცერმა კონკურსიც კი გამოაცხადა და ჯილდოს დაპირდა იმ მკითხველს, ვინც ზუსტად გამოიცნობდა იმ დღესა და საათს, როცა მისი თანამშრომელი თავის დავალებას დაასრულებდა. გამარჯვებული ევროპაში მოგზაურობით დაჯილდოვდებოდა.

ნელიმ მოგზაურობა დაგეგმილზე ორი დღით გვიან, 25 იანვარს დაასრულა. დაგვიანების მიზეზი გახდა წყნარ ოკეანეში ამოვარდნილი ქარიშხალი. ჯოზეფ პულიტცერი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ჟურნალისტს თავისი მიზანი დროზე დაესრულებინა. ექსპრესი, რომელსაც „მის ნელი ბლაი" ეწოდებოდა, ბოლო სადგურში მივიდა სტარტიდან 72 დღის, 6 საათისა და 11 წუთის შემდეგ. გაზეთ „კოსმოპოლიტენის" მიერ დაფინანსებულმა ჟურნალისტმა კი ამას 4 დღით მეტი მოანდომა.

## ქორწინება ომის შემდეგ

სამშობლოში დაბრუნებულ ნელის, როგორც გმირს, ისე შეეგებნენ. მან მოგზაურობის შესახებ, როგორც აღვნიშნეთ, წიგნიც დაწერა, მაგრამ წარმატებები მის მატერიალურ მდგომარეობას არ დასტყობია. ნელი დაფასებას ვერ გრძნობდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ის სხვადასხვა მამაკაცის მიერ შეთავაზებულ მატრიმონიალურ წინადადებებს აქამდე ჯიუტად უკუაგდებდა, თავისი ისტორიული მოგზაურობიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, 1895 წელს, თანხმობა განუცხადა თავისზე 42 წლით უფროსს, მილიონერ რობერტ სეამანს.

ცნობილი არაა, თუ როგორ გაიცნო წყვილმა ერთმანეთი. ზოგი წერს, ბანკეტზეო, ზოგი – მატარებელშიო. სამწუხაროდ, ფინანსური მაგნატი ამის შემდეგ მალევე დაავადდა და იმქვეყნად წერილი წაიღო. მისი ბიზნესი (ძირითადად სამზარეულოს ტექნიკის წარმოება) ნელის დარჩა. თუმცა გამოუცდელობისა და ბიზნესის კანონების უცოდინრობის გამო, ბლაი მალე გაკოტრდა.

ბედს ენება, რომ ნელი ჟურნალისტიკას დაბრუნებოდა. ამასთან, მან რეპორტიორობას კვლავ მოჰკიდა ხელი მეტად საინტერესო დროს: როდესაც ის მეგობართან შვებულებას ატარებდა ავსტრიაში, სწორედ ამ დროს ატყდა მსოფლიო ომი. და სულ მალე ნათელი გახდა, რომ ნაცვლად დასვენებისა, მას მორიგი სარისკო დავალებების შესრულება მოუწევდა.

ბლაი გახდა პირველი სამხედრო კორესპონდენტი ავსტრიასა და სერბეთს შორის. ის დააპატიმრეს და დიდი ბრიტანეთის სასარგებლოდ ჯაშუშობა დასდეს ბრალად. ნელი მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც საქმეში „ნიუ-იორკ ივნინგ ჯორნალის" რედაქცია ჩაერია, სადაც ნელის საკუთარი რუბრიკა მიჰყავდა. მისი წერილები ეხებოდა სუფრაჟისტების მოძრაობას. მან აღწერა 1913 წელს მოწყობილი ქალთა გამოსვლები და კვლავ სკანდალში გაეხვია, რადგან თავისი წერილი ასე დაასათაურა: „სუფრაჟისტები მამაკაცებზე მაღლა დგანან".

ნელი ბლაი 1922 წლამდე მოღვაწეობდა; ამ წელს მას ფილტვების ანთება დაემართა და 57 წლისა ან ანთებამ გადაიყოლა კიდეც. დასაფლავების დღეს „ნიუ-იორკ ივნინგ ჯორნალმა" მას წერილი მიუძღვნა და ის, როგორც ამერიკის პირველი რეპორტიორი ქალი, ისე მოიხსენია.

*მოამზადა ამბროსი გრიშიკაშვილმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 6 თარგმანები

## მიხაელ გუტენბრუნერი - ლეოპარდი



*ცნობილი ავსტრიელი მწერალი მიხაელ გუტენბრუნერი 1919 წელს დაიბადა ალტჰოფენში. 1937 წელს იგი ვენაში გრაფიკის შესწავლას შეუდგა, მაგრამ სოციალ-დემოკრატიული იდეების დაცვა-პროპაგანდისთვის სასწავლებლიდან გარიცხეს და დააპატიმრეს კიდეც. 1940 წელს, როგორც ვერმახტის ჯარისკაცი, მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს. 1944 წელს ოფიცრის შეურაცხყოფისთვის სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა, მაგრამ შეიწყალეს. ომის მერე ავსტრიის პოეტური სცენის იმდენად მნიშვნელოვანი წარმომადგენელი გახდა, რომ 1954 წელს გეორგ თრაკლის პრემია მიენიჭა. მომდევნო ათწლეულებშიც არაერთხელ აღინიშნა მისი, როგორც გამორჩეული მწერლის, დამსახურება, 1995 წელს კი ვენის ღირსების ოქროს მედალი მიენიჭა. გუტენბრუნერი თავისუფალი ქვისმთლელი იყო და როგორც მისი ლექსების პოეტიკა, ისე შინაარსი (ეს განსაკუთრებით მის გვიანდელ შემოქმედებაზე ითქმის) ხშირად იქსოვებოდა რიტუალური და მისტიკური სიმბოლიკით. გუტენბრუნერის შემოქმედებაში ერთ-ერთი ცენტრალური თემა ძალაუფლების ფენომენია. როგორც ცნობილი ავსტრიელი კრიტიკოსი და რედაქტორი კარლ მარკუს გაუსი აღნიშნავს, გუტენბრუნერთან ერთმანეთისგან არ განირჩევა კარგი და ცუდი ძალაუფლება, ნებისმიერი ძალაუფლება თანაბრად უარყოფითია და იმსახურებს იმას, რომ მასში შესვლა აკრძალვას დაექვემდებაროს („ძალაუფლების ნაკრძალი", ასე ჰქვია ავტორის ერთ დიდ, რამდენიმეტომიან პროზაულ პროექტს). მწერალი 2004 წელს გარდაიცვალა, სულ ცოტა ხნით ადრე, ვიდრე მას თეოდორ კრამერის ლიტერატურული პრემია გადაეცემოდა.*

როცა ლეოპარდიმ ტასოს საფლავი ნახა,ატირდა, რადგან საფლავი ღარიბული იყო. ამასთან, ტასოს სიდიადესა და მის უბრალო აზრებს შორის კონტრასტი ლეოპარდისთვის ამ სიდიადის ნაწილი იყო. იგივე განცდა გვეუფლება, როცა ლეოპარდის ღარიბულ ცხოვრებასა და მის ხელოვნებას გადავავლებთ თვალს. ფაბრიკის ხმაურითა და რომის დიალექტით სავსე სატვირთო გზა ტასოს საფლავს ჩაუვლის და სანტ ონოფრიოსკენ მიემართება. ლეოპარდისა და მისი ლექსებისკენ სავალი გზა სატვირთო გზაა. მან თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი სოფელში გაატარა. მისი კარის წინ სოფელი იმლებოდა, სახნავი მიწა და ვერანი მინდორი. ნეები, ვაზი, ლელიანი, ყველგან ლელქაში, ჭილში ამოზრდილი იისფერი მანანით აქა-იქ დაფარული გორაკები. როცა სამუშაოდან თავს ასწევდა, როცა სეირნობდა, მიწას და ცას ხედავდა. ხედავდა ხნულთა მოციმციმე ძაფებით დასერილ მიწას, გადახნული მინდვრების მართკუთხედებს, ოფლით გაჟღენთილს, მოსავლით კურთხეულს. ხედავდა ბნელი, წარმართული გრძნობით გათანგულ მიწას. ან იმას ხედავდა, როგორ ცოცხლდებიან და გიზგიზებენ უხსოვარ დროს გაქვავებული ცეცხლის ენები. გლეხი მიწას ჰგავს – მიწას, რომელშიც უხვად და თანაბრად ან მწირად და უსწორმასწოროდ არის ჩაყრილი თესლი. აქ იშვიათია გლეხი, რომელიც სარჩოს საკუთარ მიწაზე მოიწევს. აქ უმრავლე-



სობა დღიური ჯამაგირის შემყურე დაქირავებული მუშაა და სხვადასხვა საქმით ირჩენს თავს. მაგრამ თითქმის ყოველ მათგანს აქვს პერგოლა და რამდენიმე ხე. ტოტებს ხერხმომარჯვებულები ათვალიერებენ და ყოველი ნასკვი დათვლილია. აქ ადამიანი ძონძებით შემოსილი ბრინჯაოა – კაცი a la Donatello. მიდის, მინაზე მიაბიჯებს, მხარზე სამუშაო იარაღი აქვს გადებული, მუშტში ხელკეტი უჭირავს. ლეოპარდი ხედავს, როგორ მოედება შავ მინას მეწამული განთიადის ბნელი სხივი, ღამე გადაივლის და დღის კონტურებიც მოირღვევა. კიდევ ცოტა და... ჩიტებს სძინავთ, ფოთლები შრიალებენ. უხილავი ბორბალი ჭრიალებს. მინა ცვარს სვამს. სამუშაოზე შეყოვნებული მუშა შინ გვიან ბრუნდება, მიაბიჯებს და მღერის. ვიღაც მარტოა და მუშის სიმღერა ესმის, გული ეკუმშება, უხმოდ მღერის გამშრალი ყელით, შეგვიანებული მუშის სიმღერას ეხმიანება, რომელიც მხოლოდ მის გულში გაისმის ექოდ. ლეოპარდისთვის მისი ათეიზმი ვერაფერი ნუგეში იყო. ის არც იმ დროის ოპტიმიზმს მოუტყუებია, რომელშიც ცხოვრობდა. ის ჭვრეტდა ძველის გროვებსა და ახლის ილუზიებს შორის მომწყვდეული ადამიანების ბედს, თავად მას კი, საითაც არ უნდა ებრუნა პირი, ზურგში მისძახოდა ბედი ერთსა და იმავეს: „შეჩერდი! დაბრუნდი!“

ადამიანი, სისხლისა და ხორცისაგან შემდგარი, მიწის წიაღიდან ამოღებული მადანია, რომელსაც ხმა აქვს. ჩვენს წინაშე სკულპტურაა. მისი რკინის პირიდან კი სიმღერა იღვრება. ჩვენ გვგონია, რომ გვესმის ქარის ფშვინვა, მუქის ციალი, ჩრდილის სიამე, ლოცვის ჩურჩული, მშვიდობის ღუღუნი. ამ დროს კი შეპყრობილები ცერთ „რყევით, კვნესით, იძულებით, წყვეტით, ნამდვილი ვნებით“ ასე მხოლოდ ადამიანის სულს შეუძლია კვნესა და კანკალი. დღე და ღამე ბუნების მთავარი სიდიდეა – უბადლო, უებრო, ყოვლის განმსჭვალავი და, უწინარეს ყოვლისა, ყოვლის დამფარავი. ლეოპარდის ცხოვრებაში მოქმედებს ძალა, ისეთივე ერთიანი და ურთიერთგამომრიცხავი, როგორიც ცეცხლთან შედუღებული ყინულია, რომელიც განაგებს მის უწყვეტ სვლას ნაკლებისგან არაფრისკენ და – პირიქით. ეს არის თავში ჩარტყმული ურო, გულისრევა, რომელიც მთელ შინაგანს შეძრავს. აქ ერთ-ერთი ჩვენგანი დგას – ის, ვინც დაიბადა იმისთვის, რომ სიცოცხლე არ ჰყოფნიდა და ეს ეთქვა. მისი ყოველი სიტყვა მიუსაფრობისკენ გადადგმული ნაბიჯია, ახდილი ჭერია. არავითარი დაცულობა, ჰერმეტულობა, მეტისა და ნაკლების თანმიმდევრობა, არავითარი ისტორიული პროგრამა და არტისტული სივრცე, ფორმისა და მატერიის არჩევა. და არავითარი თავისუფლება ცხოვრებაში, ისევე, როგორც თეორიასა და ისტორიაში, „შემოქმედებითი თავისუფლების“ დეკლარირება და ამ განაცხადით თეორიასა და პრაქტიკაში შეჭრა, მათი ფორმირების მცდელობა. ლეოპარდი არის ის, რასაც „შემდგარი ფაქტი“ ეწოდება. რასაც ჩვეულებრივ განთიადის ნათელი ჰქვია, მისთვის ნოემბრის ნისლიანი დილა იყო, მეორე ღამის დასაწყისი. ლექსი და სიმართლე მასიურ მთლიანობას ქმნიან. ყოველი ლექსის თემა და დინამიკა ისეთივე მკაფიოა, როგორც – მთა და ველი, როგორც – ზღვის ნაპირი. მისი ხელიდან არ გამოდის რთული სახელოვნებო ტექნიკით შექმნილი ლექსი. აქ აკაკუნებს გასაჭირი, ტკივილი უფრო დიდი ოსტატია. თავგანწირული დარტყმებით იქმნება რაღაც – ისეთივე პირდაპირი, როგორიც მიზნისკენ გასროლილი ისარია, როგორიც გულისთქმაა, როგორიც არის „ნადილის სიმღერა, შეუცვლელი მელოდია“.

მისი სკოლის თაღებს სვეტები ამაგრებს. სვეტებს სახელები ჰქვიათ: პინდარე, პეტრარკა, პარინი, დანტე, ტასო, ფოსკოლო. საკმარისია. ლეოპარდი ფილოლოგი იყო. სიტყვების დიდი ნიაღვარი, რომელმაც მისი უმართავი შესაძლებლობიდან ამოხეთქა, არასდროს დაშრეტილა და ხელოვნების ენა გრძნობების ენას დაექვემდებარა. მისი შესაძლებლობების ველი ყველაფერს იტევს: ამაღლებულიდან იდეალურამდე, ინტიმურიდან აპოსტროფულამდე, რიტორიკიდან პასტორალამდე, ამაღლებული ტრაგიზმიდან რეზიგნატივამდე. ამასთან, მისი სიმღერების წიგნი (Canti) და ამ წიგნში შეტანილი ყოველი სიმღერა სავსეა უბრალოებით. ამ თვისებას ინარჩუნებს დიდი, უხვად დეკორირებული, ჩამწვდომი ჟღერადობის წინადადებებიდან მოკლე, ცოცხალ, მოქნილ ფრაზაზე ყოველი გადასვლა. ტაეპთა უმრავლესობა თერთმეტმარცვლიანია, ხშირად გადადის რვა და შვიდმარცვლიანში. მათი ძუნწი რითმა, მკაცრი წყობის გარეშე, თავისთავად გრაციოზულია. იგი გაურბის ენის „წყალობას“, გარბის ხელშესახებ ქმნადობაში მაშინ, როცა შინაარსი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. იტალიური პასტორალის რითმა

პირველქმნილთან არის ნაზიარები, რაც იმას ადასტურებს, რომ იტალიელი პოეტი უფრო ახლოს დგას დასაბამთან. რითმა შინაარსის სიღრმიდან მოდის და არა გარსიდან, არა ნაჭუჭიდან. ლეოპარდის ლექსიც ასეთია. ლექსის წყობა და წინადადების წყობა მის პოეზიაში ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს, შეთანხმებულად მოქმედებენ. სტილი უზადო და დახვეწილია, პირველსახე შენარჩუნებულია. ტემპერამენტი აყალიბებს ჟღერადობას, შინაარსი – ტაქტს, სინტაქსი გაძაგებს როგორც გრძელ და მძიმე, ასევე მოკლე და მსუბუქ კონსტრუქციებს, წინ არ ეღობება ჭეშმარიტებას, არ აშენებს სიცარიელეში. ასე იქმნება ჰარმონია. „ის ამაღლდება და გაქრება, აივსება და მიიქცევა", მოძრაობა მუდამ სახეზეა, მას ძირისძირში ვხედავთ. გრძელ, დახლართულ, მუდამ თავიდან წამოწყებულ, ვნებით ზემიმართულ მონაკვეთებს ცვლის მოკლე, ერთმარცვლიანი. ყოველი ცალკეული მოტივის შესაბამისი პერიოდები. ყოველი ლექსი კი თითქოს ნაზავია მტკივნეული თვითგანცდის მატერიალური წინაპირობისა და – უნივერსალურში, როგორც ისტორიულში, ასევე იდუმალ დასაბამში მოხეტიალე ფიქრებისა, რომლებიც ავტოპორტრეტს სამყაროს სახედ აქცევენ. ასეთია მათგან შემდგარი წიგნი. მელოდიურობის, თანხმიანობის, სისავსის, მოქცევისა და მიქცევის მშვენიერება ერთნაირად აყალიბებს სტროფის ზომასა და რითმულ რიგს. ეს ჰარმონია, თანხმიანობა ყველგან ჩაგვესმის, ამ ლექსთაგან თითოეულში: „მიძღვნა დის, პაულინას, ქორწილისადმი", „გაზაფხულისადმი", „საფოს უკანასკნელი სიმღერა", „პირველი სიყვარული", „მარტოსული შაშვი", „უსასრულობა", „საღამო დღესასწაულის მერე", „მთვარისადმი", „სიზმარი", „მარტოობა", „შეყვარებულს", „სიმშვიდე ქუხილის მერე", „მწყემსის ღამეული სიმღერა აზიის მინაზე ხეტიალისას", „უქმე დღე სოფელში", „სიყვარული და სიკვდილი", „წარწერა ძველი საფლავის ქვაზე", „ლამაზმანის პორტრეტისადმი", „მთვარის ჩასვლა", „მანანას ყვავილი".

ლეოპარდიმ, ბურჟუაზიული და ინდუსტრიული რევოლუციის თანამედროვემ, განჭვრიტა, რომ სამყაროს კარიკატურა მის ნამდვილ სახედ იქცევა და ამ სახით განაგრძობს არსებობას. ძველი, მირონცხებული, შენიღბული, მანტიამოსხმული ძალაუფლების ადგილს დაიკავებს არანაკლებ გამანადგურებელი ძალა – მანქანები, ინდუსტრიული საქონლის მწარმოებლები და მომხმარებლები. მათი იდეალების დასამკვიდრებლად ახალი ომები დაიწყება, ახალი განსაცდელი მოვა. კულტურპესიმისტმა სწორად დაინახა და იწინასწარმეტყველა. ადამიანის გენია ანუ საუკეთესო მასში მოიკვეთა და განიდევნა. მსხვერპლის შელახული ღირსება და მისი ტკივილი არავის ეხება, არავის ესმის.ლეოპარდის ცნობიერებას არა მხოლოდ მისი პირადი ცხოვრებისეული გასაჭირი და წარსულის ნგრევით გამოწვეული განცდა განაპირობებს. თვით მომავალი არის ხელყოფილი და შერყვნილი. ეს მისი კრიტიკული ცნობიერებაა. კრიზისის განცდა ლეოპარდის უფრო ადრინდელ ფოსკოლოსთან აკავშირებს, თუმცა ის არ იზიარებს ამ უკანასკნელის იმედებს. „მეცნიერება მხოლოდ სიცარიელეს აძლევს გასაქანს" – ასე ჟღერს მისი კრიტიკული ხედვა ავტობიოგრაფიული ხასიათის სიმღერაში „ანჯელო მაისადმი, როცა მან აღმოაჩინა ციცერონის ხელნაწერი „რესპუბლიკის შესახებ". ამ ოდაში ლეოპარდი გარდაცვლილ წინაპართა სულებს მოუხმობს: დანტეს, პეტრარკას, კოლუმბს, არიოსტოს, ტასოს, ალფიერის. მაისადმი მიძღვნილი ოდა მის სხვა ოდებთან ერთად – „იტალიას", „დანტეს ძეგლისადმი", „ბრუტუს უმცროსი", „ჰიმნი წინაპრებს", „გრაფ კარლო პეპოლის", „პოლინოდია მარკიზ ჯინო კაპონის" – ლეოპარდის პოლიტიკური ანდერძია.

ლეოპარდი ცხოვრობდა განცდით, რომ ამქვეყნიურ სიცოცხლეში სიცოცხლე მოსტაცეს და მხოლოდ ტანჯული სხეული, არა torso, არამედ tronco[1] დაუტოვეს. ცხოვრების დასაწყისიდანვე მოწყლული, ფილოლოგიამ კიდევ უფრო მგრძნობიარე გახადა. სიყვარულით სნეულმა მსოფლიო ლიტერატურა შეიყვარა. ორი წუხილი აშთობდა მის არსებას. საკუთარ ცხოვრებას აღიქვამდა, როგორც საპყრობილეს, იმ დროს კი, რომელშიც ცხოვრობდა, – როგორც სასჯელს. აღარაფერს ელოდა. მისი ხმა გრგვინავდა, როგორც მორევი, როგორც კლდეებს შორის გამომწყვდეული აბობოქრებული წყალი. „სიმღერათა წიგნში" ლეოპარდიმ თავისი ტკივილი აკურთხა და კანონიზებულ სიწმინდედ აქცია. მწუხარეჟინი მას კატასტროფად ექცა და ყოველ ჟამს თითო ვარსკვლავის სიკვდილს უჩვენებდა. სიყვარული და სიკვდილი მის გულში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ყველა იმედს ქელავდნენ. გამარჯვება სიკვდილმა მოიპოვა. თუმცა ლეოპარდი იმასაც ხედავდა, როგორ უყვარდათ იგი მეგობრებს. ხედავდა სიყვარულს, რომელსაც შეეძლო მწუხარების საპირწონედ ქცეულიყო. მაგრამ „დაუნდობლობის ციხეკოშკში გამომწყვდეულს" აღარ სურდა – სიყვარულს დანებებოდა. ისღა დარჩენოდა, გარდაცვლილთა სიმშვიდე შეშურებოდა და მხოლოდ ის ენატრა, მეგობრების სიყვარული მის სიცოცხლეზე ხანგრძლივი ყოფილიყო და მისი ფერფლისთვის მოეფინა ნათელი. ბოლოს მხოლოდ შემწყალე აღსასრულს ითხოვდა. ის მოკვდა საზარელი ვეზუვის ძირას, სადაც ხეც არ ხარობს და სადაც არემარეს მხოლოდ შავთავას ყვავილები ამკობენ.

*გერმანულიდან თარგმნა მაია გოგოლაძემ*

[1] ტორსო ანუ ადამიანის ტანი და ტრონცო ანუ ხის ტანი (იტ.)

# სიმღერები გაქცევის ჟამს

*შეუვალია კანონი სიყვარულისა! უჯერო არის ხანდახან თუმცა,*
*დაემორჩილე, რადგან მოიხმობს მიწაზე ზეცას, – ყოვლისმომცველი და მარადიული.*

*პეტრარკა. „ტრიუმფები"*



I

პალმის რტო ტყდება თოვლში,
ინგრევა კიბეებიც,
ქალაქი ბრწყინავს ზამთრის
უცხო სხივ-სახეებით.

ბაღდები ყვირილით რბიან
ჰუნგერბერგს[1] შესეულნი,
თეთრ პურს შეექცევიან,
ლოცვებით დაყურსულნი.

ცრუ, მდიდრულ ოკრობოკროს,
მანდარინების ოქროს,
აცეკვებს ქარიშხალი.
ძირს გორავს ფორთოხალიც.

II

მე მარტოდმარტო ვწევარ
დაჭრილი ყინულჭრილში.

თოვლმა თვალები ჯერაც
ვერ ამიხვია შიშით.

მკვდრები, ტანსმოტმასნულნი,
ყველა ენაზე სდუმან.

არვის ვუყვარვარ, არვის,
ჭრაქს რომ მინთებდეს ჩუმად.

III

მიმობნეულ კუნძულებს,
ზღვის უზადო მშვენებას,
ერთვის ცივი დინება,
თუმც ხილს გვიწვდის მტევნებად.

მხსნელი, თეთრი გემები,
ეულ ხელაფრიანებს
აფრთხილებენ – მობრუნდით,
ნავი მოატრიალეთ!

[1] ჰუნგერბერგი – მთა ვენის მე-19 რაიონში, დიობლინგში

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ჯერ არასოდეს შემოჭრილა სიცივე ასე.
გადაუფრინა ზღვას მძლევართა მთავარმა გუნდმა.
ლამპიონები ერთიანად გასწირა ყურემ.
უმოწყალოდ დასცა ქალაქი.

დატყვევებული ვარ სრულიად ტყუილუბრალოდ
მტერს დანებებულ ნეაპოლში,
სადაც ზამთარი,
პოზილიპსა და ვომეროსაც ამაღლებს ცამდე,
და სადაც მისი თეთრი ციმციმი
სურთ გადაფარონ სიმღერებით,
ის კი უფლებებს ხმაჩახლეჩილი
ქუხილით იცავს.

დანაშაული არ მამძიმებს და პირები
კამალდოლიმდე ურევენ ღრუბლებს;
ვარ უნუგეშოდ, რადგან ამ პალმებს
ასე სწრაფად წვიმა ვერ დაწმენდს;

ვარ უიმედოდ, რადგან არ უნდა ავირიდო ეს განსაცდელი,
თუ თევზი თავის დასაცავად წამოშლის ფარფლებს;

თუკი ნაპირზე, ზამთარში ორთქლი,
მარად თბილი ტალღით შობილი,
ამიგებს ზღუდეს, და მაშინაც კი,
თუ ტალღები, უკუქცევისას,
თავდასაღწევად გაქცეულებს
უახლოესი მიზნისაკენ
გზასავალს უხსნის.

V

შორს, თოვლთან ერთად, შეკმაზული ამ ქალაქიდან!
ხილის სურნელით გაისენოს ქუჩაბანდები.
მიმოაბნიეთ ქიშმიში ყველგან,
მოიტანეთ ლეღვი, კაპარი!
სული თავიდან ჩაუდგით ზაფხულს,
აღადგინეთ წრებრუნვა სისხლის,
მშობიარობა, სისხლი, სკორე და ამორწყევა,
სიკვდილი – ისევ შეახორცეთ ნაიარევი,
კონტურები თხზავენ სახეებს –
ეჭვიანებს, უქნარებს, ბებრებს,
კირქვით მოხაზულთ, გაპოხილთ ზეთით,
უთანხმოებით გაიძვერებად გადაქცეულებს,
შეთამამებულთ ხიფათთან და
ლავის ღვთაების მრისხანებასთან,
ანგელოზების ნისლეულთან და
დაწყეულ ველურ მცხუნვარებასთან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI

სიყვარულში დაბრძენებულნი,
ათი ათასი წიგნის წყალობით,
განსწავლულები, ლამის უცვლელი
ჟესტების კვლავაც განმეორებით,
და – განუსჯელი, შლეგური ფიცით,

სიყვარულის საიდუმლოს ზიარებულნი
მიწაზე მხოლოდ –
როცა ლავა ამოიფრქვა და
მისი ოდნავი ქროლვა შეგვეხო
მთის ძირს მდგომარეთ,
როცა დასასრულ, ქანცგაწყვეტილმა
კრატერმა გახსნა ცნრაკლიტული –
გზა ამ ჩარაზულ სხეულებისკენ –

ჩვენ შევაბიჯეთ მოჯადოებულ სამყაროში
და სიბნელე გავაცისკროვნეთ
თითებიდან ნასხლეტი სხივით.

VII

სულის სიღრმეში სარკმლებია თვალები შენი,
იმქვეყნად, სადაც ნათელში ვდგავარ.

სულის სიღრმეში შენი მკერდი უძირო ზღვაა,
რომელიც ლამობს – დამძიროს ფსკერზე.
სულის სიღრმეში შენი სხეული
ნავსაყუდელი არის ჩემი ხომალდებისთვის,
ზღვაოსნობიდან რომ ბრუნდებიან.

ვერცხლის გვარლს ჩარხავს ბედნიერება,
რაზედაც მკვიდრად ვარ მიმსჭვალული.

სულის სიღრმეში შენი ბაგე – ბუდე ქათიბის,
პატარა ბარტყის, ჩემი ენისთვის.
სულის სიღრმეში ფერხორცი შენი – ნესვი ნათელი,
უსასრულოდ ტკბილი, ნუგბარი.
სულის სიღრმეში ძარღვები შენი – მშვიდი და ნყნარი,
ოქროს შიგთავსით აღმატებული,

ჩემი ცრემლით რომ ვაპატიოსნებ,
ვიცი ოდესმე უსათუოდ ამომეგება.

მიიღებ ტიტულს, ხელში მოიგდებ ადგილ-მამულებს,
სხვებზე უადრეს რომ მოგართმევენ.

სულის სიღრმეში ტერფები შენი გზას არ ადგანან,
არამედ უკვე ჩემს ხავერდოვან ბაღნარს მოაგნეს.
სულის სიღრმეში ძელები შენი ხმანათელი ფლეიტებია,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრძნეულ ბგერათა ამოთქმას რომ შემაძლებინებს
და თვით სიკვდილსაც მონუსხავს გრძნებით...

VIII
...დედამიწა, ზღვა და ზეცა.
უზღვავი კოცნით გზადაბნეული
დედამიწა,
ზღვა და ზეცა.
ჩემი სიტყვებით შემოფარგლული
დედამიწა,
შემოფარგლული ჯერაც ჩემი სულ ბოლო სიტყვით,
ზღვა და ზეცა!

ჩემი ბგერები მოულოდნელად
ეწვია მიწას,
რომელმაც გვრინით ჩაუშვა ლუზა,
და მოეჭიდა მკვიდრ კბილებს ჩემსას,
ყველა ბრძმედით და ციხე-კოშკით,
და მთის ზვიადი მწვერვალებით.

დაპყრობილია ეს დედამიწა,
ჩემ წინ ხევები რომ გააშიშვლა,
ტრამალები და უდაბნოები, ტუნდრები მრუმე,

დაუურველი ეს დედამიწა,
მლტოლვარე მუხტის მაგნიტური უზღვავი ველით,
თქვენთან ნებსით ბორკილდებული,
ჯერაც უცნობი ძალის ჯაჭვებით,

გაოგნებულ-გამაოგნები ეს დედამიწა
ღამის მცოცავი მზარდი ჩრდილებით,
ტყვიის შხამებით
და ოხშივართა დინებებით –

ზღვად ჩაძირული და
ზეცამდე ამაღლებული
ეს დედამიწა!

IX
შავი კატა და
იატაკზე ზეთის ნაღვენთი,
მზერა ბოროტი:

ავს მოასწავებს!

მისწვდი მარჯნის რქას,
კარიბჭეზე დაჰკიდე რქები,
უკუნეთია, არ კრთის ნათელი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### X

ო, სიყვარული, ნაჭუჭი რომ ჩამოგვაცილა
და მოისროლა ჩვენი ფარი, ჩვენი ჩარდახი
და მრეში ჟანგი ჩვენი ნლებისა!

ო, ტკივილები, რომ გაცვითეს ჩვენი ტრფობა და
მისი ცვრიანი ცეცხლი აქნეს გრძნობად ნაკვთებად!
და კვამლმხრჩოლავი ალი მისი თავს უბრუნდება.

### XI

ცისკრის ციალი გსურს იხილო, მოიქნევ დანას
და ელვასავით გადაუხსნი ჰაერს თბილ ვენებს;

გაქრილი გულის ფეთქვა უხმოდ ამოაშხეფებს
ცეცხლის ნაპერწკლებს უკანასკნელს და დაგაბრმავებს:

შეშლა, ზიზღი და თანამდევი შურისძიება,
და უმალ უკვე სინანული და უარყოფა.

უკვე ხვდები, რომ შენს ზანზალაკთ ხმა ეკარგებათ,
გრძნობ, სიყვარული დასასრულს რომ უახლოვდება:

გულწრფელი მეხთატეხითა და ანკარა სუნთქვით.
შენ სიყვარული ზმანებების სკნელში გიბიძგებს.

იქ, სადაც მისი გადმოშლილი ოქროს თმებია,
ხელს რომ წაატან და არარასკენ აჰყვები კიბეს.

ათას და ერთი ღამის სიმაღლე აქვთ საფეხურებს.
უკანასკნელი ნაბიჯი კვეთს სიცარიელეს.

შენ რომ აწყდები, გათელილი ალაგებია,
და ყოველ ალაგს შენი სისხლის სამ წვეთს შესწირავ.

ფესვგაუდგამი დალალები გრჩება ხელებში.
მხოლოდ ეჟვნები ჟღარუნებენ და კმარა ესეც.

### XII

ბაგე, ღამე რომ უთევია ჩემს ბაგეებში,
თვალი, ჩემ თვალს რომ ედგა დარაჯად,
ხელი...

თვალები, მე რომ მივემსჭვალე!
ბაგე, რომელმაც მაუწყა მსჯავრი,
ხელი, სასჯელი რომ აღმასრულა!

### XIII

მზე აღარ ათბობს, ზღვაც გალურსულა.
თოვლით შეფუთულ სამარეებს ვერავინ გახსნის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუთუ არავინ შეუკეთებს ცეცხლს არცერთ სახმილს?
ან რას გააწყობს თუნდ მლუარი ეს სიმხურვალეც.

გამომიხსენი, ხანგრძლივ კვდომას მე ველარ ვუძლებ.

წმინდანს სულ სხვა აქვს ზღვა საზრუნავი;
აპურებს ხალხს და იფარავს ქალაქს.
თოკს მალე განკვეთს მძიმე სუდარა,
ჩამოცურდება. თუმც, ვერ დამფარავს.

ჯერ ცოდვილი ვარ. აღმადგენდე.
არ მადევს ცოდვა. ამამაღლებდე.

ყინვაშეპარულ თვალებს თოში შემოახსენი,
მზერის ისრებით შემომეჭერი,
სილურჯის ტბაში ეძიე ფსკერი,
იცურავე და ჩაყვინთე მზერით.

მე ეს არა ვარ.
სწორედაც ეს ვარ.

**XIV**

მხოლოდლა ჩემი სიკვდილის შემდეგ მისმინე ისევ,
გიჟელი თოვლით იზნიქება, მღერენ რუები
და ტოლედოში მილივლივებს ბგერა ყოველი, იწყება დნობა,
ტკბილხმოვანება ადნობს ყინულსაც.
დნობა, დიადი!

ელოდე მრავალ იდუმალებას!

სიტყვის მარცვლები ოლეანდრის რტოებზე სხედან,
აკაციების სიმწვანეში ნებივრობს სიტყვა,
კედელს კი სიტყვის სწყდება ჩანჩქერი.

აუზებს ლაღად მოლივლივე
და გამჭვირვალე
მუსიკა ავსებს.

**XV**

ტრფობას თავისი ტრიუმფი აქვს, სიკვდილს – თავისი,
დრო ამიერი და მერმისის დრო, იმიერი.
ჩვენ არაფერი გაგვაჩნია მსგავსი ამისი.

ვჭვრეტთ მხოლოდ, როგორ კრთის ვარსკვლავედი, გაელვებული
ანარეკლებით და მდუმარებით, მაგრამ სიმღერა
აღდგება შემდეგ, ნეშტზე მეტად აღმატებული.

*გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა*

# სუნ ქსუე



*ჩინელი პოეტი ქალის, სუნ ქსუეს (დ. 1970) შემოქმედება, რომელიც არა მარტო ლექსებს, არამედ რამდენიმე რომანსაც აერთიანებს, უკვე ხშირად ქვეყნდება ცნობილი ჩინური ანთოლოგიების ფურცლებზე და გამოიცემა კარგ გამომცემლობებში. მკითხველი შენიშნავს, რომ ქსუეს ლექსებში ერთმანეთს ერწყმის ევროპული პოეტური ტრადიცია და პირწმინდად ჩინური თემატური მოტივები, სიმბოლური აზროვნება და ჩინური ტრადიციული საგნობრიობა, ლირიკული ალსარებისა და სათუთი ქალური მგრძნობელობის სურათები. როგორც ლიტერატურათმცოდნეები აღნიშნავენ, ეს საერთოდ დომინირებადი ტენდენციაა თანამედროვე ჩინურ პოეზიაში, რომელიც არა იმდენად ევროპულ აღიარებას ესწრაფის, რამდენადაც – ევროპულ-აზიურ სინთეზს.*

### ზღვიდან ცამდე

გული აღარ დგას საგულეში მას მერე, როცა
ზურგი მაქცია ვეშაპების მბრწყინავმა გუნდმა.
ლაღია და უწყვეტია ლურჯი, კაშკაშა ზეცის ქვეშ მათი მოგზაურობა.
თავს ანონებენ აცეკვებულ, ატეხილ ტალღებს და გამოსცემენ მხიარულ ბგერებს.
უშიშარ გზამკვლევთ თავ-თავისი სხეულები სურნელოვან ხომალდებად გამოუჭედავთ.
მაინც რამდენად უსაზღვროა ზღვის კიდეგანი? იქნებ მათ მითხრან?
მე მხოლოდ მათი, ზარებივით აჟღერებული, გულისცემა ჩამესმის ახლა,
სიღრმეში რომ იძირებიან.

მესიზმრა, თითქოს გავყურებდი, ზღვაზე როგორ მიმოფრენდნენ
უცნაური ფრინველები წელიწადის ნებისმიერ დროს,
ქარებს და ღრუბლებს მაღლა სწევდნენ ფრთების შხუილით.
მესმოდა მათი შეკივლებები, მომავლიდან გაჩენილი რაღაც უცნობის,
ძლიერის და გაბედულის მაუწყებელი.
მაინც რამდენად კაშკაშა და უსაზღვროა ეს ლურჯი ზეცა?
არ მეჯერება, მათ ეს ესმოდეთ.
როცა ისინი, ქარით და ქვიშით აღძრულები, მიმოიფრენენ,
მხოლოდ ბუნდოვნად ვხედავ ირგვლივ განლეულ სამყაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წვიმა

დღე მოიქუფრა და ნათურით გავანათე ჩემი ოთახი.
წვიმის წვეთები ახმაურდნენ მალე კიბეზე,
ჭექა-ქუხილმაც არ დააყოვნა. მიაყურადე! გესმის? შორიდან აღწევს გუგუნი.

წვიმს და რარიგ სახალისოა! უცქირე, როგორ ეჯახება მთელი სხეულით
მწვანე ფოთლებს და მისი სისხლით მერამდენე გუბე ივსება.
ხოლო ცის თაღზე წვიმის შხეფებთან ერთად ხტიან ელვის ჩხირები.

სახურავს თავზე წამოადგა ნისლის სალტე და ქარიანად ამოიოხრა.
ხეებს თავები დაეხარათ, მორჩილად იდგნენ, დედა-წვიმა როცა კოცნიდა.

სამყარო იქცა წვიმის სცენად, სადაც ყველასთვის
თვალსაჩინო წარმოდგენა თამაშდებოდა.
წვიმის წვეთები – ეს პატარა მაჩანჩალები –
მიმორბოდნენ და გვთავაზობდნენ გასაოცარ სანახაობას.

ხალხის სახე სველი ქოლგებით დაფარულიყო.
და მერე, წვიმამ როცა იკლო, თავ-თავისი მანქანებით გამოვიდნენ მძღოლები და
ჭექა-ქუხილს, რომლის გრგვინვამ ნელ-ნელა იკლო, ხელის ქნევით დაემშვიდობნენ.

მე სახლის კარი გამოვაღე, რაკი ვიფიქრე, აღარ წვიმს-მეთქი,
და გავიგონე, დაიკო-წვიმამ სარკმელზე როგორ მომიკაკუნა
და დამიტოვა უკანასკნელი ღია ბარათი: „შეიძლება, თქვენთან ერთად ჩაი დავლიო?“

## ნამის ბეჭდები

„ეს თეთრი ოქროს ბეჭდებია, ეს – ბრილიანტის, აი, ეს კი – ლალის ბეჭდები".
ვუპასუხე: „არ მჭირდება მე ეს ბეჭდები“.
ბეჭდები მართლაც არაფერში გამომადგება...
არც ერთი... მაგრამ არის ერთი, საგანგებოდ დამზადებული.

ისე, რომ გროშიც არ გებადოს, გაემგზავრე მის საძებნელად.
მხოლოდ ჩემი მშვენიერი ღიმილია, შენ რაც გჭირდება.

ჩემო ძვირფასო, გასწიე და სათუთი და წრფელი გულით მიაგენი
ცისკრის ცვარ-ნამს მწვანე ფოთოლზე.
და იმ ბრწყინავ წვეთს ხელისგულზე როცა დამიდებ,
ჩემს მოხდენილ ჩრდილს მის ზედაპირს გადავაფარებ.
აი, ძვირფასო, ნეკა თითით წრეს შემოგინერ,
გემუდარები, ნამის წვეთით უნაზესად დანიშნე იგი.

აი, შეხედე! აი, შენი ნამის ბეჭედი;
და როცა ხედავ შენ ჩემს ღიმილს,
აცახცახებულ შენს ხელისგულს დაეცემა ახალი ცრემლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოქცევები და მიქცევები

გული მტკიოდა, როცა ვხედავდი, მთვარე როგორ ილეოდა ან ივსებოდა;
იგი ყოველთვის ჩემთან იყო, ერთგული ძაღლი, ღამის კანონის აღმსრულებელი.
ცის დასალიერს დაეძებდნენ ნაღვლიანი ჩემი თვალები.
სიყვარული ერთს ეკუთვნის და ვერასდროს მიითვისებს იმას მეორე.

ასე ვაკოცე შენს ღიმილს და ხეებზე კვირტებს ვაკვირდებოდი;
მოქნილი ენა, გაზაფხულის სიო, ჩემს ლოყას ნაზად ლოკავდა.
რამდენი გემი ჩაიძირა უკვე ზღვაში, არ მადარდებდა.
შენს გამო ჩემი ცრემლის ტალღები მოიქცევიან,
მიიქცევიან მერე ისევ, უდასასრულოდ;
უცნობია წყალდიდობის სეზონი ჩემი ცრემლების ზღვისთვის,
სიყვარულის სეზონია ერთადერთი, იგი რასაც ცნობს.

## მწირის ფიქრები ზამთრის ქუფრ ღამეში

ყინვის გულისკენ მამა-ზამთრის ნაბიჯებს გავყევ,
როცა ჩამესმა ღამეული მისი ძახილი.
ქუფრ ღამეში უნუგეშოს გამომელვიძა,
რომ მივმხვდარიყავ — აუხდენელი ოცნებით ვარ დატყვევებული.
მამავ, გზამკვლევო ჩემო ვარსკვლავო, წმინდა მინისკენ მაინც როდის უნდა გამიძღვე?

ნაბიჯი შევდგი სიბნელეში, მახვილებით ძრწოლამოგვრილმა,
მომლოცველის სულჩადგმულმა, ხელცარიელმა.
რაც უნდა მოხდეს, უფსკრულიც რომ მიმელოდეს ყოვლის შთანმთქმელი,
ჩემი გზიდან ოდნავადაც არ გადავუხვევ.
სხვა რა ეილონო, ჩემს არეულ გზა-სავალს და წარსულს როცა ჩავფიქრებივარ?
რაც გარდავიდა, იქვე დარჩეს, მე კი ჩემს ბედს უნდა მივენდო.

ცივ ზამთარში მოყარიბემ, მტკიცე სინაზით,
ნაზი სიმტკიცით გახარებულ ყვავილებსაც მოვკარი თვალი,
მძიმე თოვლშიც რომ არ კარგავენ იმედს თბილი გაზაფხულისას.
გულსაკლავად მოიფრენდნენ ჩიტები და უმალ მტოვებდნენ.
ზამთრის ქარმა კი ჩემი წმინდა და კამკამა ცრემლი —
მარტოობის სარკე — გაყინა.

და ვუყურებდი ამ სარკეს და ღირსეული ცხოვრების აზრს ვუღრმავდებოდი.
ალიონზე დავიჩოქე, ჩემი სახის წინ ხელებით ჯვარი გამოვსახე
და ვილოცე სიცოცხლისთვის, იმ ჯიუტი ძალისხმევისთვის,
თანამგზავრებს რომ აჩქარებს საოცნებო ქვეყნისკენ და მხნეობას მატებს.
სუსტ ნათელში, თავს რომ იყრის ამ სამყაროს ყველა კუთხიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მამა თავის ცარიელ სახლში, ცარიელი გულით

ფინია, ჩემო მორჩილო და ციცქნა ფინია,
ჩემს ფერხთით წევხარ
და არ გესმის და ვერც გაიგებ,
თუ როგორ მაქვს აშლილი და არეული გულის სიმები!
შენმა ძველმა მეგობარმა, რა ხანია, გაგინაპირა,
და ერთად ვცხოვრობთ ცარიელ და ძველისძველ სახლში.
რაკი მოხვედი, მელაპარაკე.
ცარიელი სახლი რაა და უკვე უცვლელად დარჩენილი ძველი კერაა;
აქ ყინულივით ცივი ნაცრის ორმო დამიხვდა,
ხოლო ჰაერი, მე რომ ვსუნთქავდი, მინას შეხვდა და იქცა ყინულად.

შორს გაიფანტნენ ამ სახლიდან ჩემი შვილები,
თავის სარჩენად ქალაქებში გადაიხვეწნენ;
ვიგრძენი, მძიმე ტვირთად ვქცეულვარ, და ამიტომაც ვწევარ ახლა ამ სიჩუმეში;
და ერთადერთი, რაც მე მათთვის შემიძლია გავაკეთო, ამ ჰაერის ამოოხვრაა.

ისევ შევავლო თვალი იმათ ლაჟღაჟა ლოყებს,
და მწნილით, მათთვის გულდაგულ რომ მოვამზადე,
შევეგებო გაზაფხულის დღესასწაულზე – ეს დამირჩა ბოლო ოცნებად;
განა არ ვიცი, რომ ბეჩავი ბერიკაცის ბეჩავი სახე
დამჭკნარი ნესვის ღვინოსავით მიმზიდველია?!

ოჯახური კერძები და ბრინჯი, ატრია, კურდღლის აპოხტი,
მათთვის არის გამზადებული.
ვიყოყმანე და მაინც ვნედი ყურმილს:
„ჰეი, შვილებო, უნდა მცოდნოდა აკი თქვენი მისამართები!"

მიპასუხეს გაბმული და ზანტი ლუღლუღით:
რომ როგორმე ერთხელ ჯანმრთლად თავს მოიყრიან,
ერთხელ, როგორმე, შინ როდესაც დაბრუნდებიან.
ჩემო შვილებო,
ორიოდე სიტყვა იყო, მამათქვენს რომ სჭირდებოდა:
„გენატრები?" „მეც მენატრები".

*თარგმნეს ნუცა ქათამაძემ და ბექა ბარქაიამ*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „ახალი საუნჯის" გამოწერა!

GE59BG0000000210646500

დანიშნულებაში მიუთითეთ: **„ახალი საუნჯე"**,

საკუთარი ტელეფონის ნომერი და მისამართი.

## 2019 წლის 8 ნომერი - 16 ლარი

ი44/228

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი საუნჯე

ISSN 0134-9848
9 770134 984002